

სახელმძღვანელო

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს ატაშეებისა და
წარმომადგენლებისათვის

გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო
ცენტრი

თბილისი 2014

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების საქართველოს დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობის განხორციელების სახელმძღვანელოს.

წიგნი შეიქმნა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ფინანსური მხარდაჭერით.

წიგნი მომზადდა
გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის მიერ.

ავტორები :

თენგიზ ფხალაძე

ნათო ბაჩიაშვილი

თორნიკე შარაშენიძე

ნოდარ ხარშილაძე

რედაქტორი:

თენგიზ ფხალაძე

ნათო ბაჩიაშვილი

ICBN

სარჩევი

განმარტებები სახელმძღვანელოში არსებული ტერმინოლოგიისათვის..... 8

თავი I.

დიპლომატიური სამსახურის სისტემური ორგანიზაცია და დიპლომატიური წარმომადგენლობის საქმიანობა

მოკლე ისტორია10

დიპლომატიური სამსახური და დიპლომატიური აგენტები.....13

დიპლომატიური აგენტის მომზადება მისიაში სამუშაოდ.....14

თავდაცვის/სამხედრო ატაშეს პოზიციის შექმნა და როლი ისტორიაში.....18

სახელმძღვანელო კანონმდებლობა საქართველოს თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლებისათვის..... 21

თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისი (სამმართველო)..... 22

ოფისის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და მისი ფუნქციონალური მოვალეობები.....27

ადგილსამყოფელ ქვეყანაში თავდაცვის ატაშეს/ წარმომადგენლის აპარატი.....29

აპარატის სტრუქტურის შექმნა, თანამდებობის პირთა დანიშვნა..... 31

თავი II.

დიპლომატიური აგენტის ადგილსამყოფელ ქვეყანასა და საკუთარ ქვეყანასთან ურთიერთობის სპეციფიკა. ურთიერთობები სხვა ქვეყნების დიპლომატიურ აგენტებთან მისიის დაწყება..... 34

აკრედიტაცია ადგილსამყოფელ სახელმწიფოში..... 38

თავდაცვის ატაშეს და წარმომადგენლის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული უფლებები და მოვალეობები..... 40

სამხედრო წარმომადგენლები..... 51

ადგილსამყოფელი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსადმი წერილობითი მიმართვის ნიმუშები..... 57

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის დაქვემდებარებულიება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა..... 63

თავი III.

თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების თანამდებობის პირთა მიერ სამსახურის გავლის, მათი გამოწვევის, სოციალური დაცვისა და გარანტიების ძირითადი პრინციპები

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადა. როტაცია..... 65

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალი..... 67

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის, ასევე მათი აპარატის თანამშრომლების უფლებამოსილების შეწყვეტა..... 67

დიპლომატიური სამსახურიდან ვადაზე აღრე გამოწვევა..... 69

ფუნქციების შეწყვეტის წესი..... 71

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლისა და მისი აპარატის თანამდებობის პირების სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. წარმომადგენლის აპარატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, წარმომადგენლის თანამდებობის გაუქმება..... 72

სოციალური დაცვა და გარანტიები..... 73

როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირისა და მისი ოჯახის წევრების სოციალური დაცვა..... 74

დიპლომატიური იმუნიტეტი..... 77

ოფიციალური კორესპონდენციის ხელშეუხებლობა..... 80

დიპლომატიური აგენტის და მისი ოჯახის წევრების ხელშეუხებლობა..... 82

დიპლომანტიური აგენტის/წარმომადგენლის გათავისუფლება გადასახადებისაგან..... 85

დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონების გათავისუფლება გადასახადებისაგან.....87

მესამე სახელმწიფოთა ვალდებულებები დიპლომატიური წარმომადგენლების იმუნიტეტების მიმართ.....91

დიპლომატიური წარმომადგენლების ჩაურევლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის საშინაო საქმეებში..... 92

თავი IV.

დიპლომატიური სამსახურის დოკუმენტების შედგენისა და მიმოწერის სპეციფიკა.....95
დიპლომატიური მიმოწერის ყველაზე გავრცელებული ნიმუშები..... 101

თავი V.

დიპლომატიური ცერემონია და ეტიკეტი..... 108
ვიზიტი..... 109
სახელმწიფო დროშა, ჰიმნი, გერბი..... 110
ეტიკეტი..... 114
მიღებები.....115
მიღებათა სახეობები..... 124
სავიზიტო ბარათები.....132
ჩაცმულობა.....135
გაცნობისა და წარდგენის წესები.....142

თავი VI.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში ინფორმაციის წყაროებთან მუშაობა..... 144
ღია წყაროები მედია-საშუალებები.....146
ოფიციალური დოკუმენტები და კვლევები.....160
კონტაქტები.....166
ინფორმაციის ანალიზი..... 176
უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურები..... 195

თავი VII.

უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკა თავდაცვის/სამხედრო ატაშეებთან მიმართებაში

როგორ ირჩევენ, აკონტროლებენ და მართავენ სამხედრო ატაშეებს სხვადასხვა ქვეყანაში.....219

თავდაცვის/სამხედრო ატაშეების მართვის მოდელები..... 220

საღაზვერვო სამსახურის მიერ ატაშეს მართვა..... 221

საერთაშორისო სამსახურის მიერ ატაშეების მართვის მოდელი.....223

შერეული მოდელები..... 224

ატაშეების პროფესიული მომზადება..... 227

თავდაცვის/სამხედრო ატაშეს სისტემის რეფორმა სხვადასხვა ქვეყანაში..... 231

განმარტებები სახელმძღვანელოში არსებული ტერმინოლოგიისათვის

დიპლომატიური წარმომადგენლობა - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობებისას წარმოადგენს საქართველოს (საქართველოს საელჩო, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობა);

დიპლომატიური თანამდებობის პირი - დიპლომატიურ სამსახურში დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით უნდა მიენიჭოს დიპლომატიური რანგი;

დიპლომატიური აგენტი - დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი.

თავდაცვის ატაშე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში აკრედიტებული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო

მოსამსახურე, რომელიც სამხედრო ხასიათის ერთი-ერთობებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს;

სამინისტროს წარმომადგენელი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, საერთაშორისო ორგანიზაციაში სამუშაოდ მივლინებული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ან სამოქალაქო წარმომადგენელი;

კოორდინატორი სტრუქტურული ერთეული - თავდაცვის სამინისტროს ის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მინიჭებული აქვს თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის (მისი აპარატის) საქმიანობის კოორდინაციის ფუნქცია, ამ შემთხვევაში - თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისი.

ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს სისტემაში არადიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული ან ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევენ სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.;

ოჯახის წევრი - დიპლომატიური თანამდებობის პირისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, არასრულწლოვანი გერი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი;

როტაციის წესით სამუშაო მივლინება - დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან სამუშაოდ წარგზავნა კანონით დადგენილი წესითა და გარკვეული ვადით;

თავი I.

დიპლომატიური სამსახურის სისტემური ორგანიზაცია და დიპლომატიური წარმომადგენლობის საქმიანობა

მოკლე ისტორია

ტერმინი „დიპლომატია“ ძველბერძნული წარმოშობისაა. „diplōma“ - წარმოდგენდა დასაკეც დატუას, რომელზეც დატანილი იყო უცხო ქვეყანაში გასაგზავნი წარმომადგენლის (დესპანის) სპეციალური რწმუნება. სახელმწიფოთათმორისი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა დიპლომატიაც. თავდაპირველად ქვეყნები ერთმანეთთან დროებით წარმომადგენლებს აგზავნიდნენ ამა თუ იმ საკითხის შესათანხმებლად. დროთა განმავლობაში

განვითარდა და დაიხვეწა მოლაპარაკებებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა. პირველი მუდმივი ელჩის ინსტიტუტი მე-15 საუკუნეში იტალიაში წარმოიშვა და შემდეგ გავრცელდა მთელს მსოფლიოში.

თანამედროვე მნიშვნელობით დიპლომატია დამკვიდრდა მე-18 საუკუნიდან. დღეისათვის ის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც უცხო ქვეყნებთან ურთიერთობებში სახელმწიფოს მიზნების შესრულებას ემსახურება. დიპლომატიის, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის, მთავარი ფუნქცია მხარეებს შორის საერთო ინტერესების მოძებნა და კონფლიქტური საკითხების გამორკვევაა, მათი მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით. დიპლომატიური საქმიანობა ხორციელდება მოლაპარაკებების მეშვეობით, ხოლო დიპლომატიური წარმომადგენლობების მთავარ ფუნქციებს დღემდე ინფორმაციის მოპოვება და მისი ინტერპრეტირება, წარმგზავნი სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა და სავაჭრო კავშირების ხელშეწყობა წარმოადგენს.

დიპლომატიური პროტოკოლი წარმოადგენს იმ საყოველთაოდ მიღებული წესების, პრინციპებისა და პირობების ერთობლიობას, რომლებსაც საერთაშორისო ურთიერთობებში იცავენ სახელმწიფოები, საგარეო უწყებები,

დიპლომატიური წარმომადგენლობები და ოფიციალური პირები.

სიტყვა „პროტოკოლი“ ბერძნული წარმოშობისაა, რაც შუა საკუნეებში აღნიშნავდა დოკუმენტების გაფორმებისა და არქივის წარმოების წესებს. დროთა განმავლობაში „პროტოკოლი“ ასევე გამოყენებადი გახდა დიპლომატიური ურთიერთობების მიმართაც. ასე წარმოიშვა ტერმინი „დიპლომატიური პროტოკოლი“. მისი ნორმების ნაწილი გულისხმობს ცერემონიას (მაგ: დახვედრის ოფიციალური ცერემონია, რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონია და ა.შ.), მიმონერისა და ვერბალური ურთიერთობების წესებს და საერთაშორისო ეტიკეტს.

დიპლომატიური პროტოკოლი ეფუძნება „საერთაშორისო თავაზიანობის“ პრინციპს და გულისხმობს პატივისცემას ყველაფერისადმი, რაც წარმოადგენს და განასახიერებს სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობას. პროტოკოლი არ წარმოადგენს რომელიმე ერთი სახელმწიფოს ან დიპლომატთა ჯგუფის გამოგონებას. იგი შეიქმნა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მრავალსა-უკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე, სხვადასხვა კულტურებისა და ცივილიზაციების ტრადიციების გათვალის-წინებით.

დიპლომატიური სამსახური და დიპლომატიური აგენტები

დიპლომატიური სამსახურის სისტემის ორგანიზების საფუძვლები, დიპლომატიური სამსახურის გავლასთან დაკავშირებული ურთიერთობები და დიპლომატიურ სამსახურში მყოფი პირის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება საქართველოს კანონით „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“, რომლის თანახმადაც ტერმინი „დიპლომატიური სამსახური“ აღნიშნავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და მის ქვედანაყოფებს ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ. აქედან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტროს მიერ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებში მივლინებული სამხედრო თუ სამოქალაქო წარმომადგენლები ხდებიან დიპლომატიური თანამდებობის პირები.

ამავე კანონის თანხმად, თავდაცვის ატაშე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი განეკუთვნება უფროს დიპლომატიურ თანამდებობებს, ხოლო თავდაცვის ატაშეს აპარატისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის თანამდებობის პირები - უმცროს დიპლომატიურ თანამდებობებს.

დიპლომატიური აგენტი (*agent diplomatique*) - ეს ტერმინი „საქართველოს კანონში დიპლომატიური სამსახურის შესახებ“

არ გამოიყენება, მაგრამ იგი საყოველთაოდ მიღებულია და გვხვდება ვენის 1961 წლის კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ. თავდაპირველად, დიპლომატიურ აგენტად მხოლოდ მისიის ხელმძღვანელები მოიხსენიებოდნენ, ხოლო შემდგომში, ამ ტერმინით აღინიშნებოდა და აღინიშნება წარმომადგენლობის ყველა ის თანამშრომელი, რომელსაც აქვს დიპლომატიური რანგი.

დიპლომატიური აგენტის მომზადება მისიაში სამუშაოდ

მისიაში გამგზავრებამდე დიპლომატიურმა აგენტმა უნდა შეისწავლოს ის ქვეყანა/საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიაც მიემგზავრება სამუშაოდ. მნიშვნელოვანია ორმხრივი ურთიერთობების სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ბაზისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაციისა და ორმხრივი ურთიერთობების პრობლემატიკის სრულყოფილად შესწავლა. ამისათვის თავდაცვის ატაშე/თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი მისიაში გამგზავრებამდე იღებს მითითებებს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისაგან და გადის კონსულტაციებს როგორც საკუთარი უწყების (თავდაცვის სამინისტროს) შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფში, ასევე, საჭიროების შემთხვევაში და საკუთარ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ან/და სხვა შესაბამის დაწესებულებაში.

დიპლომატიური აგენტი უნდა გაეცნოს შესაბამის სფეროში საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართლებრივი აქტები, როგორცაა „კანონი დიპლომატიური სამსახური შესახებ“, „დებულება თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესისა და თანამდებობების დასახელების შესახებ“, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის დებულება“. საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“.

დიპლომატმა სრულყოფილად უნდა იცოდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ენა (საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობის შემთხვევაში, ამ ორგანიზაციის თუდაც ერთი ოფიციალური ენა), ასევე კულტურა, ტრადიციები და თავისებურებები. დიპლომატი ვალდებულია პატივი სცეს მასპინძელი ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს! მისი მხრიდან ადგილობრივი წეს-ჩვეულებების, განსაკუთრებით კი კანონმდებლობის დარღვევა აზიანებს წარმგზავნი სახელმწიფოს პრესტიჟს და შესაძლოა გახდეს საერთაშორისო სკანდალის მიზეზი.

მნიშვნელოვანია, რომ მისიაში გამგზავრებამდე, დიპლომატი გაეცნოს საკუთარი წინამორბედის საქმიანობას და შემდგომში

მისგან გადაიბაროს საქმე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დიპლომატიური აგენტი იცნობდეს თავის კოლეგას საკუთარ სახელმწიფოში (მაგ: საქართველოს თავდაცვის ატაშე აშშ-ში უნდა იცნობდეს მის ამერიკელ კოლეგას საქართველოში). ასეთ კონტაქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებასა და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში.

მისიაში გამგზავრებამდე დიპლომატმა უნდა აცნობოს მისი ხელმძღვანელს მისი დანიშვნის, ქვეყანაში ჩასვლის თარიღისა და თანმხლები პირების (ოჯახის წევრების) შესახებ. ეს შესაძლოა განხორციელდეს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. აღსანიშნავია, რომ წერილობითი ფორმა ყოველთვის უფრო მეტად ოფიციალურია და, ამდენად, საქმიან ურთიერთობებში მისი გამოყენება უფრო რეკომენდირებულია. ასეთი წერილი, როგორც წესი, იგზავნება ელექტრონული ფოსტით მისი ხელმძღვანელის ოფიციალურ მისამართზე.

თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში, საკუთარი წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ იგი აცნობებს საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს. საჭიროების შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახლადდანიშნულმა დიპლომატმა შესაძლოა შესაბამისი კონსულტაციებიც გაიაროს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ თუ თემატურ დეპარტამენტში. ასევე,

საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით გვარდება დიპლომატიისათვის ისეთი აუცილებელი დოკუმენტების გაფორმება, როგორებიცაა დიპლომატიური პასპორტი და ვიზები.

საქართველოს მოქმედი კანონდებლობით (2014 წლის მდგომარეობით), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და მის უცხოეთის ქვეყნებში არსებული დაწესებულებების დიპლომატიურ თანამდებობაზე მყოფ თანამშრომლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებში დიპლომატიურ რანგში მყოფ თანამშრომლებს, დიპლომატიურ კურიერებს, სამხედრო მისიათა მეთაურებს, თავდაცვის ატაშეებს, საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილი პირების მეუღლეებსა და 18 წლის ასაკამდე შვილებს (გარდა დიპლომატიური კურიერებისა) აქვთ დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის უფლება.

ამავე კანონმდებლობით, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო, საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობების, სამხედრო მისიათა ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და მომსახურე პერსონალს, საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილ პირთა მეუღლეებსა და 18 წლის ასაკამდე შვილებს აქვთ სამსახურებრივი პასპორტით სარგებლობის უფლება.

დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტი გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი მიზნებისათვის. ამ დოკუმენტების მოხმარების წესი განისაზღვრება სპეციალური დებულებებით დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების შესახებ.

თავდაცვის/სამხედრო ატაშეს პოზიციის შექმნა და როლი ისტორიაში

თავდაცვის/სამხედრო ატაშეს პოზიცია მეჩვიდმეტე საუკუნეში, 30 წლიანი ომის დროს გაჩნდა. კარდინალი რიშელიე მოკავშირე ქვეყნებში სამხედრო ოფიცრებს გზავნიდა, კავშირების დასამყარებლად და სამხედრო-საომარი მოვლენების შესწავლისა და ჯაშუშობის მიზნით. მეთვრამეტე საუკუნეში სამხედრო ატაშეების საელჩოებში დანიშვნა დაიწყო. მეცხრამეტე საუკუნისთვის თითქმის ყველა სახელმწიფოს ჰყავდა თავდაცვის ატაშე. ამგვარი პრაქტიკა სახელმწიფო თავდაცვის უწყებებისა და კოლონიური იმპერიების შექმნის შედეგი იყო.

მეოცე საუკუნეში სამხედრო ატაშეების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. რაც განპირობებული იყო სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდით, მათი შეიარაღებული სისტემების მზარდი კომპლექსურობითა და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების აუცილებლობით. 1961 წელს

დიპლომატთა პასუხისმგებლობა და უფლებები ვენის კონვენციით განისაზღვრა. იგივე სტატუსი მიენიჭათ სამხედრო/თავდაცვის ატაშეებს.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების წინა პერიოდში და განსაკუთრებით ცივი ომის დროს სამხედრო ატაშეების ოფისი ჩამოყალიბდა როგორც სადაზვერვო მონაცემთა შეგროვების ცენტრი, რომელიც შემდგომ ეგზავნებოდა დედაქალაქს ანალიზის მიზნით. სარგებლობდნენ რა დიპლომატიური სტატუსით, მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელი ქვეყნის სამხედრო ატაშეები ოფისს ჯაშუშური საქმიანობისა და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებისთვის იყენებენ.

ცივი ომის დასრულებით უსაფრთხოების გარემო შეიცვალა და სამხედრო ატაშეს პოზიცია უფრო მრავალფეროვანი გახდა. სამხედრო ატაშე მთავარ როლს ასრულებდა სახელმწიფო სამხედრო დიპლომატიაში. ტრადიციული დავალებების გარდა, მას დაემატა ახალი, როგორცაა: თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორების რეფორმა დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, კომპლექსური მშვიდობის ხელშეწყობა, ანტიტერორისტული ოპერაციები და ა.შ. სამხედრო ატაშეს ფუნქციას, რიგ შემთხვევებში, დაემატა უსაფრთხოების ფუნქციები. შესაბამისად, გაიზარდა სამხედრო ატაშეს კვალიფიკაციისა და განათლების მოთხოვნები.

ახალი სამხედრო დიპლომატიის იდეა პირველად დიდ ბრიტანეთში გაჩნდა. 1998 წელს ქვეყნის სტრატეგიული თავდაცვის ანგარიშში პირველად გამოიყენეს აღნიშნული ტერმინი და ამ კონტექსტში სამხედრო ატაშეს როლიც იყო ნახსენები. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ გაერთიანებულმა სამეფომ გადახედა სტრატეგიული თავდაცვის ანგარიშს და ახალი მიდგომა განავითარა, რომლის მიხედვითაც სამხედრო დიპლომატიის მთავარი მახასიათებელია ერთდროულად დიპლომატიური და სამხედრო მეთოდების გამოყენება. სამხედრო დიპლომატიის დამატებითი ფუნქციები დაემატა, როგორებიცაა სამხედრო რჩევებისა და დახმარების აღმოჩენა ქვეყნებისთვის, რომლებიც თავდაცვის/სამხედრო სექტორის რეფორმირებას ახდენენ, პოსტ-კონფლიქტურ და კონფლიქტურ რეგიონებში სამხედრო-სამოქალაქო მისიების ჩამოყალიბება.

თუმცა ეს ფუნქციები გამოყენებადია მხოლოდ წამყვანი ქვეყნების ატაშეების მიერ განვითარებად ქვეყნებში და ფუნდამენტალურად არ ცვლის სამხედრო ატაშეს ტრადიციულ როლს.

თავდაცვის/სამხედრო ატაშეს სისტემის მასშტაბი და სტრუქტურა ქვეყნის სამხედრო პრიორიტეტებსა და რესურსებზეა დამოკიდებული. შეიძლება ქვეყანას საერთოდ არ ჰყავდეს ატაშე, რომელიც სამხედრო ურთიერთობებზე

იქნება პასუხისმგებელი, ან ერთდროულად, რამდენიმე ატაშე ჰყავდეს და ისინი ქვეყნის შეირალებული ძალების სხვადასხვა ნაწილებს წარმოადგენდნენ. ამ უკანასკნელის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები. მას რამდენიმე ასეული ატაშე ჰყავს მსოფლიოს მრავალი ქვეყანის საელჩოში. შვეიცარიას 17 ატაშე ჰყავს და ისინი 72 ქვეყანასთან აწარმოებენ ორმხრივ ურთიერთობებს.

**სახელმძღვანელო კანონმდებლობა საქართველოს
თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს
წარმომადგენლებისათვის**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეები და სამოქალაქო წარმომადგენლები თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელმძღვანელობენ:

საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, დებულებით „თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების საქმიანობის წესისა და თანამდებობების დასახელების შესახებ“, „საქართველოს თავდაცვის სამი-

ნისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის (სამმართველო) დებულებით“.

თავიანთი საქმიანობისას ისინი ასევე ითვალისწინებენ იმ მასპინძელი სახელმწიფოს კანონმდებლობას, სადაც იქნებიან მივლენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მისიის განსახორციელებლად.

თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისი (სამმართველო)

იმისათვის, რომ მოხდეს თავდაცვის ატაშეების, სამოქალაქო წარმომადგენლების და საზღვარგარეთ მათი აპარატების გამართული საქმიანობის კოორდინაცია, ასევე ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა, ასევე კონტროლი გაენიოს მათ საქმიანობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შექმნილია თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისი. ოფისის საქმიანობას არეგულირებს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის (სამმართველო) დებულება“.

ოფისის ამოცანებში ასევე შედის: საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.

თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისი (სამმართველო) არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი. სამმართველო ოფიციალურად ანგარიშვალდებულია მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე. ოფისი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტებთან.

ოფისი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს თავდაცვის პოლიტიკის განხორციელებაში - თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს და წარუდგენს მინისტრს ან მინისტრის კურატორ მოადგილეს;

ოფისს აქვს ბეჭედი, ტიტულიანი ბლანკი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გერბის გამოსახულებით და წარწერით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისი (სამმართველო)“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის ფუნქციებს განეკუთვნება:

1. უზრუნველყოს საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში სამინისტროს წარმომადგენლობა კანონმდებლობის შესაბამისად. რაც ნიშნავს, რომ მოამზადოს და მოთხოვნის შესაბამისად წარადგინოს თავდაცვის ატაშესა და წარმომადგენლის თანამდებობაზე სათანადო კვალიფიციური კადრები;

2. საზღვარგარეთ საქართველოს თავდაცვის ატაშეების, სამოქალაქო წარმომადგენლების და მათი აპარატების ადმინისტრაციული უზრუნველყოფა და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. ასევე იმ სამართლებრივი დოკუმენტაციით უზრუნველყოფის კოორდინაცია, რითაც უნდა იხელმძღვანელონ წარგზავნილმა დიპლომატებმა თავიანთი მისიის განხორციელების დროს.

3. საზღვარგარეთის სახელმწიფოების სამხედრო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარების, წარმოებისა და განვითარების მიზნით, თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების (მათი აპარატების) დიპლომატიური საქმიანობის კოორ-

დინაციაში მონაწილეობა, მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის მიერ განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად, სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

4. კომპეტენციის ფარგლებში, საზღვარგარეთის ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში აკრედიტებულ მესამე ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან საქართველოს თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების (მათი აპარატების) თანამშრომლობის წარმართვა და კოორდინირება, შესაბამისი დირექტივების შემუშავება.

5. საზღვარგარეთის სახელმწიფოების (საერთაშორისო ორგანიზაციების) თავდაცვის უწყებებთან თანამშრომლობის გეგმების (პროგრამების) შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა.

6. საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო და სამხედრო პოლიტიკურ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ საინფორმაციო ცნობების შეგროვება, დამუშავება და კურატორი მინისტრის მოადგილის, სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ინფორმაციული უზრუნველყოფა.

7. საზღვარგარეთის ქვეყნების (საერთაშორისო ორგანიზაციების) თავდაცვის სფეროს (სამხედრო თანამშრომლობის სფეროში გამოვლენილი გამოწვევებისა და ტენდენციების, სამხედრო-სამრეწველო, სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო-ტექნიკური, სამხედრო კანონმდებლობა, სამხედრო-დიპლომატიური პოტენციალი) და თავდაცვის სფეროზე შესაძლო გავლენის მომხდენი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პროცესების მიმდინარეობაზე ინფორმაციის შესწავლა, შეფასება, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მოპოვება, დამუშავება და სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ინფორმირება, ასევე, შესაბამისი წინადადებების შემუშავება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით თანამშრომლობის პერსპექტივებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, შესაბამის კონსულტაციებში მონაწილეობის მიღება – საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

8. საზღვარგარეთის სახელმწიფოებში (საერთაშორისო ორგანიზაციებში) სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ვიზიტების დაგეგმვაში მონაწილეობა, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და მათი ადმინისტრაციულ-საპროტოკოლო უზრუნველყოფა.

ოფისის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და მისი ფუნქციონალური მოვალეობები

თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის შემადგენლობაში შედიან საქართველოს თავდაცვის ატაშეები, სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენლები და საშტატო ნუსხით განსაზღვრული სხვა მოსამსახურეები.

ოფისს ხელმძღვანელობს ოფისის უფროსი, რომელიც ექვემდებარება მინისტრს და კურატორ მინისტრის მოადგილეს, თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება მინისტრის მიერ, მინისტრის მოადგილის წარდგინებით.

ოფისის უფროსი:

- პასუხისმგებელია ოფისზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე. ხელს აწერს და ვიზირებას უკეთებს ოფისში მომზადებულ დოკუმენტებს.
- განსაზღვრავს მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების თანამშრომელთა ფუნქციონალურ მოვალეობებს, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს, ახორციელებს კონტროლს თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

- მონაწილეობს ოფისში კადრების შერჩევის საკითხებში, მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
- განიხილავს თავდაცვის ატაშესა და სამოქალაქო წარმომადგენლის აპარატებში შტატგარეშე თანამშრომლების (ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი) სამსახურში აყვანის საკითხს კურატორ მინისტრის მოადგილესთან შეთანხმებით.
- წარუდგენს მინისტრს წინადადებებს ოფისის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, ოფისის თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, კურატორ მინისტრის მოადგილესთან შეთანხმებით.
- შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა ოფისზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.
- აბარებს ანგარიშს მინისტრს და კურატორ მინისტრის მოადგილეს ოფისის საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ.
- ახორციელებს წინამდებარე დებულებით, მინისტრის ან მინისტრის მოადგილის მიერ განსაზღვრულ სხვა ამოცანებს.

თავდაცვის ატაშე და სამინისტროს წარმომადგენელი იყენებენ შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის სატიტულო

ფურცელს, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით და აღინიშნება თავდაცვის ატაშეს/სამინისტროს წარმომადგენლის თანამდებობა. აღნიშნული სატიტულო ფურცლის ნიმუში მტკიცდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატი

საქართველოსა და შესაბამის ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, თავდაცვის/სამხედრო დაწესებულებას ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატი.

აპარატის ფუნქციებში შედის:

1. ადგილსამყოფელ ქვეყანაში კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სუვერენიტეტის, ქვეყნის უსაფრთხოების, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების წარმოდგენა და დაცვა, სამხედრო პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება;

2. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს (საერთაშორისო ორგანიზაციის) თავდაცვის დაწესებულებებსა და დიპლომატიურ სამსახურებთან, აგრეთვე ამ სახელმწიფოში (საერთაშორისო ორგანიზაციაში) აკრედიტებულ სხვა სახელმწიფოს (საერთაშორისო ორგანიზაციის) თავდაცვის წარმომადგენლობებთან სამხედრო-დიპლომატიური საქმიანობის წარმართვა, თანამშრომლობის ახალი სფეროების ათვისების მიზნით რეკომენდაციების მომზადება;

3. საქართველოსა და შესაბამის ადგილსამყოფელ სახელმწიფოს (საერთაშორისო ორგანიზაციას) შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პროგრამების (გეგმების) შემუშავებაში მონაწილეობა;

4. ადგილსამყოფელ სახელმწიფოში (საერთაშორისო ორგანიზაციაში) აკრედიტებულ სამხედრო-დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

წარმომადგენლობას, აპარატს გააჩნია თავისი საბანკო ანგარიში, ასევე ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და დიპლომატიური წარმომადგენლობისა და თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის თანამდებობის აღნიშვნით.

საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით განთავსებულია თავდაცვის ატაშეს, ასევე სამინისტროს წარმომადგენლის სამუშაო ოთახში, ხოლო თუ წარმომადგენლობა ცალკე შენობაშია, აგრეთვე – შენობის ფასადზე და, ასევე სხდომათა დარბაზში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აპარატის სტრუქტურის შექმნა, თანამდებობის პირთა დანიშვნა

თავდაცვის ატაშეს/ წარმომადგენლის აპარატის სტრუქტურის შექმნა, ასევე თანამდებობის დასახელება ხდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შესაბამის ადგილსამყოფელ (მასპინძელ) სახელმწიფოსთან (საერთაშორისო ორგანიზაციასთან) შეთანხმებით.

დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შეიძლება სამუშაოდ მივლენილ იქნეს თავდაცვის ატაშე, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციაში – წარმომადგენელი. ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან შეთანხმებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება დაფუძნდეს თავდაცვის ატაშეს აპარატი, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციასთან – წარმომადგენლის აპარატი.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს განსაზღვრავს საქართველო თავდაცვის მინისტრი, თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის უფროსის მიერ შესაბამის მინისტრის მოადგილესთან შეთანხმებული წარდგინების საფუძველზე.

თავდაცვის ატაშეს/თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატს ხელმძღვანელობს სამხედრო წარმომადგენლის აპარატის შემთხვევაში – თავდაცვის ატაშე/სამხედრო წარმომადგენელი, ხოლო სამოქალაქო წარმომადგენლის აპარატის შემთხვევაში – სამოქალაქო წარმომადგენელი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თავდაცვის ატაშედ/წარმომადგენლად ან მათ აპარატში შეიძლება დაინიშნონ შემდეგი თანამდებობის პირები:

*უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები (B3):
თავდაცვის ატაშე, სამხედრო წარმომადგენელი, სამოქალაქო წარმომადგენელი;*

*უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები (C3) –
თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის საჯარო*

*მოსამსახურეები: თავდაცვის ატაშეს მოადგილე, თანაშემწე;
სამხედრო წარმომადგენლის მოადგილე, თანაშემწე;
სამოქალაქო წარმომადგენლის მოადგილე, თანაშემწე;
უფროსი მეკავშირე ოფიცერი; მეკავშირე ოფიცერი.*

საქართველოში თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენელის თანამდებობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ნიშნავს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, სათანადო კვალიფიკაცია და პროფესიული მომზადება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და ერთ უცხოურ ენას.

თავდაცვის ატაშე/წარმომადგენელი არის ერთდროულად დიპლომატიური წარმომადგენლობის/საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ოპერატიულ და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

თავი II.

დიპლომატიური აგენტის ადგილსამყოფელ ქვეყანასა და საკუთარ ქვეყანასთან ურთიერთობის სპეციფიკა. ურთიერთობები სხვა ქვეყნების დიპლომატიურ აგენტებთან

მისიის დაწყება

მისიის დასაწყებად აუცილებელია ადგილსამყოფელი (მიმღები) სახელმწიფოს აგრემანი, ანუ თანხმობა წარმომადგენლის მიღებაზე. გარდა ამისა, თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის სტრუქტურის შექმნა, ასევე თანამდებობის დასახელება შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის ადგილსამყოფელ (მიმღებ) სახელმწიფოსთან (საერთაშორისო ორგანიზაციასთან).

საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ერთი სამხედრო ატაშე აკრედიტებულია ორ ან ორზე მეტ სახელმწიფოში, ანუ მისი უფლებამოსილება ფარავს რამდენიმე სახელმწიფოს. ეს შეიძლება იყოს რამდენიმე მოსაზღვრე, ან რაიმე გაერთიანებაში მყოფი სახელმწიფოები. რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილების შესახებ

ინფორმირებული უნდა იყვნენ მასპინძელი ქვეყნები და, შესაბამისად საჭიროა თითოეული მათგანის აგრემანი.

„დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის“ მე-7 მუხლის თანახმად, სამხედრო ატაშეს შემთხვევაში, ადგილსამყოფელ (მასპინძელ) სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ მისი ვინაობა წინასწარ იყოს ცნობილი მისი აკრედიტებისათვის თანხმობის მისაღებად.

ამავე კონვენციის მიხედვით, წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრები პრინციპული თვალსაზრისით უნდა იყვნენ იმ ქვეყნის მოქალაქენი, რომელსაც წარმოადგენენ (ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქენი).

მიმღებ ქვეყანას ასევე უნდა ეცნობოს:

- წარმომადგენლობის თანამშრომელის ოჯახის წევრის ჩასვლა, ან სამუდამოდ წასვლა და სათანადო (მაგალითად ქორწინების ან განქორწინების) შემთხვევაში ისიც, რომ ესა თუ ის პირი წარმომადგენლობის თანამშრომელის ოჯახის წევრი ხდება, ან აღარ არის მისი ოჯახის წევრი;
- იმ კერძო შინამუშაკების (მაგალითად: ბავშვის ძიძა, მომვლელი) ჩასვლა ქვეყანაში და საბოლოო წასვლა

ქვეყნიდან, რომლებიც წარმომადგენლობაში მომუშავე დიპლომატების ოჯახებში მსახურობენ, და სათანადო შემთხვევებში, ასეთ პირებთან მათი სამსახურის შეწყვეტა;

- იმ პირთა დაქირავება და დათხოვნა, რომლებიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ცხოვრობენ, როგორც წარმომადგენლობის თანამშრომლები ან შინამუშაკები და აქვთ პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება.

თუ ქვეყნებს წარმომადგენლობის თანამშრომლების/ პერსონალის რაოდენობის თაობაზე კონკრეტული შეთანხმება არა აქვთ, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს წარმომადგენლობის პერსონალის რაოდენობა იმ თვარგლებში, რომლებიც მას გონივრულად და ნორმალურად მიაჩნია თავის სახელმწიფოში არსებული გარემოებების, პირობებისა და მოცემული წარმომადგენლობის მოთხოვნილების შესაბამისად.

ადგილსამყოფელ (მიმღებ) სახელმწიფოს აგრეთვე შეუძლია, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უარი თქვას რომელიმე გარკვეული კატეგორიის თანამდებობის პირთა მიღებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან, პირი წყვეტს ნებისმიერ აქტიურ პოლიტიკურ და სხვა

საქმიანობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობის პერიოდში დიპლომატიური თანამდებობის პირი პოლიტიკურად ნეიტრალურია და არა აქვს უფლება, ეწეოდეს საქმიანობას/პროპაგანდას ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, გაერთიანების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მეგობრული სახელმწიფოები, როგორც წესი, ცდილობენ დროულად გასცენ თანხმობა მათთან დიპლომატიური აგენტის დანიშვნაზე. თუ პასუხი დიდხანს გვიანდება, ეს შესაძლოა თავაზიანი უარის ნიშანი იყოს. სახელმწიფო არ არის ვალდებული, განმარტოს, თუ რატომა არის მიუღებელი მისთვის ესა თუ ის პირი.

როგორც წესი, უარის შემთხვევაში, პასუხი იგვიანებს და წერილობითი უარი არ იგზავნება. ეს ფორმა მიღებულია იმიტომ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება არ გახდეს პრესაში განხილვისა და მითქმა-მოთქმის საგანი და არ დააზიანოს ქვეყნებს შორის ურთიერთობები.

მას შემდეგ, რაც მიმღები სახელმწიფოს აგრემანი მოსულია, იწყება საბუთების (პასპორტი, ვიზა და ა.შ.) მომზადება გასამგზავრებლად.

აუცილებელია, მიმღებ ქვეყანას წინასწარ ნოტიო ვაცნობოთ თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის ქვეყანაში ჩასვლის ზუსტი დრო, საზღვრის გადაკვეთის ადგილი და საშუალება, აგრეთვე ოჯახის წევრთა და თანმხლებ პირთა ვინაობა, რომლებიც მასთან ერთად მგზავრობენ.

აკრედიტაცია ადგილსამყოფელ სახელმწიფოში

გემოთჩამოთვლილი ფუნქციების შესასრულებლად მხოლოდ ქვეყანაში ჩასვლა საკმარისი არ არის, აუცილებელია აკრედიტაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის თავდაცვის უწყებაში, რის შემდეგაც ატაშეს/თავდაცვის წარმომადგენელს ეძლევა საკუთარი უფლებამოსილების ლეგალურად განხორციელების საშუალება.

ატაშეს/წარმომადგენლის აკრედიტაციისათვის დიპლომატიურმა მისიამ წერილობით უნდა მიმართოს ადგილზე თავდაცვის უწყებას (ზოგ ქვეყანაში კი, როგორც თავდაცვის, ასევე საგარეო უწყებას). დიპლომატმა უნდა წარადგინოს აკრედიტაციისათვის საჭირო, ადგილობრივი ქვეყნის საგარეო და თავდაცვის უწყებების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია. რის შემდეგაც, დიპლომატი იღებს შესაბამისი აკრედიტაციის სპეციალურ ბარათს, რომელიც მოქმედებს დიპლომატის მისიის ამონურვამდე. ასეთივე დოკუმენტი გაიცემა დიპლომატის ოჯახის წევრებსა და თანმხლებ პირებს. ყველა

სახელმწიფოში არსებობს თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აკრედიტაციისა და შემდგომში მისი ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის დებულება, რომელსაც აქვს წერილობითი დოკუმენტის ფორმა. დიპლომატი ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ წესებით საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას.

ქვეყანაში ჩასვლისას თავდაცვის ატაშე ვალდებულია პირველი საპროტოკოლო ვიზიტით ეწვიოს თავდაცვის უწყების საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის დეპარტამენტის (ან ამ ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელს. ამ ვიზიტის შემდეგ ის ითვლება აკრედიტირებულად.

დიპლომატმა ასევე წერილობით უნდა მოითხოვოს შეხვედრა თავდაცვის მინისტრთან და გენერალური (გაერთიანებული) შტაბის ხელმძღვანელთან. ამისათვის ყველა ქვეყანაში დაგენილია მიმართვის სპეციალური წერილობითი ფორმა, რომლის დაცვაც სავალდებულოა.

მას შემდეგ, რაც ოფიციალური ურთიერთობა მიმდებ ქვეყანასთან დამყარებულია და აკრედიტაცია მიღებულია, თავდაცვის ატაშე/წარმომადგენელი ასევე ვალდებულია საპროტოკოლო ვიზიტით ეწვიოს ატაშეებს შორის **დუაინს** (ეს პოზიცია ელჩების მსგავსად, თავდაცვის ატაშეებს შორისაც

არსებობს). თავდაცვის ატაშეები/წარმომადგენლები შეადგენენ დიპლომატიურ კორპუსის ცალკე ერთეულს, რომლის სათავეშიაც დგას *დუაინი*. ეს არის რანგითა და ამ კონკრეტულ ქვეყანაში ყოფნის ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე თავდაცვის ატაშე.

დუაინეთან ურთიერთობა ატაშეებს/წარმომადგენლებს ეხმარება ადვილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტებული ატაშეების კორპუსთან ურთიერთობასა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვაში.

თავდაცვის ატაშეს და წარმომადგენლის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული უფლებები და მოვალეობები

თავდაცვის ატაშე არის ოფიცერი, შეიარაღებული ძალების წევრი, რომელიც მივლენილია საზღვარგარეთ საელჩოში, ან დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მისი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის უწყების წარმომადგენლად.

თავდაცვის ატაშე, ძირითადად, პასუხისმგებელია ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, თავდაცვისა და სამხედრო სფეროში, ორმხრივი ურთიერთობების წარმართვაზე. იგი, ასევე, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის უფროსი მრჩეველია თავდაცვის საკითხებში.

ტრადიციულად, თავდაცვის ატაშის ფუნქციები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს :

1. სამინისტროს დავალებით ორმხრივი ინტერესების საკითხებზე ადგილსამყოფელი ქვეყნის თავდაცვის უწყებისათვის საკუთარი ხელმძღვანელობის მოსაზრებების გადაცემა - ეს ფუნქცია უმნიშვნელოვანესია დიპლომატიის საქმიანობაში და მის მაღალპროფესიულად განხორციელებაზე ბევრადაა დამოკიდებული ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებას შორის საქმიანი თანამშრომლობის, ნდობისა და ურთიერთგაგების საკითხი.

დიპლომატი არ არის კურიერი, რომელსაც მხოლოდ ინფორმაცია მიაქვს ადრესატამდე. დიპლომატიის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად იქნება აღქმული მითანილი გზავნილი ადგილსამყოფელ ქვეყანაში. განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება იმ საკითხებს, სადაც ადგილსამყოფელი ქვეყანა აფიქსირებს საქართველოსაგან განსხვავებულ პოზიციებს. დიპლომატმა ყოველთვის უნდა დააზუსტოს საკუთარ ხელმძღვანელობასთან, თუ რა ფარგლებში შეიძლება მოახდინოს ამა თუ იმ პოზიციის განმარტება. ზოგ შემთხვევაში კომენტარი საერთოდ არ კეთდება და

მიმღებ მხარეს გადაეცემა მხოლოდ მშრალი ინფორმაცია.

მეტი „ცნობიმოყვარეობა“ საჭირო, როდესაც ადგილსამყოფელი სახელმწიფო დიპლომატს უზიარებს საკუთარ მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხზე. ამ დროს ყოველთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რას ეფუძნება, რითია განპირობებული და რამდენად მდგრადია ესა თუ ის პოზიცია. ამისათვის კი საჭიროა ადგილსამყოფელ ქვეყანასთან კავშირების გაღრმავება და უშუალო კავშირების დამყარება კონკრეტულ უწყებასა თუ სფეროში მოღვაწე გავლენიან და კომპეტენტურ ადამიანებთან.

2. **ადგილსამყოფელ ქვეყანაში მისი ქვეყნის თავდაცვის უწყების წარმოდგენლობითი და საპროტოკოლოლ საქმიანობის განხორციელება** - იგი გულისხმობს თავდაცვის ატაშეს მიერ სამინისტროს დელეგაციების ვიზიტების მომზადებასა და მასში მონაწილეობის მიღებას, საქართველოს შეიარაღებული ძალების საიუბილეო დღესასწაულებთან დაკავშირებით მიღებების მონაწილას და საპროტოკოლოლ ღონისძიებების უზრუნველყოფას; მონაწილეობის მიღებას ადგილსამყოფელი ქვეყნის ოფიციალურ ღონისძიებებში, როგორებიცაა: შესაბამისი უწყებების მიწვევით

აღლუმებზე, სამხედრო წვრთნებზე, მანევრებზე, მიღებებზე დასწრება, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღება, სამხედრო და სხვა არასამხედრო უწყებებში ვიზიტები; აგრეთვე პროტოკოლით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას და მათში მონაწილეობას.

აღნიშნული ფუნქციის შესრულება დიპლომატიისაგან მოითხოვს არა მხოლოდ საკუთარის საქმის ცოდნას, არამედ კომუნიკაციის უნარს, ადგილსამყოფელი ქვეყნის ტრადიციებსა და კულტურაში გარკვევას, აგრეთვე თავაზიანობას, ყურადღებასა და გულისხმიერებას კოლეგებისადმი.

საპროტოკოლო ღონისძიებები კავშირების შექმნის საუკეთესო საშუალებაა. დიპლომატი უნდა ცდილობდეს მაქსიმალურად გაათავართოვოს საკუთარი ნაცნობების წრე. მას სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ხელისუფლებასა და საზოგადოებაში გავლენიან პირებზე, ხელისუფლების წყაროებზე, სხვადასხვა უწყებებისა თუ შიდაუწყებრივი რგოლების ურთიერთდამოკიდებულებასა და ადგილზე გადანყვეტილების მიმღებ პირებზე.

გარდა ამისა, დიპლომატი ინტენსიურად უნდა მუშაობდეს თავის უცხოელ კოლეგებთან - სხვა სახელმწიფოების თავდაცვის ატაშეებთან და წარმომადგენლებთან, რათა საჭიროების შემთხვევაში შესძლოს საკუთარი ხელმძღვანელობისაგან მიღებული გზავნილების სწრაფი დისტრიბუცია, მრავალმხრივი კონსულტაციების წარმოება და ერთობლივი ძალისხმევით გარკვეული საკითხის ლობირება.

3. საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე ორმხრივი სამხედრო ურთიერთობების განხორციელება - ორმხრივი ურთიერთობების ინტენსიურობა და ერთობლივი პროგრამების რიცხვი, ძირითადად, დამოკიდებულია წარმგზავნ და მასპინძელ ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობათა პოლიტიკურ დონეზე. ფორმატი შესაძლოა იყოს რამდენიმე სახის:

- ძალიან ახლომეგობრული და პარტნიორული (სტრატეგიული). ეს შეიძლება იყოს განპირობებული როგორც ორმხრივ ფორმატში არსებული თანამშრომლობით, ასევე ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წევრობით ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში. ამ შემთხვევაში თავდაცვის ატაშეს აქვს ინტენსიური

ურთიერთობა მასპინძელი ქვეყნის სამხედრო და თავდაცვის უწყებასთან, აქტიურად არის ჩაბმული ორმხივი სამხედრო პროგრამების განხროციელებაში. მისი ამოცანაა არსებული პროექტების განხროციელების მონიტორინგი და ახალი შესაძლო პროექტების გამონახვა, მისი ქვეყნის ინტერესებისა და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

- ზოგადად მეგობრული, მაგრამ მოცემულ ეტაპზე სპეციფიური პარტნიორობის გარეშე. ასე ხდება ხოლმე პატარა ქვეყნებს შორის ურთიერთობაში, როდესაც სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ მკაფიოდ განსაზღვრული სამხედრო ინტერესები და შეზღუდულები არიან ფინანსურ შესაძლებლობებში. ამ შემთხვევაში თავდაცვის ატაშეს მასპინძელი ქვეყნის სამხედრო და თავდაცვის უწყებაში ახლო ურთიერთობების შექმნა და განვითარება ევალეა. თავისი და მასპინძელი ქვეყნის სამხედრო ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მან უნდა მოახდინოს საერთო ინტერესების იდენტიფიკაცია და შეიმუშავოს წინადადებები შესაძლო ორმხრივ

სამხედრო პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით.

- დაძაბული და მოცემულ დროის მონაკვეთში რაიმე პარტნიორობის პერსპექტივის გარეშე. ამის მაგალითია ნატო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობის ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. ამ შემთხვევაში, ორმხრივი პროგრამების არარსებობის ფონზე და, ასევე, რაიმე თანამშრომლობის პერსპექტივის გარეშე, თავდაცვის ატაშე მხოლოდ ოფიციალური საპროტოკოლო ურთიერთობებით შემოიფარგლება და ძირითადად წარმომადგენლობით როლს ასრულებს. ამავდროულად, ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ვითარების მონიტორინგის, ანალიზისა და პროგნოზირების ფუნქცია.

საქართველოს, როგორც ნატო-ს პოტენციურ წევრსა და ახლო პარტნიორ სახელმწიფოს, მეგობრული და პარტნიორული ფორმატი აქვს ალიანსის ყველა წევრ ქვეყანასთან და ასევე კანდიდატ და პარტნიორ ქვეყნებთან (ბუნებრივია, რუსეთის გარდა). შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ატაშეს ამოცანაა მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და განვითარება

როგორც მასპინძელი ქვეყნის თავდაცვისა და სამხედრო უწყებებში, ასევე ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლებთან.

4. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს (საერთაშორისო ორგანიზაციის) თავდაცვის სფეროს (სამხედრო კანონმდებლობის, სამხედრო, სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-დიპლომატიური პოტენციალი) შესწავლა, შესაბამისი ღია საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მოპოვება, დამუშავება და საკუთარი სამინისტროს ინფორმირება, რეკომენდაციების მიწოდება გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე შესაბამისი კონსულტაციების გამართვა; ადგილსამყოფელი ქვეყნის უსაფრთხოების სიტუაციის შესახებ საკუთარი ქვეყნისათვის ანგარიშებისა და ანალიტიკური ინფორმაციის გაგზავნა. ეს თავდაცვის ატაშის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა და მისი განხორციელება აუცილებელია ნებისმიერ ფორმატსა და ქვეყანაში მუშაობის დროს. მეგობარ ქვეყნებში ინფორმაციის შეგროვება უნდა ხდებოდეს ღია წყაროებიდან, როგორებიცაა ადგილობრივი პრესა და ინტერნეტ საშუალებები, საპროტოკოლო შებვდრები, პირადი საუბრები. *ინფორმაციის მოგროვება არაავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს ჯაშუშურ საქმიანობას.*

მსგავსი მოქმედება შესაძლოა დასაშვები იყოს მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე ნეგატიურად განწყობილ ქვეყანაში მუშაობის დროს, ისიც, არა საკუთარი ინიციატივით, არამედ თავდაცვის უწყებიდან სპეციალური დავალების მიღების შემთხვევაში.

ინფორმაციის შეგროვების შემდგომ, უნდა მოხდეს მისი დამუშავება. თუ რაიმე მიზეზით (მაგალითად, განსაკუთრებული ოპერატიულობის გამო) ინფორმაცია იგზავნება ანალიზის გარეშე, მას უნდა დაერთოს ყველა ის დეტალი, რომელიც შესაძლოს გახდის მის სრულყოფილ ანალიზს. სხვა შემთხვევაში, მოპოვებულ მასალას ატაშემ სრულყოფილი სახე უნდა მისცეს. მან უნდა შეძლოს, გამოკვეთოს ტენდენციები, ახსნას მიმდინარე მოვლენები და მიღებული გადანწყვ-ტილებები, წარმოადგინოს საზოგადოებისა თუ პოლიტიკური წრეების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხთან/გადანწყვეტილებასთან დაკავშირებით. დიპლომატს, როგორც უშუალოდ ადგილზე მყოფ ადამიანს, აქვს საშუალება, უკეთ შეაფასოს მიმდინარე მოვლენები, განსაზღვროს მათი შემდგომი განვითარება, მათი დინამიკა, კრიზისული სიტუაციების განვითარების სხავდასხვა სცენარები.

5. **წარმგზავნი სახელმწიფოსა და მასპინძელი ქვეყნის სამხედრო წარმოებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა** - ეს ფუნქცია შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ორმხრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ გამომდინარე თანამედროვე სამხედრო მრეწველობისა და ტექნოლოგიური კვლევების განვითარების მზარდი ტემპებიდან, უპრიანი იქნებოდა ამ ამოცანის ცალკე ფორმატში განხილვა. ამ ეტაპზე ნატო-ს თითქმის ყველა ქვეყანას აქვს განვითარებული სამხედრო წარმოების რომელიმე კომპონენტი. ეს შეიძლება იყოს სამხედრო მრეწველობის სრული ფორმატი - როგორც აშშ-ს, ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის შემთხვევაშია (ეს ქვეყნები აწარმოებენ სამივე ტრადიციულ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების შეიარაღების სრულ სპექტრს, ასევე მაღალ ტექნოლოგიურ კვლევებს), ნაწილობრივი - როგორც თურქეთის, პოლონეთის, რუმინეთის და ჩეხეთის შემთხვევაშია (ეს ქვეყნები აწარმოებენ სახმელეთო კომპონენტს და არსებულის მოდერნიზაციას, ასევე მცირე წილით საზღვაო კომპონენტს თურქეთის შემთხვევაში), ან სამხედრო მრეწველობის რაიმე სეგმენტი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ესტონეთის მაგალითზე. ეს არის მცირე ტექნოლოგიები - ძირითადად, სიმულაციური სისტე-

მები, მცირე და საშუალო მოცულობის უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატები და კიბერ-უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური კვლევები.

შესაბამისად, თავდაცვის ატაშეს ერთ-ერთი ამოცანაა წარმგზავნი და მიმღები ქვეყნების საერთო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი და მასპინძელი ქვეყნის სამრეწველო და კვლევით ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის დამყარების ხელშეწყობა. საკუთარი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, მას შეუძლია ინიციატივის გამოჩენა და რეკომენდაციების გაგზავნა სამინისტროში ასეთი თანამშრომლობის შესაძლო პერპექტივებთან დაკავშირებით. ასევე, შესაბამისი ამოცანის მიღების შემდგომ, ტექნიკური მოთხოვნ-ნილებებისა და ფინანსური სახსრების გათვალისწინებით, სხვადასხვა შესაძლებლობების მოძიება ხდება ადგილზე. აღნიშნულის საფუძველზე, ასევე ხდება ზოგადი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება სხვადასხვა სახის სისტემების შესყიდვასა თუ გაყიდვასთან დაკავშირებით.

6. სამხედრო და უსაფრთხოების საკითხებში ელჩის ან საელჩოს სხვა თანამშრომლებისთვის რეკომენდაციების გაწევა და ზოგადი დახმარების აღმოჩენა.

თავდაცვის ატაშე არის საელჩოს თანამშრომელი და, აქედან გამომდინარე, იგი ასევე მონაწილეებს საელჩოს საქმიანობაში. იგი ეხმარება ელჩს მისი საქმიანობის განხორციელებაში, მაგრამ თავდაცვის ატაშეს სპეციფიკიდან გამომდინარე, ის ძირითადად შემოიფარგლება სამხედრო და ნაწილობრივ უსაფრთხოების პოლიტიკის თემებით (არ გულისხმობს ფიზიკურ უსაფრთხოებას). თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, კრიზისული სიტუაციების დროს, საელჩოში უსაფრთხოების წარმომადგენლის არყოფნის შემთხვევაში, თავდაცვის ატაშეს შესაძლოა დაევალოს საელჩოს თანამშრომლების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება ითვალისწინებდეს საელჩოს ევაკუაციის გეგმის განხორციელება/კოორდინაციას.

ბოგიერთი ქვეყნის თავდაცვის ატაშეს შესაძლოა ჰქონდეს დამატებითი ფუნქციები, ისეთები, როგორებიც არის კრიზისულ სიტუაციებში მეგობარი ქვეყნის ან რეგიონის დახმარების კოორდინაცია ადგილზე, ან ჰუმანიტარული დახმარების მონიტორინგი. თუმცა, ეს მხოლოდ გამონაკლის და სპეციალურ შემთხვევებში ხდება.

სამხედრო წარმომადგენლები

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამხედრო წარმომადგენლების მოვალეობები. ისინი წარგზავნილნი არიან არა ქვეყანაში, არამედ ორგანიზაციებში, როგორებიც არის, ნატო, ეუთო, გაერო და სხვა შესაძლო რეგიონული ორგანიზაციები. ამ შემთხვევაში, ზოგადი განმარტებით, სამხედრო წარმომადგენლებს ევალებათ საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა, იმ მოვალეობებისა და ამოცანების მიხედვით, რომლებიც ქვეყანას ეკისრება აღნიშნულ ორგანიზაციაში წევრობის საფუძველზე.

ასეთი სახის ორგანიზაციების (ეუთო და განსაკუთრებით ნატო) სტატუსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ქვეყნებს ჰყავთ არა ერთი და/ან ორი სამხედრო წარმომადგენელი, როგორც ეს ორმხრივ თორმატებში ხდება, არამედ - სამხედრო მისია/წარმომადგენლობა. შესაბამისად, მთავარი სამხედრო წარმომადგენელი ასევე არის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი, რაც ზრდის როგორც საკვალიფიკაციო, ასევე სტატუსის მოთხოვნებსაც. მაგალითისათვის, თუ საშუალო და დიდი ქვეყნების უმრავლესობა ხშირ შემთხვევებში ქვეყნებში ატაშეებად ნიშნავს ვიცე პოლკოვნიკის, ან პოლკოვნიკის რანგის ოფიცერს (გარდა სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებისა, როგორებიც შეიძლება იყოს ვაშინგტონი, პეკინი და სხვა), ნატო-ში თითქმის ყველა ეს ქვეყანა გენერალის/

ადმირალის დონით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება კვალიფიკაციას, მთავარ და ყველა სამხედრო წარმომადგენელს მისიის შემადგენლობაში, თავისუფლად უნდა შეეძლოს წარმოადგინოს თავისი ქვეყანა და დაიცვას მისი ინტერესები სხვადასხვა სახის რეგულარულ შეხვედრებზე, ნატო-ში ეს ფორმატი კომიტეტების სახელით არის ცნობილი. კომიტეტებზე დასწრება ხდება მოთხოვნილი დონის და თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში ეს დედაქალაქიდან წარმგზავნილი ოფიცერია, მაგრამ, ნებიმიერ შემთხვევაში, სამხედრო მისიის წევრებს თავადაც უნდა შეეძლოთ ამ მოვალეობის შესრულება.

გარდა აღნიშნული ფორმატისა, შეიარაღებული ძალების წევრები, შესაძლოა, მსახურობდნენ ისეთი რეგიონული ორგანიზაციების სამხედრო წარმომადგენლებად, როგორც არის ნატო, ევროკავშირი, გაერო. ისინი შესაძლოა მიავლინონ თავიანთი ქვეყნის ქვოტით ორგანიზაციის წარმომადგენლებად და ჰქონდეთ „მისიების ხელმძღვანელების“ ან „სამხედრო მრჩეველების“ სტატუსი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეს აქვს სპეციფიური ფუნქციები და იგი წარმოადგენს არა თავისი ქვეყნის, არამედ წარმგზავნი ორგანიზაციის ინტერესებს და ასრულებს მის დავალებებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის სხვა უშუალო მოვალეობებია:

- თავდაცვის ატაშესა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა, მათთვის დავალებებისა და მითითებების მიცემა;
- ადგილსამყოფელ ქვეყანაში სწავლების მიზნით მივლინებული სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების მონიტორინგი და მათ წინაშე წამოჭრილი საკითხების გადანყვეტაში ხელშეწყობა;
- ადგილსამყოფელ სახელმწიფოში (საერთაშორისო ორგანიზაციაში) სამსახურებრივი მივლინებით მყოფი სამინისტროს თანამშრომლებისათვის კოორდინაციის გაწევა და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების აღმოჩენა;
- აპარატის მიერ მომზადებული ოფიციალური დოკუმენტების ხელმოწერა; ასევე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე, სამინისტროს სახელით სამართლებრივ დოკუმენტებსა და ხელშეკრულებებზე ხელმოწერა;
- ფინანსური ანგარიშვალდებულებების შესრულება;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოვალეობების შესრულება.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატში ასევე მნიშვნელოვანი თანამდებობაა თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის მოადგილე, რომელიც აპარატის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობებს, უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს აწერს აპარატში მომზადებულ დოკუმენტებს; აკონტროლებს აპარატის საქმიანობის მიმდინარეობასა და შედეგებს; უზრუნველყოფს აპარატის ეფექტურ ფუნქციონირებას; ასრულებს აპარატის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ სხვა დავალებებს.

მნიშვნელოვანია განსაკუთრებული და ახლო კოლეგიალური ურთიერთობების დამყარება აკრედიტაციის გამცემ უწყებასთან.

ნებისმიერ ოფიციალურ კავშირებს ადგილ-სამყოფელი ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტებთან ატაშე/წარმომადგენელი ახორციელებს სწორედ ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტაციის გამცემი ორგანოს, ანუ თავდაცვის უწყებას ან თავდაცვისა და საგარეო უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციითა და მათი მემკვიდრით. ამ საკითხში, როგორც წესი, ქვეყნები ითხოვენ დიპლომატიური პროტოკოლის განუხრელ დაცვას. რაც გულიხმობს, რომ მიმონერა სახელმწიფო ორგანოებთან უნდა ხორციელდებოდეს მხო-

ლოდ დიპლომატიური არხებით, ანუ ადგილზე აკრედიტაციის გამცემი ორგანოს მეშვეობით.

დიპლომატს უნდა ჰქონდეს პირადი კავშირები ყველა, მისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის აუცილებელ, უწყების ხელმძღვანელ და პასუხისმგებელ მუშაკებთან, მაგრამ მათთან ოფიციალური მიმონერა უნდა განახორციელოს დიპლომატიური პროტოკოლის ნორმების დაცვით. მაგალითად, თუ დიპლომატიური ტვირთის მიღების ოპერატიულობის თვალსაზრისით აუცილებელია პირდაპირ კავშირზე გასვლა ადგილობრივ საბაჟო უწყებასთან, დიპლომატმა შესაძლოა გამოიყენოს პირადი მეგობრული კავშირები ამ ორგანოსთან ურთიერთობისათვის, მაგრამ ყველა საჭირო ოფიციალური დოკუმენტაცია უნდა გადაუგზავნოს ადგილზე აკრედიტაციის გამცემი უწყების (თავდაცვის ან საგარეო საქმეთა სამინისტროს) მეშვეობით.

ადგილსამყოფელი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსადმი
წერილობითი მიმართვის ნიმუშები

REQUEST FOR INFORMATION OR DOCUMENTS

No.:

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in presents its compliments to the Defence Policy Department of the Ministry of Defence of theand, in line with the Handbook on Cooperation with Defence Attachés Accredited in the, has the honor to request the following information or documents:

Information:

A Precise Description of the Requested Information

.....
.....

B, Classification Level

C, Purpose of Requesting the Information

Document:

A, Document or Publication Title

B, Publisher

C, Date of Publishing.....

D, Classification Level.....

E, Purpose of Requesting the Document.....

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... hereby agrees to pay all costs of obtaining the requested information and documents in accordance with the rules of the Ministry of Defence of the and the Armed Forces prior to delivery of the document.

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... hereby certifies that it will handle the requested information and documents properly, according to its classification level and pursuant to the signed agreements on protection of classified information. It will use the requested information and documents solely for the purposes of:.....

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... takes this opportunity to reaffirm the Defence Policy Department of the Ministry of Defence of the..... of its highest consideration.

.....
(Place, Date, Signature, Stamp)

REQUEST FOR A MEETING WITH A REPRESENTATIVE OF
THE MINISTRY OF DEFENCE OF THE

No:

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... presents its compliments to the Defence Policy Department of the Ministry of Defence of the and, in line with the Handbook on Cooperation with Defence Attachés Accredited in the, has the honor to request a meeting with(Name and Office)

1. Proposed Date of the Meeting
2. Objective of the Meeting.....
3. Topics of the Meeting.....
4. Members of Delegation (Name, Office, ID Card Number, Vehicle Plate Number).....
.....
5. Language of the Meeting.....

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in takes this opportunity to reaffirm the Defence Policy Department of the Ministry of Defence of the of its highest consideration.

.....

(Place, Date)

Signature, Stamp

REQUEST FOR A MEETING WITH A REPRESENTATIVE OF
THE ARMED FORCES OF.....

No:

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... presents its compliments to the International Military Cooperation Coordination Division of the General Staff of the Armed Forces of theand, in line with the Handbook on Cooperation with Defence Attachés Accredited in the....., has the honor to request a meeting with(Name and Office)

1. Proposed Date of the Meeting.....
2. Objective of the Meeting.....
3. Topics of the Meeting.....
4. Members of Delegation (Name, Office, ID Card Number, Vehicle Plate Number)
5. Language of the Meeting.....

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... takes this opportunity to reaffirm the International Military Cooperation Coordination Division of the General Staff of the Armed Forces of the of its highest consideration.

.....

(Place, Date)

Signature, Stamp

REQUEST TO VISIT A FACILITY ADMINISTERED BY
THE MINISTRY OF DEFENCE OF THE -----

No:

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... presents its compliments to the Defence Policy Department of the Ministry of Defence of the and, in line with the Handbook on Cooperation with Defence Attachés Accredited in the, has the honor to request permission to visit the below listed facility in the subordination of the Ministry of Defence of the(Name of Facility)

1. Visited Persons (Name, Office).....
2. Proposed Date of the Visit
3. Objective of the Visit.....
4. Topics of the Meeting.....
5. Members of Delegation (Name, Office, ID Card Number, Vehicle Plate Number)
6. Language of the Meeting.....

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... takes this opportunity to reaffirm the Defence Policy Department of the Ministry of Defence of the.....of its highest consideration.

.....

(Place, Date)

Signature, Stamp

REQUEST FOR PERMISSION TO VISIT A FACILITY
OF THE ARMED FORCES

No:

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in presents its compliments to the International Military Cooperation Coordination Division of the General Staff of the Armed Forces of the..... and, in line with the Handbook on Cooperation with Defence Attachés Accredited in the....., has the honor to request permission to visit the below listed facility of the Armed Forces of the.....(Name of Base/Unit/Facility)

1. Visited Persons (Name, Office).....
2. Proposed Date of the Visit
3. Objective of the Visit.....
4. Topics of the Meeting.....
5. Members of Delegation (Name, Office, ID Card Number, Vehicle Plate Number)
6. Language of the Meeting.....

The Defence Attaché Office at the Embassy of Georgia in..... takes this opportunity to the International Military Cooperation Coordination Division of the General Staff of the Armed Forces of the..... of its highest consideration.

.....

(Place, Date)

Signature, Stamp

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის დაქვემდებარებულება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავდაცვის ატაშე/ წარმომადგენელი და მისი აპარატის საჯარო მოსამსახურეები საქართველოს შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის შემადგენლობაში შედიან და ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ოპერატიული, ხოლო სამინისტროს ადმინისტრაციული დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებიან.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ოპერატიული დაქვემდებარების ფარგლებში, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი უფლებამოსილია:

გაეცნოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის სახელზე შესულ კორესპონდენციას, ასევე ვიზირება მისცეს მათ მომზადებულ კორესპონდენციას. არსებული წესი არ შეეხება თავდაცვის სამინისტროდან მიღებულ და სამინისტროში გასაგზავნ კორესპონდენციას.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენელს დავალებებსა და მითითებებს აძლევენ:

- საქართველოს თავდაცვის მინისტრი და კურატორი მინისტრის მოადგილე ან/და მინისტრის მიერ უფლებამოსილი სხვა თანამდებობის პირი;
- დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი (მხოლოდ ოპერატიული დაქვემდებარების ფარგლებში);
- თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და თავდაცვის წარმომადგენლების ოფისის უფროსი.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლისა და მისი აპარატის ყოველდღიურ, მათ შორის, საინფორმაციო-ანალიტიკურ და სამხედრო-დიპლომატიურ საქმიანობას კოორდინაციას უწევენ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და თავდაცვის სამინისტრო.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენელს, მის აპარატსა და თანამდებობის პირებს მატერიალურ-ტექნიკურად და ფინანსურად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტრო.

თავი III.

თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების თანამდებობის პირთა მიერ სამსახურის გავლის, მათი გამონწვევის, სოციალური დაცვისა და გარანტიების ძირითადი პრინციპები

თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის და მათი აპარატების თანამდებობის პირთა მიერ სამსახურის გავლის, მათი გამონწვევის, სოციალური დაცვისა და გარანტიების მიმართ გამოიყენება კანონით „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ დადგენილი წესები.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადა. როტაცია.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დანიშნული თავდაცვის ატაშე/წარმომადგენელი და მისი აპარატის დიპლომატიური თანამდებობის პირები ადგილსამყოფელ სახელმწიფოში (საერთაშორისო ორგანიზაციაში) წარიგზავნიებიან როტაციის წესით, რაც ნიშნავს დიპლომატიური თანამდებობის პირთა სამსახურში წარგზავნას გარკვეული ვადით, რის შემდეგადაც ხდება მათი შენაცვლება ახალი კადრით.

დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დანესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების თითოეული ვადა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისათვის და გენერალური კონსულისათვის არის 4 წელი, ხოლო დიპლომატიური თანამდებობის ყველა სხვა პირისათვის - 3 წელი.

შესაბამისად, სამხედრო ატაშეს, ასევე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მივლინების ვადა უცხო ქვეყანაში განისაზღვრება 3 წლის ვადით. ეს პერიოდი საჭირო და სასურველია იმისთვის, რომ ატაშემ კარგად გაიცნოს ადგილსამყოფელი ქვეყანა, მიღებული გამოცდილება გაუზიაროს საკუთარ ქვეყანას და ამასთანვე, თავი აარიდოს ადგილსამყოფელ ქვეყანასთან ემოციური კავშირების დამყარებას.

თავდაცვის ატაშეს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, და თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის უფროსის წარდგინებით.

უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ თავდაცვის მინისტრს შეუძლია გაუგრძელოს მივლინების ვადა კიდევ

1 წლამდე, ხოლო, გამონაკლის და აუცილებელ შემთხვევაში, 3 წლამდე.

**თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის
ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალი**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის უფროსის წარდგინებით, თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატში არადიპლომატიურ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ, ან ხელშეკრულებით სამუშაოდ მიღებულ იქნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საქართველოს მოქალაქეები – ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, რომლებიც ასრულებენ ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფისა და დამხმარე ხასიათის სხვა ფუნქციებს.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისათვის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა ასევე 3 წელია.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის, ასევე მათი აპარატის თანამშრომლების უფლებამოსილების შეწყვეტა

მართალია, თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის, ასევე მათი აპარატის თანამშრომლების საზღვარგარეთ მივლინების ვადა 3 წლით განისაზღვრება, მაგრამ, გარკვეულ შემთხვევებში, კანონის შესაბამისად, შეიძლება მოხდეს მათი სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა და მოსამსახურის ვადაზე ადრე გამოწვევა. ეს პროცედურაც ხორციელდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფისის უფროსის წარდგინებით.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული თავდაცვის ატაშეების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირების როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის (მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების გამო მივლინების შეწყვეტისას) ან სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვევის შემთხვევაში, გამოწვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საკითხების მოგვარების მიზნით, პირის გამოწვევა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანებით სამსახურიდან გათავისუფლების თარიღიდან არა უმეტეს 20 კალენდარული დღის ვადაში”.¹

როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის ან ვადამდე გამონწვევის შემთხვევაში, თუ გამონწვევა თანამდებობის პირის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებას არ უკავშირდება, თანამდებობის პირი ინიშნება სამინისტროში ან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე, ხოლო შესაბამისი ვაკანსიის არარსებობის შემთხვევაში, მისი თანხმობით, ირიცხება თავდაცვის სამინისტროს რეზერვში (კადრების განკარგულებაში).

დიპლომატიური სამსახურიდან ვადაზე ადრე გამონწვევა

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის ვადაზე ადრე გამონწვევის შემთხვევებზე ვრცელდება დიპლომატიური წარმომადგენლობიდან დიპლომატიური თანამდებობის პირის ვადაზე ადრე გამონწვევის ზოგადი წესი.

¹ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება №160. 2011 წლის 7 მარტი. ქ. თბილისი

ვადაზე ადრე გამოწვევა შეიძლება მოხდეს:

- დიპლომატიური წარმომადგენლობის ლიკვიდაციისას ან/და რეორგანიზაციისას, მათ შორის თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის ლიკვიდაციისას ან/და რეორგანიზაციისას;
- დიპლომატიური წარმომადგენლობის, მათ შორის თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას;
- მივლინებული პირის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ „პერსონა ნონ გრატად“ ან მიუღებელ პირად გამოცხადებისას;
- მნიშვნელოვანი საერთაშორისო გართულებისას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დიპლომატიური ან საკონსულო თანამდებობის პირის შემდგომმა მუშაობამ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში;
- თანამდებობის პირის თანხმობით მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას;
- თანამდებობის პირის მოთხოვნისას;
- თანამდებობის პირის ერთ თვეზე მეტი ვადით დროებითი შრომისუუნარობისას, თუ მისმა არყოფნამ შესაძლებელია შეაფერხოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება;

- თანამდებობის პირის გარდაცვალებისას;
- თანამდებობის პირის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ფუნქციების შეწყვეტის წესი

ზოგადად დიპლომატიური აგენტის ფუნქციები წყდება როცა:

- მაკრედიტებელი/წარმგზავნი სახელმწიფო ადგილსამყოფელ სახელმწიფოს აცნობებს, რომ წყდება დიპლომატიური აგენტის ფუნქციები;
- ადგილსამყოფელი სახელმწიფო უარს ამბობს მაკრედიტებელი/წარმგზავნი სახელმწიფოს დიპლომატიური აგენტის წარმომადგენლობის თანამშრომლად ცნობაზე.

ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტის, ანდა დიპლომატიის საბოლოო ან დროებითი განვევის შემთხვევაში:

- ადგილსამყოფელი სახელმწიფო პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს წარმომადგენლობის კარ-მიდამოს, მის ქონებასა და არქივებს. (მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი);

- მაკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი წარმომადგენლობის კარ-მიდამოს, ქონებისა და არქივების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის;
- მაკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი და თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლისა და მისი აპარატის თანამდებობის პირების სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. წარმომადგენლის აპარატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, წარმომადგენლის თანამდებობის გაუქმება

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლისა და მისი აპარატის თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები და აპარატის შენახვის ხარჯები, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის, მისი აპარატის თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების პირველადი საყოფაცხოვრებო მოწყობის მიზნით ანაზღაურებადი ერთჯერადი თანხები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის თანამდებობის გაუქმება ხორციელდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სოციალური დაცვა და გარანტიები

თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლისა და მისი აპარატის თანამდებობის პირთა სოციალური დაცვისა და გარანტიების მიმართ გამოიყენება „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები.

როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებაში წარგზავნილი თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

თავდაცვის ატაშე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, მათი აპარატების თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები პირველადი საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის ერთჯერადად იღებენ თანხას. თანხის მიზნობრიობასა და ოდენობას, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თავისებურებათა გათვალისწინებით და საქარ-

თველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, აღგენს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ან მათთან მცხოვრები ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს ყველა ხარჯს, მათ შორის, გარდაცვლილის საქართველოში გადმოსვენების საფასურს.

როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირისა და მისი ოჯახის წევრების სოციალური დაცვა

საზღვარგარეთ დიპლომატიური საქმიანობის განხორციელება უდიდესი მისიაა თითოეული თანამდებობის პირისათვის და მათ კვალიფიციურ საქმიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნებს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

მეორეს მხრივ, როგორც წარმგზავნმა, ასევე მასპინძელმა სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს დიპლომატი სამუშაო პირობებით, უნდა იზრუნოს მის დაცულობაზე, რომ დიპლომატიური სამსახურის განხორციელებამ ზიანი არ მიაყენოს როგორც უშუალოდ დიპლომატს, ისე მის ოჯახის წევრებს.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში დიპლომატიური მისიით წარგზავნილ პირს უფლება აქვს წაიყვანოს თავისი ოჯახის წევრები. თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილ პირსა და მისი ოჯახის წევრებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში. რაც ნიშნავს, რომ საზღვარგარეთ დიპლომატიური მისიის განხორციელებისას პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საცხოვრებლით, მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა რაოდენობის, მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირი და მისი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სავალდებულო სამედიცინო დაზღვევითა და სამედიცინო მომსახურებით.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნილ პირს მივლინების დღიდან უწყდება შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) და ეძლევა საზღვარგარეთ მისიის განხორციელების გასამრჯელო, რასაც ეწოდება სამუშაო მივლინების თანხა.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის (და მათი ოჯახის წევრთა) სამუშაო მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობები და წესი განისაზღვრება თავდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილ თანამდებობის პირს უფლება აქვს, ისარგებლოს ყოველწლიური კუთვნილი შვებულებით.

როგორც თავდაცვის, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება ვალდებული არიან, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნილ პირსა და მისი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ დიპლომატს მისიის განხორციელება უხდება რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საყოფაცხოვრებო, კრიმინოგენულ და კლიმატურ პირობებში.

პირველ რიგში, დიპლომატიური ან საკონსულო საქმიანობის განსახორციელებლად დიპლომატიური თანამდებობის პირის მივლინება ქვეყნებში, სადაც რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, საყოფაცხოვრებო, კრიმინოგენული და

კლიმატური პირობებია, დასაშვებია, მხოლოდ დიპლომატიური თანამდებობის პირის თანხმობით.

მივლინების ადგილებში შეიარაღებული ან სამოქალაქო კონფლიქტების, სტიქიური უბედურებების ან სხვა ისეთი ვითარების წარმოშობისას, რომელიც საფრთხეს უქმნის სამუშაოდ მივლინებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ქონებას, წარმგზავნი ქვეყანა იღებს ყველა საჭირო ზომას მათი სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და დასაცავად. ეს ეხება, როგორც მათ დროულ ევაკუაციას სიცოცხლისათვის საშიში გარემოდან, ასევე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სხვა ზომებს მათი უსაფრთხოებისა და დაცულობისათვის.

დიპლომატიური იმუნიტეტი

დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობა-ნაგებობანი ხელშეუხებელია და ითვლება იმ სახელმწიფოს ტერიტორიად, რომელსაც წარმოადგენს ადგილსამყოფელ ქვეყანაში. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ შევიდნენ ამ შენობებში, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის თანხმობის გარეშე.

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე

უნდა უზრუნველყოს წარმომადგენლობის ყველა თანამშრომლის თავისუფალი გადაადგილება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს, პირის უსაფრთხოების ნორმებს, ასევე თუ არ არისებობს სპეციალური წესები აკრძალული ზონების შესახებ, რაც გამონვეულია სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით.

ადგილსამყოფელ სახელმწიფოს საგანგებოდ ევალება ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ დაიცვას წარმომადგენლობის შენობები ყოველგვარი შეჭრისა თუ დაზიანებისგან და არ დაუშვას წარმომადგენლობის სიმშვიდის რაიმე სახით დარღვევა ან მისი ღირსების შელახვა. კერძოდ, წარმომადგენლობის შენობებს, ავეჯს და სხვა იქ არსებულ ქონებას, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებს მინიჭებული აქვს იმუნიტეტი და არ შეიძლება მათი გაჩხრეკა, რეკვიზიცია, ყადაღის დადება და სააღსრულებლო მოქმედება.

წარმომადგენლობის არქივები და დოკუმენტები ასევე ხელშეუხებელია ნებისმიერ დროს, მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად.

ვენის კონვენციის თანახმად, მაკრედიტებელი/წარმგზავნი ქვეყანა და წარმომადგენლობის მეთაური თავისუფლდებიან ყოველგვარი სახელმწიფო, რაიონული თუ მუნიციპალური

გადასახადებისაგან, წარმომადგენლობის საკუთარი თუ დაქირავებული ნაგებობებისათვის მოსაკრებლებისა თუ ბაჟისაგან, რომლებიც კონკრეტული სახეობის მომსახურების გადასახდელია. იმავედროულად, გასათვალისწინებელია, რომ ეს წესი არ ვრცელდება იმ გადასახადებზე, მოსაკრებლებსა და ბაჟზე, რომლებიც, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონების თანახმად, უნდა გადაიხადონ მათ, ვინც კონტრაქტებს აფორმებს მაკრედიტებელ სახელმწიფოსთან ან წარმომადგენლობის მეთაურთან (მაგ: გადასახადისგან არ თავისუფლდება ადგილობრივი მოქალაქე, ვინც მიაქირავა საელჩოს შენობა წარმომადგენლობის მეთაურს).

აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია, რომ, მაგალითად, რეზიდენციის თუ სხვა უძრავი ქონების მფლობელმა დიპლომატთან ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებისას შესაძლოა მოითხოვოს შემოხსენებული გადასახადების საფასურის შეტანა ქირავნობის თანხაში.

გასამრჯელო და მოსაკრებლები, რომლებსაც წარმომადგენლობა იღებს თავისი ოფიციალური მოვალეობის შესრულებისას, თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან.

საყოფაცხოვრებო, თუ სხვა ნივთები, პირველადი მოხმარების საგნები, თუ საკვები პროდუქტი, რომელსაც შეიძენს

დიპლომატიური წარმომადგენლობა, ან მისი თანამშრომლები, ასევე თავისუფლედება ადგილსამყოფელი ქვეყნის მოსაკრებლებისაგან. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ამ გადასხადების ადგილზევე, ანუ ყიდვის პროცესში გამოქვითვის პრაქტიკა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად და ამავე კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად ხდება უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

ოფიციალური კორესპონდენციის ხელშეუხებლობა

ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა ნება დართოს და დაიცვას დიპლომატიური წარმომადგენლობის, მათ შორის თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატის, თავისუფალი ურთიერთობა თავის ქვეყანასთან, რომელიც ხორციელდება მისიის საქმიანობის ოფიციალური მიზნებიდან გამომდინარე. საკუთარ სახელმწიფოსთან და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებთან, სხვა წარმომადგენლობებთან და საკონსულოებთან ურთიერთობისათვის, დიპლომატიურ წარმომადგენლობას შეუძლია გამოიყენოს ყველა მოსახერხებელი საშუალება, მათ შორის დიპლომატიური კურიერები, კოდირებული თუ დაშიფრული დეპეშები. იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენლობას ესაჭიროება რადიოგადამცემის დადგმა და გამოყენება, ან სპეციალური კავშირის სხვა არხების

ექსპლუატაცია, მან აღნიშნული უნდა განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ოფიციალური კორესპონდენცია ხელშეუხებელია. ოფიციალურ კორესპონდენციად ითვლება მთელი ის კორესპონდენცია, რომელიც წარმომადგენლობას და მის ფუნქციებს ეხება. დაუშვებელია ადგილსამყოფელი ქვეყნის მიერ დიპლომატიური ფოსტის გახსნა ან შეყოვნება.

თავის მხრივ, დიპლომატიური ფოსტის ყველა დასტას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნები, რომლებიც მიუთითებს მათ ხასიათს და მათში შეიძლება იყოს მხოლოდ დიპლომატიური დოკუმენტები და საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია ოფიციალური გამოყენებისათვის. დაუშვებელია დიპლომატიური ფოსტით კერძო მოხმარების საგნების ან კერძო კორესპონდენციის გადაგზავნა.

დიპლომატიურ კურიერს, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტები მისი სტატუსისა და დიპლომატიური ფოსტის დასტების რიცხვის მითითებით, თავისი მოვალეობის შესრულებისას იცავს ადგილსამყოფელი სახელმწიფო, მისი პიროვნება ხელშეუხებელია და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება.

თავის მხრივ, წარმგზავნ მხარესაც, ასევე მის დიპლომატიურ წარმომადგენლობას შეუძლია თვითონ დანიშნოს სპეციალური დიპლომატიური კურიერი. იგი ჩვეულებრივ სარგებლობს დიპლომატიური კურიერის იმუნიტეტით, რაც წყდება მის მიერ დავალებული დიპლომატიურ ფოსტის ადგილზე ჩაბარების მომენტის დადგომისთანავე.

თუ სპეციალური დიპლომატიური კურიერი არ არის გამოყოფილი, დიპლომატიური ფოსტა შეიძლება მიენდოს სამოქალაქო თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურს, თუმცა იგი დიპლომატიურ კურიერად არ ითვლება. მას თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი ფოსტის დასტების რიცხვის მითითებით. წარმომადგენლობას შეუძლია აეროპორტში გაგზავნოს თავისი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ და დაუბრკოლებლად ჩაიბარებს თვითმფრინავის მეთაურისაგან დიპლომატიურ ფოსტას.

დიპლომატიური აგენტის და მისი ოჯახის წევრების ხელშეუხებლობა

დიპლომატის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება არავითარი ფორმით. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია ჯეროვანი პატივით ექცეოდეს მას და ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ

თავიდან ააცილოს მისი პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა.

დიპლომატიური აგენტის კერძო რეზიდენცია, ბინა, სადაც ის ცხოვრობს ადგილსამყოფელ ქვეყანაში, მისი ქონება, კორესპონდენციები ასევე ხელშეუვალი და დაცულია, როგორც წარმომადგენლობის შენობები.

დიპლომატიურ აგენტს აქვს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის იმუნიტეტი. მას აქვს აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის იმუნიტეტი, რაც ნიშნავს რომ მის მიმართ ადგილსამყოფელ ქვეყანაში შეუძლებელია დაიწყოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როცა:

1. აღძრულია სანივთო სარჩელი, რომელიც შეეხება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ კერძო უძრავ ქონებას, თუ დიპლომატი ამ ქონებას ფლობს თავისი პირადი სახელით, კერძო მიზნებისათვის და არა თავისი სახელმწიფოს სახელით და წარმომადგენლობის მიზნებისათვის;

2. აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება მემკვიდრეობას,

რომლის მიმართაც დიპლომატიური აგენტი გვევლინება ანდერძის აღმსრულებლად, სამემკვიდრეო ქონების მზრუნველად ან საანდერძო დანაკისრის მიმღებლად, როგორც კერძო პირი, და არა წარმომადგენელი სახელმწიფოს სახელით;

3. აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება ყოველგვარ პროფესიულ და კომერციულ საქმიანობას, რომელსაც დიპლომატიური აგენტი თავისი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებს გარეთ ეწევა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. *როგორც ზემოთ აღინიშნა, დიპლომატიურ წარმომადგენელს უცხო ქვეყანაში აკრძალული აქვს ყოველგვარი კომერციული და სხვა საქმიანობა, საიდანაც მიიღებს მუდმივ შემოსავალს და ეწეება პირადი სარგებელი.*

დიპლომატიური აგენტი ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება როგორც მონმემ.

დიპლომატიური აგენტის მიმართ არ შეიძლება განხორციელდეს არავითარი სააღსრულებო ღონისძიებანი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებული იყო ზემოთჩამოთვლილი პუნქტებში, და მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი არ დაარღვევს მისი პიროვნების ან მისი რეზიდენციის ხელშეუხებლობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილსამყოფელი

სახელმწიფოს იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი არ ათავისუფლებს მას მაკრედიტებელი, ანუ საკუთარი სახელმწიფოს იურისდიქციისგან. ე.ი. თუ საქართველოს მოქალაქე დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ადგილსამყოფელ ქვეყანაში ჩაიდინა რაიმე სამართალდარღვევა, მის მიმართ შესაბამისი ღონისძიებები შეიძლება გაატაროს თავისივე ქვეყანამ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ შესაძლოა მიმართოს მაკრედიტირებელ/წარმგზავნ სახელმწიფოს დიპლომატი-სათვის იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით.

არსებობს შემთხვევები, როდესაც თვითონ მაკრედიტებელ სახელმწიფოს უარი განუცხადებია საკუთარი დიპლომატის იმუნიტეტზე. თუმცა სახელმწიფოს ასევე აქვს უფლება შეუნარჩუნოს დიპლომატს იმუნიტეტი, მაგრამ გამოიწვიოს მისიიდან. ნებიმიერი ასეთი გადაწყვეტილება (დადებითი თუ უარყოფითი) გარკვეულად და ნათლად უნდა იყოს გამოხატული და მის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს ადგილსამყოფელ ქვეყანას.

დიპლომატიური აგენტის/წარმომადგენლის გათავისუფლება გადასახადებისაგან

დიპლომატიური აგენტი თავისუფალია ყველა პირადი და ქონებრივი, სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან, გარდა:

- არაპირდაპირი გადასახადებისა, რომლებიც შედის საქონლის ან მომსახურების ფასში;
- ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კერძო უძრავი ქონების მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, თუ იგი მას არ ფლობს მსაკრედიტებელი სახელმწიფოს სახელით წარმომადგენლობის მიზნებისათვის;
- სამემკვიდრეო გადასახადებისა და ბაჟისა, რომელსაც ადგილსამყოფელი სახელმწიფო ახდევინებს იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომლის მემკვიდრეც გახდა პირი არა წარმომადგენლობის სახელით.
- იმ კერძო შემოსავლის მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, რომლის წყარო ადგილსამყოფელ სახელმწიფოშია, აგრეთვე ადგილსამყოფელ სახელმწიფოს კომერციულ სანარმოებში ჩადებულ კაპიტალდაბანდებაზე გადასახადებისა;
- მოსაკრებლებისა, რომლებსაც ახდევინებენ კონკრეტული სახეობის მომსახურებისათვის;

- სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟისა, იპოთეკური მოსაკრებლებისა და საგერბო მოსაკრებლისა, უძრავი ქონების მიმართ რომლებიც გამოიყენება წარმომადგენლობის ოფიციალური ფუნქციონირების მიზნებისათვის.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონების გათავისუფლება გადასახადებისაგან

ადგილსამყოფელი სახელმწიფო იქ დამკვიდრებული კანონებისა და წესების შესაბამისად, განსაზღვრავს წარმომადგენლობის ფუნქციონირებისათვის საჭირო იმ ნივთების ჩამონათვალს, რომელთა შეტანაც ქვეყანაში გათავისუფლებულია ყოველგვარი ბაჟისაგან, გადასახადებისაგან და ამასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, გარდა შენახვის, გადაზიდვისა და სხვა ამგვარი მომსახურების მოსაკრებლებისა. როგორც, წესი, ასეთებს განეკუთვნება:

- საგნები, რომლებიც ოფიციალური საქმიანობისათვის ესაჭიროება წარმომადგენლობას;
- საგნები, რომლებიც პირადი გამოყენებისათვის ესაჭიროება დიპლომატიურ აგენტს, ან მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს, მათ შორის საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების ნივთები.

დიპლომატიური აგენტის პირადი ბარგი თავისუფლდება შემონმებისგან, თუ არ არის სერიოზული ეჭვი იმისა, რომ იგი შეიცავს საგნებს/ნივთებს, რომლებზეც არ ვრცელდება შეუვალობა, რომელიც არ არის მათი პირადი გამოყენების, ან საელჩოს და წარმომადგენლობისთვის საჭირო ნივთები, ან ბარგში არის ისეთი ნივთები, რომელთა შემოტანა-გატანა აკრძალულია კანონით, ან რეგულირდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კარანტინის წესებით.

ასეთი შემონმება უნდა ხდებოდეს მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის (მაგალითად კონსულის, ან საკონსულოს თანამშრომლის, ან წარმომადგენლობის სხვა უფლებამოსილი პირის) თანდასწრებით.

ამ პროცედურებთან დაკავშირებით, გადასახადებთან და საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, იგივე პრივილეგიებით სარგებლობენ დიპლომატიურ აგენტთან მცხოვრები მისი ოჯახის წევრები, თუ ისინი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან.

ასეთივე იმუნიტეტები აქვთ წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს, თუ ისინი

ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან და იქ მუდმივად არ ცხოვრობენ. წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრებს იმუნიტეტი აქვთ ისეთი მოქმედებების დროს, რაც დაკავშირებულია თავიანთი უშუალო მოვალეობის შესრულებასთან. ასეთ შემთხვევაში, ისინი თავისუფლდებიან სამსახურში მიღებული შემოსავლის გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან.

პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლების მქონე ყოველი პირი სარგებლობს ამ უფლებით ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისი პოსტის დასაკავებლად ჩასვლის მომენტიდან. იმ შემთხვევაში კი, თუ პირი დანიშნამდე უკვე იმყოფება ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაშინ იმუნიტეტის უფლებას ის იძენს იმ მომენტიდან, როცა მისი დანიშვნის თაობაზე აცნობებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, რომელსაც ევალება აღნიშნული დიპლომატიური აგენტის აკრედიტაცია.

თუ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით მოსარგებლე პირის უფლებამოსილება იწურება, მას პრივილეგიები და იმუნიტეტები ავტომატურად შეწყდება მისი მიერ ქვეყნის დატოვების მომენტიდან, ან ქვეყნიდან გასამგზავრებლად საჭირო გონივრული ვადის გასვლისთანავე.

შეიარაღებული კონფლიქტების და სხვა შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია გარკვეულ ვადაში ადგილსამყოფელი ტერიტორიის დატოვება, პირს დიპლომატიური იმუნიტეტი უნარჩუნდება, მაგრამ, მხოლოდ იმ მოქმედებათა მიმართ, რომლებსაც ახორციელებს წარმომადგენლობის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, თანამშრომლობის ფუნქციების შესრულებისას.

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, ხელი უნდა შეუწყოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე არარეზიდენტ პირთა (არარეზიდენტი - არა ამ ქვეყნის მოქალაქე), აგრეთვე მათი ოჯახის წევრების, მოქალაქეობის მიუხედავად, რაც შეიძლება მალე გამგზავრებას. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გადასცეს სატრანსპორტო საშუალებანი გასამგზავრებლად და ქონების გადასატანად.

წარმომადგენლობის თანამშრომლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრები მათთვის მინიჭებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობენ ადგილსამყოფელი ქვეყნის დასატოვებლად საჭირო გონივრული ვადის გასვლამდე, რაც გულისხმობს აუცილებელი იურიდიული და სხვა პროცედურების გავლისათვის საჭირო დროს.

ასეთ შემთხვევაში, გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ადგილობრივმა სახელმწიფომ უნდა დართოს გარდაცვლილის მოძრავი ქონების გატანის ნება, იმ ქონების გარდა, რომელიც შექნილია ამ ქვეყანაში და რომლის გატანაც აკრძალული იყო მისი გარდაცვალების დროისათვის. სამემკვიდრეო გადასახადისა და ბაჟისაგან თავისუფლდება ქონება, რომლის არსებობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში განპირობებულია იყო მხოლოდ იმით, რომ ამ ქვეყანაში გარდაცვლილი იმყოფებოდა როგორც წარმომადგენლობის თანამშრომელი, ან წარმომადგენლობის თანამშრომლის ოჯახის წევრი.

მესამე სახელმწიფოთა ვალდებულებები დიპლომატიური წარმომადგენლების იმუნიტეტების მიმართ

თუ დიპლომატიური აგენტი მგზავრობს მესამე სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით, რომელმაც მას ვიზა მისცა (თუ ასეთი რამ საჭიროა), ან იმყოფება ამ ტერიტორიაზე და მიემგზავრება თავისი პოსტის დასაკავებლად, ან ბრუნდება ამ პოსტზე, ან თავის ქვეყანაში, მესამე სახელმწიფო მას ასევე ანიჭებს ხელშეუხებლობას და მისი მგზავრობის ან უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა იმუნიტეტებს. არსებული ეხება აგრეთვე მისი ოჯახის ყველა წევრს, ვინც პრივილეგიებით ან იმუნიტეტებით სარგებლობს და თან ახლავს დიპლომატიურ აგენტს ან ცალკე მგზავრობს, რათა

შეუერთდეს მას, ან დაბრუნდეს თავის ქვეყანაში. მესამე სახელმწიფოებმა ასეთივე შემთხვევებში ხელი არ უნდა შეუშალონ მათ ტერიტორიაზე წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური ან მომსახურე პერსონალის წევრთა და მათი ოჯახების წევრთა გავლასაც.

ამისათვის აუცილებელია, რომ მესამე სახელმწიფოს წინასწარ, შესაბამისი ნოტიო ეცნობოს მის ტერიტორიაზე მსგავსი სატრანზიტო გადაადგილების შესახებ, დიპლომატიის, მისი ოჯახისა და თანმხლები პირების ვინაობის, მათ მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის თარიღების, ადგილისა და სატრანსპორტო საშუალებების მითითებით.

მესამე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ტრანზიტად გამავალი ოფიციალური კორესპონდენციისა და სხვა ოფიციალურ ცნობების, მათ შორის კოდირებულ და დაშიფრული დეპეშების გადაადგილების ისეთივე თავისუფლება და დაცვა, როგორც ამას უზრუნველყოფს ადგილსამყოფელი სახელმწიფო. იგივე დებულებები ვრცელდება დიპლომატიურ კურიერებსა და დიპლომატიურ ფოსტასთან დაკავშირებით.

დიპლომატიური წარმომადგენლების ჩაურევლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის საშინაო საქმეებში

თავიანთი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეუღებასადაც, ყველა პირი, ვინც ასეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ვალდებულია პატივი სცეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობას. ისინი, აგრეთვე, ვალდებული არიან, არ ერეოდნენ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

მააკრედიტებელი/წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ წარმომადგენლობისათვის მინდობილი მთელი ოფიციალური საქმიანობა ადგილსამყოფელი ქვეყნის მიმართ ხორციელდება უშუალოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთობით, ან მეშვეობით, ან სხვა მააკრედიტირებელ სამინისტროსთან ურთიერთობით (თავდაცვის ატაშესა და წარმომადგენლის შემთხვევაში ასეთად გვევლინება თავდაცვის უწყება).

წარმომადგენლობისადმი კუთვნილი შენობები და გადაადგილების საშუალებები არ უნდა იქნეს გამოყენებული წარმომადგენლობის იმ ფუნქციებთან შეუთავსებელი მიზნებისათვის, რა ფუნქციებიც გათვალისწინებულია „ვენის კონვენციით დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“, ან ზოგადად საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ან განსაზღვრულია მააკრედიტებელ სახელმწიფოსა და

ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის მოქმედი რაიმე სპეციალური შეთანხმებებით.

ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია, ახსნა - განმარტების გარეშე, ამცნოს წარმგზავნ სახელმწიფოს, რომ წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის რომელიმე წევრი, ან მომუშავე პერსონალი არის *Persona Non Grata*, ანუ მიუღებელია მისთვის. მაშინ ასეთი პირი დაუყოვნებლივ უნდა გაიწვიოს წარმგზავნმა ქვეყანამ.

ასევე შესაძლებელია, მიმღებმა ქვეყანამ თანამდებობის პირი *Persona non grata*, ანუ მიუღებლად გამოაცხადოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩასვლამდეც.

თუ წარმგზავნი სახელმწიფო გონივრულ ვადაში არ გაიწვევს, ან არ შეცვლის თავის კანდიდატურას, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია არ სცნოს აღნიშნული პირი წარმომადგენლობის თანამშრომლად. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ქვეყნისთვის არასასურველი თანამდებობის პირის თავის სამშობლოში უკან განვება, მისი სახელმწიფოდან სამუდამო წასვლა ან წარმომადგენლობაში ფუნქციების შეწყვეტა ასევე უნდა ეცნობოს ადგილსამყოფელ ქვეყანას.

თავი IV.

დიპლომატიური სამსახურის დოკუმენტების შედგენისა და მიმონერის სპეციფიკა

წერილობით კომუნიკაციას დიპლომატიაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. იგი განეკუთვნება სახელმწიფოთაშორის მიმონერას. ამიტომაც, დიპლომატიური სამსახურის დოკუმენტები გამოირჩევა განსხვავებული ენითა და სტილით. გამოყოფენ დოკუმენტების რამდენიმე ძირითად სახეს:

ვერბალური ნოტა - წარმოადგენს მისიასა და სამინისტროს შორის მიმონერის ძირითად ფორმას. ნოტა იბეჭდება სპეციალურ ბლანკზე, სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და გამგზავნის მისამართისა და სრული დასახელების მითითებით და იწყება შემდეგნაირად:

საქართველოს საელჩო გამობატავს მის ღრმა პატივისცემას (მასპინძელი ქვეყნის) საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი და აქვს პატივი აცნობოს შემდეგი

ამის შემდგომ მოდის ნოტის შინაარსი და ბოლოს მთავრდება ისევ კომპლიმენტით: *საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა განუახლოს სამინისტროს თავისი ღრმა პატივისცემის გამობატულება.*

შემდგომ ქალაქი, თარიღი, ბეჭედი და მარცხენა ქვედა კუთხეში თავსდება მისამართი (იგივე მისამართი გადადის კონვერტზე). ვერბალურ ნოტას დაესმის ნომერი და შიფრ-კოდი.

ოფიციალური ნოტა მესამე პირში - იწერება ვერბალური ნოტის იდენტურად, ბეჭედთან ერთად დაესმის გამგზავნის ინიციალებიც.

გასათვალისწინებელია, რომ საპროტესტო და სამძიმრის ნოტებში კომპლიმენტები არ გამოიყენება!

პირადი ნოტა - იგზავნება საპროტოკოლო საკითხებსა და პირად ნოტაზე საპასუხოდ. ნოტა შედგენილია პირველ პირში, იბეჭდება პირადი ნოტის ბლანკზე, გამგზავნი პირის მითითებით (საგარეო საქმეთა მინისტრი, საგანაგებო და სრულუფლებიანი ელჩი, თავდაცვის ატაშე და ა.შ. და არა საგარეო საქმეთა სამინისტრო ან საქართველოს საელჩო...). ზედა მარჯვენა კუთხეში მიეთითება ადგილსამყოფელი ქალაქი და თარიღი. პირად ნოტაში ნომერი არ მიეთითება. იწყება მიმართვით: *თქვენო აღმატებულება, თქვენო უმაღლესობა და ა.შ. (დანვრილებით იხ. მიმართვის ფორმები)...*

მაქვს პატივი და, შემდგომ ტექსტი....

ნოტა მთავრდება კომპლიმენტით. მაგ: „*ვსარგებლობ შემთხვევით (ან მსურს ვისარგებლო შემთხვევით) და დავადასტურო (გამოვხატო, კიდევ ერთხელ დავააწმუნოთ) თქვენი აღმატებულებისადმი ჩემი ღრმა პატივისცემა*“, ან „*თქვენო აღმატებულებაჲ, გთხოვთ მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემის დადასტურება*“.

კომპლიმენტის შემდეგ დაისმის მხოლოდ ხელმოწერა, ბეჭედი არ გამოიყენება. ქვედა მარცხენა კუთხეში ადრესატი და მიმღების მისამართი (იგივე მისამართი გადადის კონვერტზეც).

მიმართვის თორმეტი: პრეზიდენტს, პრემიერს, მინისტრს მიმართავენ „*თქვენო აღმატებულებაჲ*“, ასევე გამოიყენება: ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო მინისტრო. მონარქიულ სახელმწიფოებში გამოიყენება მიმართვები: თქვენო უდიდებულესობაჲ, თქვენო სამეფო უდიდებულესობაჲ, თქვენო ბრწყინვალებაჲ და სხვა. მინისტრს, როგორც წესი, მიმართავენ: ბატონო მინისტრო, თქვენო აღმატებულებაჲ. ელჩს (მისიის ხელმძღვანელს) მიმართავენ „*თქვენო აღმატებულებაჲ*“ (Excellency), აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში გამოიყენება „*ბატონო/ქალაბატონო ელჩო*“ (Mr./Madame Ambassador), ელჩის მეუღლეს მიმართავენ: Madame Ambassador ან Mrs. + გვარი. წერილში ასევე გამოიყენება „*პატივცემული*“. მაგალითად

მისამართის მითითებისას იწერება: Honorable სახელი გვარი,
Ambassador of the United State of America.

როგორც წესი, წერილში (პირად ნოტაში) მიმართვის ფორმა არ იცვლება. თუ ვინცებთ მიმართვით „თქვენო აღმატებულებავ“, მაშინ მიმართვის ამ ფორმის დაცვა სავალდებულოა წერილის ბოლომდე და სხვა მიმართვას ვეღარ გამოვიყენებთ.

დასასრულს იწერება: გულწრფელად თქვენი...

ნებიმიერ ნოტასა თუ წერილში დაუშვებელია ისეთი შემოკლებების გამოყენება, როგორიცაა: ე.წ.; ე.ი; ა.შ; და სხვ.; ყოველივე ეს უნდა დაიწეროს სრულად.

მემორანდუმი - შინაარსობრივად მემორანდუმი ნოტის მსგავსია, იბეჭდება ნოტის ქალაქდზე, მაგრამ იგი არ შეიცავს მიმართვის ფორმებსა და კომპლიმენტებს. მემორანდუმი გულისხმობს პოზიციის დეტალური ჩამოყალიბებას კონკრეტულ საკითხზე. იგი შეიცავს ფაქტობრივ ნაწილს, ანალიზს, არგუმენტაციას და კონტრარგუმენტებს მეორე მხარის მიმართ. მემორანდუმი გადაეცემა პირადად ან იგზავნება ნოტით. მიეთითება გადაცემის ადგილი და თარიღი (ნოტით გადაცემის შემთხვევაში არ მიეთითება).

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დიპლომატი ხშირად ღებულობს დავალებებს, რომ გადასცეს (განუმარტოს) ადგილსამყოფელ სახელმწიფოს საკუთარი ქვეყნის პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამ მიზნით, ეწყობა უშუალო შეხვედრა შესაბამისი უწყების წარმომადგენელთან. იმისათვის რომ დიპლომატიის ნათქვამი გაგებულ იქნას ზუსტად და მას არ მიეცეს სხვა ინტერპრეტირება, დიპლომატი შეხვედრის შემდეგ ტოვებს სპეციალურ ჩანაწერს, სადაც მოკლედ არის განმარტებული მისი პოზიცია. ამ მიზნით გამოიყენება სამახსოვრო ჩანაწერი (aide-memoire) ან Bouts de papier.

სამახსოვრო ჩანაწერი (aide-memoire) - მიმართვის ფორმა არ გამოიყენება. ჰგავს მემორანდუმს, მაგრამ უფრო მოკლე და ნაკლებად ფორმალურია. იბეჭდება ჩვეულებრივ ფურცელზე. ხელი არ ეწერება და არც ბეჭედი დაესმის. ტექსტის ქვემოთ აღინიშნება ქალაქი და გადაცემის თარიღი.

Bouts de papier (ქალაქის ფურცელი)- კომუნიკაციის არაოფიციალური ფორმაა და წარმოადგენს გეპირი საუბრის ერთგვარ დანართს. მასზე თეზისების სახით არის დატანილი საკითხები, რომელთა შესახებაც გაიმართა შეხვედრა. Bouts de papier, როგორც წესი ეხება რაიმე დელიკატურ საკითხს, რომლის გახმაურებაც, ანდა ნოტაში ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტში დაფიქსირებას მხარეები შეგნებულად ერი-

დებიან. ამიტომაც, Bouts de papier არ შეიცავს დასახელებას, თარიღს, ხელმოწერას, ბეჭედს, გადაცემის ადგილსა და რაიმე ამგვარ მითითებას, რათა საჭიროების შემთხვევაში, ადვილად მოხდეს მისი უარყოფა და არ მოხდეს მისი წარმოშობის იდენტიფიცირება.

ნოტის ან წერილის მიუღებლობა - იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო უწყება (საგარეო საქმეთა ან თავდაცვის სამინისტრო) მიიჩნევს, რომ მიღებულ წერილში ან ნოტაში გამოთქმული მოსაზრება კატეგორიულად მიუღებელი ან შეურაცხმყოფელია, მას შეუძლია უარი განაცხადოს ასეთი დოკუმენტის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში ღიად ფიქსირდება, რომ ნოტა არ იქნა მიღებული. ეს არ ნიშნავს, რომ ადრესატმა ნოტა ფიზიკურად ვერ მიიღო, ეს უნდა ნიშნავდეს რომ დოკუმენტის შინაარსი და სულისკვეთება მიუღებელია ქვეყნისათვის.

დიპლომატიური მიმონერის
ყველაზე გავრცელებული ნიმუშები

NOTE SAMPLE

The Embassy of Georgia in.....presents its compliments to the Ministry of Foreign Affairs of and with reference to the Ministry's Note No..... dated..... Has the honor to inform (ან to bring to the attention of) the Ministry that.....

.....
.....
.....
.....

The Embassy of Georgia in seizes (avails itself of) this opportunity to renew to the Ministry the assurances of its highest consideration.

Date.....

Ministry of Foreign Affairs of.....

ACKNOWLEDGEMENT OF RECEIPT OF NOTE

The Embassy of Georgia in presents its compliments to the and has the honor to acknowledge receipt of note No..... dated

The Embassy of Georgia avails itself of this opportunity to renew tothe assurances of its highest consideration.

Date.....
.....
.....

FORMAL FIRST PERSON NOTE TO A FOREIGN
AMBASSADOR

Excellency:

I have the honor to extend to Your Excellency my sincere congratulations on the occasion of the Independence Day of the.....

May I take this opportunity to express my best wishes for the well-being of the people of and my hope that the friendly relations which so fortunately exist between our two countries shall continue to be reflected in the cordial relations between our two Missions here.

Accept, Excellency, the renewed assurances of my highest consideration.

[Pen Signature]

Name & Title

His Excellency

.....

Ambassador Extraordinary and Plenipotentiary

of

.....(City)

FORMAL DIPLOMATIC CONGRATULATORY LETTER
FOR NEW APPOINTEE

Date:

.....

Your

I wish/want/would like to extend to Your (Excellency/Highness)
my warmest/sincerest greetings and congratulations on your
appointment as (the job title).

I earnestly/confidently hope that the close ties/warm
relations/good relations/strong/cordial relations, happily existing
between our two countries, would be further strengthened.
Sincerely/ Truly/Respectfully

.....

NOTIFICATION OF ABSENCE OF AMBASSADOR

The Embassy of Georgia presents its compliments to the Ministry of Foreign Affairs of and has the honor to inform them that H.E. Mr., ambassador of....., will be absent from (city) to

During his absence Mr. Counselor of the Embassy, will assume the direction of the Embassy in the capacity of Charge d'Affaires, a.i.

The Embassy avails itself of this opportunity to renew to the Ministry of Foreign Affairs the assurance of its highest consideration.

Date

The Ministry of Foreign Affairs of

.....

REQUEST FOR AN IDENTIFICATION CARD

The Embassy of Georgia presents its compliments to the Ministry of Foreign Affairs of and has the honor to inform them that Mr. arrived in (host country) and assumed his duties as Vice-Consul at the Consulate General of in on (Date).

The Embassy would highly appreciate it if a diplomatic identification card could be issued to both Mr..... and his wife. The appropriate forms duly filled in, the required number of photos, as well as their two diplomatic passports Nos..... (issued in on..... date) are enclosed.

The Embassy of Georgia avails itself of this opportunity to renew to the Ministry of Foreign Affairs the assurance of its highest consideration.

*მონარქების მიმონერის მაგალითი.
მიმართვის ფორმა განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან*

RECALL OF AMBASSADOR BY HEAD OF STATE

Her Majesty
Queen of the United Kingdom of Great Britain
and Northern Ireland

Dear and Good Sister,

The recall of His Excellency, Our Ambassador extraordinary and plenipotentiary in Your Majesty's Court, has been deemed necessary for another assignment, and We have therefore terminated his mission in the United Kingdom.

We are confident that during his mission he has not been sparing in his endeavors to strengthen and develop to Your Majesty's satisfaction the friendly relations happily existing between the two countries.

We avail Ourselves of this opportunity to renew the assurances of Our highest esteem and sincere friendship and to pray to the Almighty for Your Majesty's prosperity and good health.

Your Good Brother,
(Signature)

..... (Palace)
Year of Our Reign

თავი V.

დიპლომატიური ცერემონია და ეტიკეტი

ცერემონიულ ნაწილს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში განსაკუთრებული ადგილი აქვს. ცერემონიისას დაშვებული შეცდომა ყოველთვის აშკარაა და მან შეიძლება საკმაოდ ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟსა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე.

ცერემონია **პროტოკოლის სამსახურის კომპეტენციაა**. მიუხედავად ამისა, მისიაში მომუშავე ყველა დიპლომატი ვალდებულია ერკვეოდეს ძირითად საპროტოკოლო საკითხებში. როდესაც საქმე ეხება ამა თუ იმ ოფიციალური პირის (მაგ: თავდაცვის მინისტრის) **ვიზიტს, მის მომზადებაში აუცილებლად უნდა ჩაერთოს პროტოკოლის სამსახური და სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ესა თუ ის ცერემონია**.

თუმცა, გარდა ვიზიტებისა, არსებობს ღონისძიებები, რომლებსაც მისია საკუთარი ძალებითა და სახსრებით მართავს. გარდა ამისა, დიპლომატიურ აგენტებს უწევთ ადგილსამყოფელი ქვეყნის პროტოკოლით გათვალისწინებულ სხვადასხვა ცერემონიაში მონაწილეობა. ასეთ ღონისძიებებს ძირითადად განეკუთვნება: ეროვნული

დღესასწაული, შეიარაღებული ძალების დღე, ინაუგურაცია, სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენის აღმნიშვნელი ღონისძიებები, იუბილეები და სამკლოვიარო ცერემონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ჩატარების გეგმა დგება წინასწარ, რამდენიმე კვირით და ზოგჯერ რამდენიმე თვითაც ადრე (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაკრძალვა). როგორც კი ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების აუცილებლობა დგება, მისია კონსულტაციებს ატარებს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან. ასეთ შემთხვევაში თავდაცვის ატაშე ან თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი უკავშირდება თავდაცვის სამინისტროს. ამ დროს კოორდინაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ბევრი საკითხის გადაჭრა ხორციელდება *ad hoc* (ლათ. ამ კონკრეტული შემთხვევისათვის) რეჟიმში.

ვიზიტი

თავდაცვის მინისტრის ან სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის შემთხვევაში თავდაცვის ატაშე და სამინისტროს წარმომადგენელი სრულადაა ჩართული მოსამზადებელ სამუშაოებში. გარდა თემატური საკითხების მომზადებისა, მათი ამოცანაა წინასწარ გაერკვნენ დელეგაციის დახვედრა-გაცილების, სასტუმროში განთავსების, მანქანებში განაწილების, შეხვედრების ორგანიზებისა და სტუმრის პატი-

ვსცემად დაგეგმილი ოფიციალური მიღებების დეტალებში, მუდმივი კავშირი ჰქონდეთ მიმღები მხარის პროტოკოლისა და სხვა სამსახურებთან. ამასთან, შესაძლებელია (ზოგჯერ კი, აუცილებელიც) ვიზიტის მოსამზადებლად ჩამოვიდეს **წინასწარი ჯგუფი**. თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის ვალდებულებაა უზრუნველყოს ჯგუფისათვის აუცილებელი სამუშაო პირობები და კომუნიკაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან.

ხაზგასასმელია, რომ ნებისმიერი დელეგაციისათვის, დიპლომატიური წარმომადგენლობა, თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის აპარატი, არის იმ კონკრეტულ ქვეყანაში მყოფი „თავისიანი“, რომლის თანადგომისა და დახმარების იმედი ყოველთვის აქვთ.

სახელმწიფო დროშა, ჰიმნი, გერბი

დროშა სახელმწიფოს სიმბოლოა. არსებობს დროშის საერთაშორისო პროტოკოლი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და მკაცრად დაცვას საჭიროებს (განსაკუთრებით მაშინ, თუ უცხოელი სტუმრები არიან მოწვეული). ნებისმიერი სახელმწიფოს დროშისადმი უდიერი მოპყრობა შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ამ ქვეყნის შეურაცხყოფა, რაც საერთაშორისო სკანდალის საფუძვლად შეიძლება იქცეს.

რამდენიმე სახელმწიფო დროშის ერთდროულად გამოფენის შემთხვევაში, დროშების ქსოვილის ზომები უნდა იყოს ერთნაირი. დროშები აღმართული უნდა იყოს ერთმანეთის გვერდით, ერთ ღონეზე. **მარჯვენა მხარე ყოველთვის უფრო საპატიოა**, შესაბამისად, სტუმარი სახელმწიფოს დროშაც მარჯვენა მხარეს უნდა განთავსდეს. მრავალმხრივ ფორმატში საპატიოდ ითვლება მწკრივში პირველი, ან ცენტრალური ადგილი.

თუ ღონისძიება ტარდება მრავალმხრივ ფორმატში და რამდენიმე ქვეყნის დროშის გამოფენაა საჭირო, საქართველოს სახელმწიფო დროშა უნდა გამოიფინოს შუაში.

ერთდროულად გამოფენის შემთხვევაში, ყველაზე ხშირად, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო დროშებს, განათავსებენ ანბანის მიხედვით, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოების სახელწოდებას (ლათინური ანბანის, ან იმ ქვეყნის ანბანის მიხედვით, სადაც ხდება დროშების გამოფენა).

სახელმწიფო დროშის აღმართვა ხდება მზის ამოსვლასთან ერთად (8.00 საათზე), ხოლო დაშვება მზის ჩასვლასთან ერთად. თუ დროშა უნდა ეკიდოს რამდენიმე დღის განმავლობაში, მას აუცილებლად დაუშვებენ ყოველ საღამოს და კვლავ აღმართავენ ყოველ დილით.

დროშას აღმართავენ სწრაფად, ხოლო უშვებენ ნელა. გლოვის დღეებში ხდება დროშის დახრა, ანუ მას ასწევენ ხოლმე ფლაგშტოკის ნახევარზე. არ შეიძლება მცირე ზომის დროშის გამოკიდება მაღალ ფლაგშტოკზე და პირიქით. ოპტიმალურად ითვლება დროშის სიგანისა და ფლაგშტოკის სიმაღლის შეფარდება 1:6.

საქართველოს სახელმწიფო დროშის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, აღწერილობას, მისი გამოყენებისა და დაცვის წესს განსაზღვრავს „საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო დროშის შესახებ“.

სახელმწიფო ჰიმნი ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სიმბოლოა. იგი წარმოადგენს საზეიმო მუსიკალურ ნაწარმოებს (სიმღერას), რომელიც სრულდება ოფიციალური სახელმწიფო ღონისძიებების, სხვადასხვა საზეიმო დღესასწაულების, სახელმწიფო დელეგაციების, სტუმრების დახვედრის ან გაცილების დროს, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების დროს და ა.შ

სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს, აუცილებელია დამსწრე საზოგადოება წამოდგეს ფეხზე, სამოქალაქო პირებმა უნდა მოიხადონ ქუდი, დადგნენ სწორად, ხელეფჩამოშვებული, ან მარჯვენა ხელი დაიდონ მკერდზე.

სამხედრო მოსამსახურეს მხედრული სალამის მიცემა ევალება.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკა განსაზღვრულია „საქართველოს ორგანული კანონით სახელმწიფო ჰიმნის შესახებ“.

სახელმწიფო გერბი - ასევე წარმოადგენს სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთ-ერთი ძირითად სიმბოლოს. ის ამშვენებს ოფიციალური სახელმწიფო რეზიდენციების შენობებს, განთავსებულია ოფიციალურ სახელმწიფო ბლანკებსა და დოკუმენტებზე. სახელმწიფო გერბის პატივისცემის ვალდებულება, მნიშვნელობით უტოლდება სახელმწიფო დროშისა და ჰიმნის პატივისცემის აუცილებლობას. სახელმწიფო გერბისადმი უპატივცემულობა, ისევე როგორც დროშის მიმართ, ითვლება შეურაცხმყოფელ მოქმედებად და დასჯადია კანონით.

სახელმწიფო გერბის გამოსახულების გამოყენების წესთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სახის შეზღუდვები (სხვადასხვა სახის დოკუმენტებზე, ბლანკებზე დატანა და ა.შ) ეს საკითხი არის ოფიციალური სამთავრობო ორგანოების პრეროგატივა.

საქართველოს სახელმწიფო გერბის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, აღწერილობა, მისი გამოსახვის ფორმები, გამოყენების სფერო, გამოყენებისა და დაცვის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ.

ეტიკეტი

Etiquette - ფრანგული სიტყვაა. თანამედროვე მნიშვნელობით იგი პირველად იქნა გამოყენებული საფრანგეთის მეფე ლუი XIV კარზე, სადაც მიღებებისას სტუმრებს ურიგდებოდათ სპეციალური ფურცლები. მათზე აღნიშნული იყო მიღებაზე ქცევის წესები. სწორედ ამ ქალაქს ეწოდებოდა „ეტიკეტი“, მისი შესრულება სავალდებულო იყო და კონტროლდებოდა მეფის ცერემონმაისტერის მიერ.

დიპლომატიაში ეტიკეტს გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანას აქვს დამახასიათებელი ტრადიციები და ქცევის წესები. ამიტომაც, დიპლომატმა მისიაში გამგზავრებამდე უნდა შეისწავლოს მიმღები ქვეყნის კულტურა და თავისებურებები და პატივი სცეს მათ. მაგრამ, ამის გარდა, არსებობს ქცევისა და ურთერთობების ფართოდ გავრცელებული ნორმებიც, რომელთა ცოდნა და დაცვა სავალდებულოა ყველა დიპლომატისათვის.

მიღებები

მიღებას განსაკუთრებული როლი აქვს დიპლომატიური აგენტისათვის. ეს მას საშუალებას აძლევს უკეთ წარმოაჩინოს საკუთარი ქვეყანა, დაამყაროს და გააძლიეროს საემიანი კავშირები. გარდა ამისა, მიღება საუკეთესო საშუალებაა არაოფიციალურ ვითარებაში გარკვეული გზავნილების „გაჟღერებისათვის“, ასეთივე „არაოფიციალური“ ინფორმაციის მიღებისა და განხილვისათვის.

მიღებების ორგანიზებისათვის აუცილებელია დროის სწორად განსაზღვრა, რათა ის არ დაემთხვეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულს ან რაიმე ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რაც ხელს შეუშლის სტუმრების შეკრებას. ამასთანავე, მასპინძელმა უნდა იზრუნოს კარგი საკვებისა და სასმელის მომარაგებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ორი ძირითადი საკითხის მოგვარებას, როგორცაა მაგიდასთან სტუმრების განთავსების სქემის შედგენა და მოსაწვევების დაგზავნა.

მაგიდასთან განთავსება მანამდე უნდა განისაზღვროს, სანამ მოსაწვევები დაიგზავნება. სტუმართა შერჩევა ისე უნდა მოხდეს, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველა შესაძლო უხერხულობა და დაძაბულობა, ან კონფლიქტი პოლიტიკურ

თუ სხვა ნიადაგზე. ამასთან, მნიშვნელოვანია ყველა სტუმარს დაეთმოს სათანადო ყურადღება და მიეგოს მისი რანგის შესაბამისი პატივი. მასპინძელმა უნდა შეძლოს შექმნას ისეთი ატმოსფერო, სადაც არც ერთი სტუმარი არ იგრძნობს თავს უცხოდ და უყურადღებოდ.

თუკი დაპატიჟებული არიან მხოლოდ დიპლომატები, თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური პირები და გაერთიანებული (გენერალური) შტაბის ოფიცრები, ასეთ შემთხვევაში მაგიდასთან განლაგების წესს თავად სტუმრების რანგი და ჩინი კარნახობს. იმ შემთხვევაში კი, თუ სტუმრებს შორის არიან სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები და ცნობილი ადამიანები, აქ ინდივიდუალურად იქნება გასათვალისწინებელი თითოეული მათგანის როლი და ადგილი საზოგადოებაში. საყურადღებოა, რომ ნებისმიერი „თანაბარი ავტორიტეტულობის“ პირობებში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უშუალო კოლეგებს (თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის შემთხვევაში - თავდაცვის უწყებიდან, შეიარაღებული ძალებიდან და საგარეო საქმეთა სამინისტროდან).

სტუმრების მაგიდასთან განთავსებისას მოქმედებს შემდეგი ზოგადი წესები:

მასპინძელთან და დიასახლისთან ყველაზე ახლომდებარე ადგილები ითვლება განსაკუთრებით საპატიოდ. რაც უფრო

შორსაა ადგილი მათგან - მით უფრო ნაკლებად საპატიოა. მარჯვენა მხარე ყოველთვის (არა მხოლოდ მაგიდასთან) უფრო საპატიოა, ვიდრე მარცხენა. მასპინძელის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, როგორც წესი, სხდებიან მანდილოსნები, ხოლო დიასახლისის გვერდით - მამაკაცები. შემდეგ ადგილები მონაცვლეობითაა: ქალბატონის გვერდით ჯდება მამაკაცი და პირიქით. თუ დიასახლისი რაიმე მიზეზის გამო ვერ ესწრება წვეულებას, მისი ადგილის დაკავება მისიის ერთ-ერთი დიპლომატის მეუღლეს შეუძლია.

ამ შემთხვევაში მაგიდასთან განთავსების პირობითი სქემა ასე გამოიყურება: ციფრები 1,2,3,4,5,6 აღნიშნავს სუფრის წევრთა რანგებს.

4	დიასახლისი	მთავარი	2	6
		სტუმარი		



5	1	მასპინძელი	მთავარი	3
			სტუმრის	
			მეუღლე	

თანამედროვე დიპლომატიურ ურთიერთობებში ასეთ მიღებებზე თარჯიმანი სულ უფრო იშვიათად გვხვდება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მას განათავსებენ სტუმრებს შორის (ანუ მაგიდასთან) მასპინძლის ან მთავარი სტუმრის მარცხნივ (იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარის წარმომადგენელია თარჯიმანი). თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში მიღებულია თარჯიმანის განათავსება სტუმრის ან მასპინძლის ზურგს უკან.

ზოგ შემთხვევაში, როდესაც სუფრასთან მხოლოდ ორი სახელმწიფოს წარმომადგენელია, შესაძლებელია მხარეების განათავსება ერთმანეთის პირისპირაც (ერთ მხარეს - მასპინძლები, მეორე მხარეს - სტუმრები), თუმცა განათავსების ასეთი სქემა იშვიათად გამოიყენება და მხარეებს შორის უშუალოდ ატმოსფეროს დეფიციტზე მიუთითებს.

როგორც წესი, მეუღლეებს, მამაკაცებს, ქალბატონებს, ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს გვერდიგვერდ არ განათავსებენ. ასევე, არ არის მიღებული მაგიდის თავსა და ბოლოში ვინმეს დასმა. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც. ზოგიერთ ქვეყანაში სწორედ მაგიდის თავში ჯდომა ითვლება ყველაზე საპატიოდ. ასეთ შემთხვევაში ყველაზე საპატიო სტუმარი მასპინძლის მარჯვნივ ჯდება და არა მის პირისპირ. ზოგ ქვეყანაში მეუღლეები აუცილებლად ერთად სხდებიან, ზოგან საერთოდ მიუღებელია ქალბატონებისა და მამაკაცების ერთ

სუფრასთან ყოფნა. ნებიმიერ შემთხვევაში, დიპლომატმა უნდა გაითვალისწინოს ადგილობრივი თავისებურებები და მიღებაც ამის მიხედვით გამართოს.


მაგიდასთან განაწილების სქემის მიხედვით უშუალოდ მაგიდაზე იდგმება სპეციალური კუვერტული ბარათები, სტუმრის სახელისა და გვარის მითითებით.

მაგიდასთან განთავსების განსხვავებული სქემები

ქვემოთ მოყვანილია მაგიდასთან განთავსების განსხვავებული სქემები.

აღნიშვნები: Host- მასპინძელი; Co-host - თანამასპინძელი; Hostess - დიასახლისი, M-მამაკაცი; W-ქალბატონი; ციფრებით აღნიშნულია სტუმრთა პრიორიტეტულობა.


ვარიანტი1.



ვარიანტი 2.



ვარიანტი 3.



მოსანვევები. მათი გაგზავნა საჭიროა ღონისძიებამდე 2-3 კვირით ადრე. თუ მოსანვევი გვიან გაიგზავნა, იზრდება ალბათობა რომ სტუმართა ნაწილი ვერ შეძლებს მიღებაზე დასწრებას. მოსანვევის არც ძალიან ადრე გაგზავნაა რეკომენდირებული ორი მიზეზის გამო:

- შესაძლებელია სტუმართა ნაწილმა ასე ადრე ვერ დაადასტუროს დასწრება;
- ადრე გაგზავნილი მოსანვევი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მოპატიუებულ პიროვნებას, რადგან მას ფაქტიურად უსპობს თავაზიანი უარის თქმის საშუალებას (როგორც წესი, მოწვევაზე უარს ამბობენ იმ მიზეზით, რომ დაგეგმილი ჰქონდათ სხვა, გადაუდებელი ღონისძიება).

მოსანვევი ტექსტი იწერება სპეციალურ გერბიან ქაღალდზე შემდეგნაირად:

*ბატონო(სახელი, გვარი)
საქართველოს თავდაცვის ატაშე ბ-ნი..... და ქ-ნი
გინვევთ საქართველოს შეიარაღებული ძალების დღესთან
დაკავშირებულ მიღებაზე (სადილი/ვახშამი/კონცერტი/
ოთხშაბათს, 30 აპრილს, 19.00 საათზე*

მისამართი:

R.S.V.P

e-mail

tel:

საქართველოს თავდაცვის ატაშეს ბ-ნ აქვს პატივი
 მოიწვიოს ბატონი საქართველოს შეიარაღებული
 ძალების დღესთან დაკავშირებულ მიღებაზე
 (სადილი/ვახშამი/კონცერზე/)

ოთხშაბათს, 30 აპრილს, 19.00 საათზე

მისამართი:

R.S.V.P

e-mail

tel:

აბრევიატურა „R.S.V.P.“ (*répondez s'il vous plait*)- გთხოვთ
 გამოგვეხმაუროთ, აღნიშნავს რომ მოსაწვევის აღრესატმა
 წინასწარ უნდა აცნობოს მასპინძელს, დაესწრება თუ არა იგი
 ღონისძიებას.

არის შემთხვევები (დიპლომატიაში ძალზე იშვიათად),
 როდესაც მოსაწვევს წერილის სახითაც გზავნიან:

ბატონო

გთხოვთ ა.წ. 30 აპრილს, 19,00 გვეწვიოთ საქართველოს შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებულ მიღებაზე, რომელიც გაიმართება(მისამართი).

პატივისცემით.

სახელი, გვარი

თანამდებობა.....

ასეთი ფორმა, დიპლომატიაში მიღებული არ არის, მაგრამ თუკი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სპეციფიკიდან გამომდინარე მსგავსი მოსაწვევის გაგზავნა მოგვიხდა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში, მასპინძელის სახელის, გვარისა და თანამდებობის მითითებასთან ერთად აუცილებელია მისი ხელმოწერაც.

იმ შემთხვევაში, თუ მიღება დიპლომატის სახლში (რეზიდენციაში) ან ნაკლებად ცნობილ ადგილას იმართება, სასურველია მოსაწვევს თან ერთვოდეს ღონისძიების ადგილამდე მისვლის გეგმაც. სასურველია, მასპინძელმა ასევე წინასწარ იზრუნოს „პარკინგის“ საკითხზეც, რათა სტუმრებს არ შეეწყნათ განსაკუთრებული სირთულეები ავტომობილის გაჩერებისას, რაც შესაძლოა იქცეს წვეულებაზე დაგვიანების მიზეზად.

მოსაწვევებზე ასევე უნდა იქნას მითითებული ჩაცმულობის სტილი ანუ Dress code, რაც ამ სახელმძღვანელოს სხვა თავშია დეტალურად განხილული. მოსაწვევის მიღებისთანავე აუცილებელია მასზე პასუხი. განურჩევლად იმისა, აპირებს თუ არა მიღებაზე მისვლას, გადანწყვეტილება დროულად უნდა ეცნობოს მიმწვევ მხარეს. იმ შემთხვევაში, თუ თანხმობა გაცხადებულია და რაიმე, განსაკუთრებით საპატიო მიზეზით სტუმრის გეგმები შეიცვალა, მასპინძელი დაუყოვნებლივ უნდა ჩააყენოს საქმის კურსში და აუხსნას არმისვლის მიზეზი.

მიღებათა სახეობები

ვახშამი მიღების ყველაზე საპატიო და, შესაბამისად, ყველაზე კონსერვატიული ფორმაა. მასპინძელისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ **სრულფასოვანი საპროტოკოლო ვახშამის გასამართად აუცილებლად საჭიროა მომსახურე პერსონალის დაქირავება.**

ვახშამზე მიწვევის შემთხვევაში ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბევრ ქვეყანაში მიღებულია დიასახლისისათვის (ან მასპინძლისათვის) საჩუქრის მირთმევა. ეს ნიუანსი სჭობს წინდანინ იქნეს გარკვეული სხვა კოლეგებთან და, თუ აღვილსამყოფელ/მასპინძელ ქვეყანაში მსგავსი ტრადიცია არსებობს, მაშინ წინასწარ აუცილებლად საჭიროა ზრუნვა საჩუქარზე. ამ დროს მიღებულია რაიმე სუვენირი, რომელიც

დამახასიათებელია იმ ქვეყნისთვის, რომელსაც სტუმარი წარმოადგენს. მიღებულია ყვავილებიც, თუმცა რეკომენდირებულია მათი წინასწარ გაგზავნა, რადგან მიღებაზე დიასახლისს ნაკლებად ექნება დრო ყვავილებისათვის ყურადღების მისაქცევად.

ვახშამი საღამოს 8 საათზე ადრე არ იწყება. თუ სტუმრები დაპატიუებული არიან 19.30 საათზე იმ ვარაუდით, რომ მიღება დაიწყოს 20.00 საათზე, ეს ნიშნავს, რომ სტუმრები შეკრებას დაიწყებენ 19.30 საათიდან და არა ამაზე ადრე. 30 წუთის განმავლობაში ისინი გაეცნობიან ერთმანეთს, რის შემდეგაც მათ ყველას იწვევენ სუფრასთან.

მასპინძელი და დიასახლისი სტუმრებს კარებთან ხვდებიან, ესალმებიან და წარუდგენენ დანარჩენ, უკვე ადგილზე შეკრებილ სტუმრებს. ვახშამზე დაგვიანება ყოველად დაუშვებელია. სტუმრების სუფრასთან მიწვევის შემდეგ მასპინძელი დაგვიანებული სტუმრის შესახვედრად აღარ გამოდის. თუ სტუმარს რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო მაინც დააგვიანდა, ის ვალდებულია პირველ რიგში მივიდეს მასპინძელთან და დიასახლისთან და ბოდიში მოუხადოს მათ დაგვიანებისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება დაგვიანებული სტუმრის წარუდგენა დამსწრე საზოგადოებისათვის.

სუფრასთან დასხდომამდე შეკრებილ საზოგადოებას სთავაზობენ აპერიტივს. ასეთად, როგორც წესი მიღებულია შემდეგი სასმელები:

- შამპანური ან გაზიანი ღვინო;
- მშრალი ჰერესი;
- თეთრი ღვინო;
- ჯინი ტონიკით (სასურველია ლიმონის ან ლაიმის ნაჭერით);
- ვისკი ან ბურბონი;
- ხილის წვენები.

მთავარი სტუმრის გამოჩენა მიღების საზეიმო ნაწილის დასაწყისს მოასწავებს. როდესაც ყველა სტუმარი შეკრებილია და ვახშამიც უკვე მზად არის, **ღიასახლისი** იწვევს სტუმრებს სასადილო ოთახში მაგიდასთან. განსაკუთრებით ოფიციალურ ვითარებაში მამაკაცებს მოუწოდებენ მიაცილონ მათი ქალბატონები მაგიდასთან. **მამაკაცი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მის მარჯვნივ მჯდომ ქალბატონს.**

ვახშმის მენიუს შედგენისას ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი თავისებურებები. ზოგიერთი სტუმარი ჯანმრთელობის მდგომარეობის თუ რელიგიური შეხედულებების გამო, შესაძლოა ერიდებოდეს ამა თუ იმ

სახეობის საკვებს. ამიტომაც, სტუმრებს უნდა შევთავაზოთ ისეთი არჩევანი, რაც მათ განსხვავებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ვახშმის მენიუ წინასწარ იბეჭდება და იდება თითოეული სტუმრის თეფშთან. როგორც წესი, მიღებულია, რომ ყველა სტუმარი ინდივიდუალურად ირჩევს მთავარ კერძს, ხოლო ე.წ. „სტარტერი“ და სადესერტო ტკბილეული თუ ხილი საერთოა ყველა სტუმრისათვის.

კერძებთან ერთად, როგორც წესი, სტუმრებს ასევე სთავაზობენ მშრალ, წითელ და თეთრ ღვინოებს. მათი ჩამონათვალიც ასევე მითითებული უნდა იყოს მენიუში. მაგარი სპირტიანი სასმელების მირთმევა მიღებულია დესერტის დროს ან წვეულების დასასრულს.

ვახშმობის პერიოდში მასპინძელი ყურადღებით უნდა იყოს, რომ ყველა სტუმარი თანაბრად იყოს ჩართული საუბარში, რომ სტუმართა რომელიმე ჯგუფი არ გახდეს დომინანტი სუფრასთან და სხვები არ აღმოჩნდნენ პასიურ მდგომარეობაში. სუფრასთან მსხდომი მამაკაცები ვალდებულნი არიან ესაუბრონ მათ გვერდით მსხდომ ქალებს და არ დატოვონ ისინი ყურადღების გარეშე. სუფრის მსვლელობის განმავლობაში მასპინძელი ვალდებულია წარმოთქვას მოკლე სადღეგრძელო სტუმართა პატივისცემად, ხოლო რანგით ყველაზე საპატიო სტუმარი ვალდებულია მასპინძელს უპასუხოს სამადლობელი სადღეგრძელოთი.

მას შემდეგ, რაც სტუმრები დესერტს მიირთმევენ და ვახშამი დასასრულს უახლოვდება. სუფრიდან პირველი დგება დიასახლისი მთავარი სტუმრის მეუღლესთან ერთად. ამის შემდგომ მანდილოსნებს ეძლევათ ცალკე შეკრების საშუალება, ხოლო მამაკაცებს შეუძლიათ დარჩნენ მაგიდასთან ან საუბარი განაგრძონ სასტუმრო ოთახში. თუ მიღებაზე მყოფ ქალბატონებს შორის არიან დიპლომატები ან ოფიციალური თანამდებობის პირები, მათ ასევე შეუძლიათ შეუერთდნენ მამაკაცების კომპანიას.

20.00 საათზე დაწყებული ვახშამი 22.00 საათამდე მაინც უნდა გაგრძელდეს. 22.30 საათი ოპტიმალური დროა. დაახლოებით ამ დროს, სტუმრებს კიდევ ერთხელ სთავაზობენ სასმელებს, რაც ნიშნავს, რომ წვეულება დასასრულს მიუახლოვდა. მიღება მთავრდება მთავარი სტუმრის წასვლით. ამის შემდეგ სხვა სტუმრებსაც შეუძლიათ წვეულების დატოვება. **მასპინძელი სტუმრებს აცილებს იქამდე, სადაც დახვდა.** თუ იგი სტუმარს შეეგება მანქანასთან, მაშინ ვალდებულია ასევე მიაცილოს მანქანამდე.

სადილი. ტრადიციული სადილი, რაც გულისხმობს მაგიდასთან დასხდომის ფორმატს, არაფრით განსხვავდება ვახშმისაგან, გარდა დროისა. სადილი, როგორც წესი, იმართება 19-დან 21 საათამდე. სტუმართა მიღების, გამას-

პინძლების და სუფრასთან განთავსების და ქცევის, ასევე სხვა დანარჩენი წესები და მენიუც კი, არაფრით განსხვავდება ვახშმისაგან.

ლანჩი (სამხარი) - ოპტიმალურ დროდ ითვლება 13.00 საათი (შესაძლებელია ლანჩის გამართვა ერთი საათით ადრე ან გვიან) შინაარსობრივად იგივეა, რაც ვახშამი და სადილი, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებებიც. ლანჩზე უფრო მეტადაა მიღებული წვნიანი კერძის, ანუ პირველის, შეთავაზება. გარდა ამისა, ნაკლები რაოდენობით გამოიყენება ალკოჰოლი - ძირითადად ღვინო და თითქმის არ გამოიყენება მაგარი სპირტიანი სასმელები. ლანჩის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ აღემატება 1,5 საათს, ხოლო 2 საათი მისი ხანგრძლივობის მაქსიმალური დროა.

საუზმე. საუზმეზე მიწვევა ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე ვახშამზე, სადილსა ან ლანჩზე. თუმცა, საუზმეზე მიპატიჟებაც საკმაოდ ხშირად გამოიყენება დიპლომატიაში და იგი ძირითადად უკავშირდება დელეგაციის, ან მასპინძლის დაძაბულ და გადატვირთულ გრაფიკს. საუზმე 1,5 საათზე მეტ ხანს არ გრძელდება. ყველაზე ადრეული საუზმე შესაძლოა გაიმართოს 8.00 საათზე, ხოლო ყველაზე გვიანი - 11.00 საათზე. ალკოჰოლური სასმელები საუზმეზე, როგორც წესი, არ გამოიყენება.

ლანჩზე და საუბრებზე საჩუქრის მირთმევა ან ყვავილების გაგზავნა, როგორც წესი, არ ხდება, თუ ადგილსამყოფელ ქვეყანაში ამის რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია არ არსებობს.

სადილი-ბუფეტი (შვედური გაგიდა). მიღების ეს ფორმა საკმაოდ პოპულარულია და იძლევა სტუმრებისათვის კერძებისა და სასმელების მაქსიმალურად მრავალფეროვანი არჩევანის შევთავაზებისა და უფრო თავისუფალი ურთიერთობების საშუალებას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში აღარ არის საჭირო სტუმართა მაგიდასთან განაწილების სქემის შედგენა, რადგანც მიღება სუფრასთან დასხდომას არ გულისხმობს. ასევე არ არის საჭირო მენიუსა და კუვერტული ბარათების დამზადება.

ბუფეტის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსახურე პერსონალის შერჩევა, რომელიც სტუმრებს მოემსახურება მთელი მიღების განმავლობაში. მიღება გრძელდება დაახლოებით 1,5-2 საათის განმავლობაში.

კოქტეილი - გარეგნულად იგივე ფორმატისაა, რაც სადილი-ბუფეტი, თუმცა, როგორც წესი იმართება სადილზე ადრე. 17.00 ან 18.00 საათზე ითვლება ყველაზე ოპტიმალურ დროდ. კოქტეილი დაახლოებით 1 საათი გრძელდება და ამიტომაც, ამ ტიპის მიღებაზე ძირითადი აქცენტი გადატანია სასმელებზე. განსაკუთრებით შეესაბამება შამპანური

და გაზიანი ღვინო. რაც შეეხება საჭმელს, მიღებულია კანაპე და მსგავსი დასაყოლებლები.

მადლობის გადახდა. ბევრ ქვეყანაში მიღებულია, რომ წვეულებიდან 2-3 დღის განმავლობაში მასპინძელს წერილობით გადაუხადოთ მადლობა განუელი სტუმართმოყვარეობისათვის. შესაძლებელია, ასევე, გარკვეული საჩუქრის გაგზავნა მასპინძლისათვის, განსაკუთრებული მადლობის ნიშნად.

მადლობის წერილს დაახლოებით ასეთი სახე აქვს:

ძვირფასო ბატონო და ქალბატონო.....(შეიძლება მიმართვის უფრო ოფიციალური ფორმის გამოყენებაც. მაგ: თქვენო აღმატებულებაც. მიმართვის ფორმა დამოკიდებულია სტუმრის ურთიერთობაზე მასპინძელთან)

ვწერთ, რათა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ იმ არაჩვეულებრივი (შესანიშნავი, დაუფიწყარი, ბრწყინვალე) მასპინძლობისათვის, რომელიც თქვენ გუშინ გაგვიწიეთ.

ვახშამი (სადილი/საუზმე და ა.შ.) მართლაც შეუდარებელი იყო და კიდევ ერთხელ ვიხდით მადლობას მონვევისათვის. წრფელი პატივისცემით (გულწრფელად თქვენი)

სავიზიტო ბარათები

სავიზიტო ბარათი საქმიან ურთიერთობებში უაღრესად მნიშვნელოვანია. მასზე აღნიშნულია აუცილებელი მონაცემები პიროვნების შესახებ. დიპლომატის სავიზიტო ბარათზე დატანილია სახელმწიფო სიმბოლოკა, მითითებული მისი სახელი, გვარი (სამხედრო პირის შემთხვევაში - წოდება), წარმომადგენლობის მისამართი, ტელეფონი და სამსახურებრივი ელ. ფოსტის მისამართი (ასევე დასაშვებია სამსახურებრივი მობილური ტელეფონის ნომრის მითითებაც). დიპლომატმა პატივი უნდა სცეს მასპინძელ სახელმწიფოს, ამიტომაც მიზანშეწონილია სავიზიტო ბარათი დამზადდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში - ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. დასაშვებია ორენოვანი ბარათებიც, მაგ: ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ენაზე და გაეროს რომელიმე ოფიციალურ ენაზე.

დიპლომატის მეუღლეს ასევე უნდა ჰქონდეს საკუთარი სავიზიტო ბარათი. მას ასევე შეუძლია სახელმწიფო სიმბოლოკის გამოყენება. ბარათზე მიეთითება გვარი, სახელი, თანამდებობის ადგილას იწერება თუ ვისი მეუღლეა, მაგ: თავდაცვის ატაშეს მეუღლე. საელჩოს მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ატაშეს ოფისის

კანცელარიის ტელეფონისა და საკუთარი მობილური ტელეფონის ნომრები.

სახლის ტელეფონის მითითება სავიზიტო ბარათზე რეკომენდირებული არ არის.

სავიზიტო ბარათი შეიძლება გადავცეთ პირადად, ასევე გავაგზავნოთ ფოსტის ან კურიერის მეშვეობით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფოებში, სადაც დიპლომატიური კორპუსი მრავალრიცხოვანია და ადგილზე ჩასულ დიპლომატს დიდი დრო სჭირდება საკუთარი კოლეგების გაცნობისათვის. მაგალითისათვის, თუ ქვეყანაში 100-ზე მეტი საელჩოა, საკმაოდ დიდი ხანია საჭირო ყველა თავდაცვის ატაშესა თუ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გასაცნობად.

რა თქმა უნდა, აუცილებელია უშუალო კავშირები საქართველოსათვის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან, ხოლო დანარჩენებთან უშუალო გაცნობამდე შესაძლებელია კონტაქტის დამყარება სავიზიტო ბარათის მეშვეობით, თუკი ადგილობრივი პრაქტიკა ამის საშუალებას იძლევა (ამის გარკვევა შეიძლება საელჩოში ან მასპინძელი ქვეყნის პროტოკოლის სამსახურში). ამისათვის საკმარისია სავიზიტო ბარათის ფოსტით ან კურიერით გაგზავნა. თუ დიპლომატი ქვეყანაში

იმყოფება მეუღლესთან ერთად და სავიზიტო ბარათის საშუალებით ამყარებს კავშირს კოლეგასთან, რომელიც ასევე დაოჯახებულია, მაშინ მას უნდა გაუგზავნოს თავისი ორი და მეუღლის ერთი სავიზიტო ბარათი, მეუღლის ბარათი - მისი მეუღლისათვის, ხოლო თავისი ბარათები - კოლეგისა და მისი მეუღლისათვის.

სავიზიტო ბარათის მეშვეობით შესაძლებელია გარკვეული შეტყობინებების გადაცემაც. ამისათვის არსებობს სპეციალური აბრევიატურა, რომელიც ხელით იწერება ბარათის ქვედა ნაწილში.

p.p. *pour presentation* - ვინმეს გაცნობა ან წარდგენა

p.p.c. *pour prendre conge* - პოსტის დატოვება და დამშვიდობება

p.r. *pour remercier*. - მადლობის გადახდა (მაგალითად სადილისათვის)

p.c. *pour condoleances*- სამძიმრის გამოხატვა

p.m. *pour memoire* - რაიმეს შესვენება

თუ სავიზიტო ბარათი იგზავნება ფოსტით ან კურიერის საშუალებით, იგი იღება სავიზიტო ბარათისათვის განკუთვნილ კონვერტში, რომელიც შეგვიძლია დავამზადებინოთ სავიზიტო ბარათთან ერთად.

ჩაცმულობა

Dress Code (იგივე ჩაცმულობის კოდექსი) - აღნიშნავს ტანსაცმელს, ჩაცმულობას, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ ვითარებაში, ორგანიზაციასა თუ დაწესებულებაში. ნებისმიერი დიპლომატიური ღონისძიების მოსაწვევში, როგორც წესი მითითებულია დრეს კოდი, რომელიც აღინიშნება სპეციალური აბრევიატურით. დრეს კოდი ძირითადად ოთხ კატეგორიად იყოფა:

Formal - სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის;

Business - საქმიანი ღონისძიებებისათვის;

Cocktail - საღამოს არაფორმალური ღონისძიებებისათვის;

Casual - ყოველდღიური ცხოვრებისათვის;

თითოეული მათგანი მოიცავს კიდევ რამდენიმე სახეობას.

ნებისმიერი მიღებისას, გარდა Casual სტილისა, სამხედრო ოფიცერი იცმევს სარიტუალო მუნდირს, იკეთებს საბრძოლო მედლებსა და ჯილდოებს, ხოლო ქალბატონს აუცილებლად უნდა ეცვას უფერო (ხორცისფერი) წინდა.

FORMAL

ეს ჩაცმის ყველაზე ოფიციალური სტილია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საზეიმო ღონისძიებების დროს გამოიყენება. მასში იგულისხმება:

White tie (ფრ. Cravate blanche) - თეთრი ჰალსტუხი (უნოდებენ „თეთრ საყელოსაც“), ასევე შეიძლება ეწეროს: **Formal White Tie; Evening dress; Full evening dress; Ultra formal.** ამ დრეს კოდის დასახელება მომდინარეობს თეთრი ბაფთა-ჰალსტუხისაგან, რომელიც გამოიყენება ფრაკისათვის. ამ კოდით, როგორც წესი, ტარდება დიპლომატიური და სახელმწიფო მიღებები, მეჯლისები და ქორწილები. იგი წარმოადგენს დრეს კოდის ყველაზე მკაცრ და ელევანტურ ნაირსახეობას.

მამაკაცებისათვის აუცილებელია: შავი, ორბორტიანი, ფრაკი, აბრეშუმით განწყობილი, ასევე შავი შარვალი, ქათქათა თეთრი პერანგი (სპეციალურად ფრაკისათვის), თეთრი ჟილეტი, თეთრი ბაბთა-ჰალსუხი და შავი, ლაკირებული ფეხსაცმელი.

ქალბატონებისათვის: ბოლომდე გრძელი კაბა აბრეშუმის, ხავერდის ან მსგავსი ნაჭრისაგან, მხრებზე მოსასხამი ბენვეული ან ძვირფასი შალი დეკოლტეს დასათარად, კლასიკური, დახურული ფეხსაცმელი (ფრანგული ქუსლი).

სამკაულებიდან დაშვებულია მხოლოდ ძვირფასი თვლები, ბიჟუტერია კატეგორიულად გამორიცხულია, იდაყვამდე გრძელი ხელთათმანები (უმკლავებო, ან მოკლემკლავიანი კაბის შემთხვევაში), პატარა საღამოს ჩანთა. საათი დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს სამაჯურის ფორმა და არის ძვირფასი ლითონის, ან აქვს სამაჯურის ფორმა და შემკულია ძვირფასი თვლებით. დაშვებულია, ხოლო ზოგ ქვეყანაში სავალდებულოცაა, ქუდი ან სხვა სახის თავსაბურავი. მიღებულია სპეციალური საღამოს ვარცხნილობა და მაკიაჟი (ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს ზედმეტად მკვეთრი).

Black tie (ფრ. Cravate noire) იგივე Le smoking; Smoking - შავი ჰალსუხი. ასევე გამოიყენება მაღალი და უმაღლესი რანგის მიღებებზე.

მამაკაცებისათვის: სმოკინგი შავი ბატით, აბრეშუმის ან ატლასის ფართე სარტყელი, შავი, ლაკირებული ფეხსაცმელი.

ქალბატონებისათვის: ბოლომდე გრძელი საღამოს კაბა, კლასიკური დახურული ფეხსაცმელი (ფრანგული ქუსლი), პატარა ზომის ჩანთა, საღამოს ვარცხნილობა, მაკიაჟი. White tie-გან განსხვავებით დაშვებულია საათი და ძვირფასი

ბიუტერია, არ მოითხოვება თავსაბურავი ბენვეულის ან ძვირფასი მოსასხამი და ხელთათმანები.

Formal (Full formal, Full dress, Formal attire) – ასევე განეკუთვნება საზეიმო და მკაცრი დრეს კოდების ნაირსახეობას. ამ შემთხვევაში:

მამაკაცებისათვის: ღია ფერის ფრაკი, ან სმოკინგი, ან შავი ფერის სადღესასწაულო კოსტიუმი ბათით ან ჰალსტუხით. შავი, კლასკური ფეხსაცმელი (ფრაკისა და სმოკინგის შემთხვევაში - აუცილებლად ლაკირებული).

ქალბატონებისათვის: იგივეა, რაც Black tie.

Business

ეს ყველაზე გავრცელებული და მიღებული ჩაცმის სტილია, რაც გულისხმობს შემდეგს:

BB (Business Best) – ეს დრეს კოდი მიუთითებს მკაცრ, საქმიან, აკურატულ და მოღურ ტანსაცმელზე და, იმავდროულად, ხაზს უსვამს ადამიანის სტატუსსა და პრესტიჟს.

მამაკაცებისათვის: შავი (ზოგჯერ დასაშვებია სხვა მუქი ლურჯიც) კოსტიუმი, შავი ფეხსაცმელი, თეთრი პერანგი, პერანგის

სახელოზე აუცილებელია საკინძი, ჰალსტუხი, კლასიკური შავი ფეხსაცმელი.

ქალბატონებისათვის: კოსტიუმი ღია ტონებში, თეთრი ზედატანი, დახურული ფეხსაცმელი (ქუსლი არა უმეტეს 5სმ).

Smart Business - ნახევრადფორმალური, საქმიანი გარემოსათვის დამახასიათებელი მოხერხებული და პრაქტიკული დრეს კოდი.

მამაკაცებისათვის: სხვადასხვა ფერის კოსტიუმები, მკვეთრი ფერის ჰალსტუხი, აქსესუარები, კლასიკური ფეხსაცმელი.

ქალბატონებისათვის: სხვადასხვა ფერის კოსტიუმები, ოფისის კაბები, მკვეთრი აქსესუარები, დახურული ფეხსაცმელი.

Business Formal Traditional (Business Traditional, Undress) – ტრადიციული, ფორმალური და საქმიანი დრეს კოდი. ამ შემთხვევაში Undress გულისხმობს ოფიციალური ტანსაცმლის, ანუ ფრაკისა და სმოკინგის გარეშე.

მამაკაცებისათვის: კოსტიუმი ერთ ტონში ან თითქმის შეუმჩნეველი ხაზებით, თეთრი ან ცისფერი პერანგი, ჰალსტუხი. პერანგის სახელოებზე ძვირფასი საკინძები. კლასიკური შავი ფეხსაცმელი.

ქალბატონებისათვის: კაბა მოსაცმელით ან კოსტიუმი შარვლით, დახურული ფეხსაცმელი.

Cocktail

Semi-formal – დრეს კოდი, რომელიც Formal სტილთან შედარებით იძლევა ერთგვარ თავისუფლებას.

მამაკაცებისთვის: სმოკინგი აუცილებელი არ არის. ღონისძიებებისათვის 18.00 საათამდე დასაშვებია ბაცი ფერის კოსტიუმი ჰალსტუხით, ხოლო 18.00 საათის შემდეგ მუქი ფერის კოსტიუმი ჰალსტუხით. კლასიკური ფეხსაცმელი.

ქალბატონებისათვის: კოქტეილის კაბა, დასაშვებია კოსტიუმიც, ქუსლიანი დახურული ფეხსაცმელი, ბიჟუტერია, აქსესუარები.

Cocktail Attire (Cocktail) – საღამოს მაღალი ღონის ღონისძიება.

მამაკაცებისათვის: მუქი ფერის კოსტიუმი, კლასიკური ფეხსაცმელი.

ქალბატონებისათვის: კოქტეილის კაბა ან კოსტიუმი, დახურული ფეხსაცმელი.

Casual

Business Casual (ზოგჯერ Smart Casual) - ესაა თავისუფალი და საქმიანი სტილის შერწყმა, რომელიც უშვებს თავისუფლებას და იმავდროულად ხაზს უსვამს პირის კუთვნილებას საქმიანი ან ოფიციალური წრისადმი:

მამაკაცებისათვის: შარვალი, პიჯაკი, პერანგი, თავისუფალი ფეხსაცმელი;

ქალბატონებისათვის: განსხვავებული ქვედაბოლო და ზედატანები, სხვადასხვა სვითერები, თავისუფალი ფეხსაცმელი.

Casual სტილის სხვა ნაირსახეობები გულისხმობს თავისუფალ, სპორტულ ჩაცმულობას, რაც დასაშვებია ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ დიპლომატიურ ღონისძიებებში არ გამოიყენება.

კიდევ რამდენიმე წესი: ფეხსაცმელი ყოველთვის უნდა გამოიყურებოდეს უზადოდ. მოცვეთილი ლანჩა ცუდ ტონად ითვლება. აქსესუარები უნდა შეესაბამებოდეს ფეხსაცმელს. მთლიანი გარდერობის ფერთა გამა არ უნდა სცდებოდეს 3-4 კონტრასტულ ფერს. მამაკაცის წინდის ფერი უნდა შეესაბამებოდეს ფეხსაცმლის ფერს.

კოსტიუმის ბოლო ღილი არ იკვრება (აქ არ იგულისხმება ოფიცრის ფორმა). პერანგი ჯიბის გარეშე უფრო მიღებულია, ხოლო თუ მას მაინც აქვს ჯიბე, იგი არ გამოიყენება და ცარიელი უნდა იყოს. ჰალსტუხი არ კეთდება იმ პერანგზე, რომლის საყელოს კიდეებიც გარედან ჩაჭრილია და ღილებით მაგრდება პერანგზე. ასეთი პერანგი უმჯობესია ჩავიცვათ პიჯაკთან ერთად, ჰალსტუხის გარეშე, Casual დრეს კოდის დროს.

გაცნობისა და წარდგენის წესები

წვეულებაზე ყოფნისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პირველი ესალმება: უმცროსი-უფროსს, თანამშრომელი-ხელმძღვანელს, მამაკაცი-ქალბატონს, ოთახში შემსვლელი (განურჩევლად სქესისა და სტატუსისა) - იქ შეკრებილებს, ხოლო წამსვლელი კი, პირველი ემშვიდობება დარჩენილ სტუმრებს და მასპინძელს.

მისალმებისას ქალბატონი პირველი უწვდის ხელს მამაკაცს (გამონაკლისი არსებობს აღმოსავლეთის ქვეყნებში), თუ ქალბატონი თავის დაკვრით შემოიფარგლა, იგივე უესტით უნდა შემოიფარგლოს მამაკაციც.

ნებისმიერ სქესის ადამიანთან მისალმებისას მამაკაცი ყოველთვის ფეხზე დგება, ქალბატონი არ არის ვალდებული ფეხზე წამოდგეს მამაკაცთან მისალმებისას (თუ ეს მამაკაცი

განსკუთრებით საპატიო პიროვნება, ან ასაკით ძალიან უფროსი არ არის). დიასახლისი ვალდებულია ფეხზე წამოდგეს როდესაც სტუმრებს ღებულობს.

მისალმებას, როგორც წესი, თან უნდა ახლდეს შესაბამისი უესტიც: ცერემონიული სალამი, თავის დაკვრა, ხელის ჩამორთმევა, გადახვევა, ხელზე ამბორი.

ქალბატონის ხელზე ამბორი დასაშვებია მხოლოდ დახურულ მენობაში!

წყვილების შეხვედრისას ჯერ ესალმებიან ერთმანეთს ქალბატონები, შემდეგ მამაკაცები-ქალებს და ბოლოს, მამაკაცები-ერთმანეთს.

პირველი ხელს უწვდის: უფროსი-უმცროსს, ხელმძღვანელი-თანამშრომელს, ქალბატონი-მამაკაცს (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეს მამაკაცი განსაკუთრებით საპატიო ან უხუცესი პიროვნებაა). ხელის ჩამორთმევისას მამაკაცმა აუცილებლად უნდა გაიხადოს ხელიდან ხელთათმანი, ქალბატონს მსგავსი ვალდებულება არ ეკისრება.

წარდგენისას ნებართვას ეკითხებიან იმას ვისაც წარუდგენენ. პირველად წარადგენენ: მამაკაცს - ქალთან, მეუღლეს (დას, მეგობარ ქალბატონს) - სტუმრებთან, გარდა იმ შემთხვევები-

სა, როცა ეს მამაკაცი განსაკუთრებით საპატიო პიროვნებაა, უმცროსს - უფროსთან; ახლო ნათესავს - ნაცნობთან; თანამემამულეს - უცხოელ სტუმართან.

თავი VI.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში ინფორმაციის წყაროებთან მუშაობა

მოცემულ სახელმწიფოში (მივლინების ადგილას) საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი დიპლომატის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და უმთავრესი მიზანია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მიზანს ემსახურება მისი ისეთი საქმიანობები, როგორცაა მოცემულ სახელმწიფოში მიღებებზე დასწრება, შეხვედრების გამართვა, კონტაქტების შექმნა. რომ არათფერი ვთქვათ ისეთ საქმიანობებზე, როგორცაა ამ ქვეყნის უურნალ-გაზეთებისა თუ ტელე-არხებისათვის თვალ-ყურის დევნება, საზოგადო-ებრივი აზრის გამოკითხვის გაცნობა, ოფიციალური განცხადებების ანალიზი და ა.შ.

უკვე ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ ინფორმაციის მოპოვება შეიძლება განსხვავებული წყაროებიდან. ეს შეიძლება იყოს როგორც მედია საშუალებები, ასევე კონტაქტები (კოლეგებთან, ჟურნალისტებთან, ანალიტიკოსებთან). ყოველ წყაროს თავისი პლიუსები და მინუსები გააჩნია. იმისათვის, რათა წყაროები მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენოთ, საჭიროა კარგად გვეჩვენოს გააზრებული ყოველი მათგანის თავისებურება, დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თანამედროვე ეპოქაში მედია და ღია წყაროები სულ უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობს. ტრადიციულ მედია-საშუალებებს (გაზეთები, რადიო, ტელევიზია) დაემატა ინტერნეტ მედია-საშუალებები და სოციალური ქსელები. ასეთ ვითარებაში სულ კიდევ უფრო ცოტა ადგილი რჩება დახურული ინფორმაციისათვის. მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ მედია წყაროებიდან შეიძლება ამომწურავი ინფორმაციის მიღება და სრულყოფილი სურათის შექმნა იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ჩვენი ინტერესის ობიექტს პატარა სახელმწიფო წარმოადგენს. ასე რომ იყოს, საერთოდ აზრი დაეკარგებოდა დიპლომატიური მისიების არსებობას და თანამშრომლის სხვა სახელმწიფოში გამგზავრების საჭიროებას. მაშინ სრულიად საკმარისი იქნებოდა მოცემული სახელმწიფოს მედია-საშუალებების შესწავლა-მონიტორინგი.

ამის გაკეთება კი თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში ოთახიდან გაუსვლელადაც (ინტერნეტის მეშვეობით) შეიძლება. შესაბამისად, ადამიანური კონტაქტები კვლავაც შეუცვლელია და მათ გარეშე დიპლომატიის საქმიანობა საერთოდ წარმოუდგენელია. დიპლომატია სულაც იმ დროს ჩაისახა, როცა მედია პრაქტიკულად არ არსებობდა და ინფორმაციის მოპოვება სწორედ (და მხოლოდ) ადამიანებთან კონტაქტების მეშვეობით ხდებოდა.

შემდეგ თავებში გავეცნობით ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის წყაროებს, მათ თავისებურებებსა და როლს და მათზე მუშაობის სპეციფიკას. ეს წყაროები, ისევ და ისევ, პირობითად ორ ნაწილად დავყავით - ღია წყაროები და კონტაქტები.

ღია წყაროები მედია-საშუალებები

მედია-საშუალებები ინფორმაციის მიღების შეუცვლელი და მეტად ეფექტური საშუალებაა, თუმცა ეს ეფექტურობა დამოკიდებულია მოცემული სახელმწიფოს წყობასა და სისტემაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოებში მედია პრაქტიკულად არ კონტროლდება და, შესაბამისად, მისი მეშვეობით გაცილებით იოლია ინფორმაციის მიღება (თუმცა ინფორმაციის მრავალფეროვნება ზოგჯერ ართულებს

რეალური სურათის გამოკვეთას); იგივე ლოგიკით, ამ გზით ინფორმაციის მიღება ჭირს ავტორიტარულ ქვეყანაში, სადაც მედია სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მედიაზე დაკვირვებამ შეიძლება ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიოს მაშინაც კი, როცა საქმე ეხება ყველაზე ავტორიტარულ და ჩაკეტილ ქვეყნებსაც.

დემოკრატიულ ქვეყნებში ინფორმაცია ვრცელდება მრავალი საშუალების მიერ. ესაა: ჟურნალ-გაზეთები, ახალი ამბების სააგენტოები, ტელე და რადიო არხები, ინტერნეტ-გამოცემები და ა.შ. ინფორმაცია იმდენად დიდი ოდენობისაა, რომ მის ათვისებას და გადამუშავებას ერთი ადამიანი ვერანაირად ვერ აუვა. სწორედ აქ იჩენს თავს ღია წყაროებზე მუშაობის უმთავრესი სირთულე - ინფორმაცია მეტად დიდია.

რასაკვირველია, თავდაცვის ატაშე/წარმომადგენელი პირ-ველ რიგში დაინტერესებულია უშუალოდ მის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციით, რომელიც ეხება თავდაცვასა და უსაფრთხოებას. მაგრამ თავდაცვა და უსაფრთხოება შეუძლებელია განვიხილოთ ცალკე, პოლიტიკური ვითარებიდან მოწყვეტით. პოლიტიკური ვითარება თავის მხრივ გადაბმულია ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მოსახლეობის განწყობაზე და ა.შ. ანუ, თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენელს მოცემულ სახელმწიფოში არსებულ მთლიან ვითარებაზე მეტ-ნაკლებად კარგი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს.

ამ აუცილებლობის გათვალისწინებით მან უნდა მიმართოს მარტივ ხერხს - დაახარისხოს მედია-საშუალებები, თვალ-ყური ადევნოს არა ყველა მათგანს (რაც, ისევ და ისევ, უბრალოდ შეუძლებელია), არამედ რამდენიმე გამორჩეულს. ამას მით უფრო აქვს აზრი იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ საინფორმაციო საშუალებაში ელემენტარულად ერთი და იგივე ახალი ამბები ტრიალებს. ექსკლუზივი საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. შესაბამისად, საკმარისია წამყვან მედია-საშუალებებზე თვალ-ყურის დევნება, რათა ვიყოთ საქმის კურსში. ხოლო თუკი სადმე ექსკლუზივი და სენსაცია გამოჩნდა, ეს, წესით, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს, რადგან ერთი მედია-საშუალების მიერ გავრცელებულ ექსკლუზივსა და სენსაციას სწრაფად აიტაცებს ხოლმე ყველა სხვა მედია-საშუალება.

აქ ჩვენ მივდივართ საინტერესო საკითხამდე: რომელი მედია-საშუალება ავრცელებს ექსკლუზივსა თუ სენსაციას. ეს, როგორც წესი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ხოლმე ვიდრე ექსკლუზივისა და სენსაციის შინაარსი.

საქმე ისაა, რომ, როგორც წესი, მედია-საშუალების - ამა თუ იმ გაზეთისა თუ ტელეარხის უკან - რომელიმე პოლიტიკური ძალა დგას. ეს წესი უმეტეს შემთხვევაში ვრცელდება ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებზეც კი. ესა თუ ეს ტელეარხი,

დაახლოებულია რომელიმე წამყვან პარტიასთან², ან იგი მიეკუთვნება ბიზნესმენსა თუ კორპორაციას, რომელიც რომელიმე პარტიასთანაა დაახლოებული. შესაბამისად, როცა, მაგალითად, ტელეარხი ავრცელებს სენსაციას, უპირველეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ რომელ პოლიტიკურ ძალასთანაა დაახლოებული ეს ტელეარხი. თუ ის ასოცირებულია რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან, მაშინ უნდა დავსვათ ლოგიკური კითხვა: რატომ და რაში დასჭირდა ამ პარტიას ასეთი სენსაციის გავრცელება.

აქვე, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოში არსებობს მედია-საშუალებები, რომლებიც მაქსიმალურად იცავენ ობიექტურობას და არცერთ პოლიტიკურ ძალასთან არ არიან დაახლოებულნი. ასეთია თუნდაც იგივე „ბიბისი“, მაგრამ ასეთები მაინც საკმაოდ ცოტაა და მედია-საშუალებების უმრავლესობის უკან მაინც გარკვეული ძალები დგანან ხოლმე. ცხადია, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ყველა საინფორმაციო საშუალება ცდილობს ობიექტურობის დაცვას (წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პოპულარობას ძალიან მალე დაკარგავენ), მაგრამ საჭირო მომენტში ისინი ახმოვანებენ ხოლმე მათ უკან მდგარი ძალების პოზიციასა და ინტერესებს.

^{2 2} მაგალითად, ამერიკაში „ფოქსის“ არხი დაახლოებულია რესპუბლიკურ პარტიასთან.

ამ მხრივ ყველაზე რადიკალურ მაგალითს რუსეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არხი „რაშა თუდეი“ წარმოადგენს. ეს არის პრაქტიკულად დაუფარავი ანტიამერიკული პროპაგანდა, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოების მედია-საშუალებებს ძნელად თუ შევადარებთ, მაგრამ იგი მაინც კარგი მაგალითია რათა გავიაზროთ, როგორ შეიძლება მედია-საშუალება მუშაობდეს გარკვეულ ძალაზე - იქნება ეს მსხვილი ბიზნესმენი, პოლიტიკური პარტია ან, თუნდაც, მთელი სახელმწიფო.

„რაშა თუდეი“ არის არხი, რომელიც ერთი შეხედვით ჩვეულებრივად აშუქებს მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ ოდნავი დაკვირვებაც საკმარისია იმის დასანახად, რომ ამ არხის მიზანია ამერიკის მაქსიმალური დისკრედიტაცია და რუსეთის ყველა ქმედების გამართლება. ეს არხი, როგორც წესი, რესპონდენტებად იწვევს უკიდურესად მემარცხენე შეხედულებების პოლიტოლოგებსა თუ ადამიანის უფლებათა დამცველებს, რომლებიც ნაკლს ხედავენ ყველა პოლიტიკურ სისტემაში, მათ შორის ამერიკულშიც. ცხადია, ისინი რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში კიდევ მეტ ნაკლს დაინახავდნენ, მაგრამ მათ ამერიკულ სისტემასთან აქვთ შეხება და ამიტომაც მხოლოდ მისი კრიტიკით არიან დაკავებულნი. „რაშა თუდეი“ მათ უთმობს თავისი ეთერის დიდ ნაწილს. იგი მაქსიმალურად აშუქებს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხეში ამერიკის წინააღმდეგ გამართულ (თუნდაც სრულიად უმნიშვნელო და

მარგინალურ) აქციებსა და ღონისძიებებს; მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერ მოვლენაზე, თუკი საშუალება არსებობს, მაყურებელს შეახსენებს ამერიკის საკამათო ქმედებებს (მაგალითად, როცა 2014 წლის თებერვალში რუსეთმა მოახდინა უკრაინის ტერიტორიაზე ინტერვენცია და საბოლოოდ ყირიმის ანექსია განახორციელა, „რაშა თუდეი“ იხსენებდა როგორ შეიყვანა ამერიკამ ჯარები ოდესლაც გრენადაში). ყოველივე ამის ფონზე „რაშა თუდეის“ შემხედვარე ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამერიკას არც ისე კარგად იცნობს, შესაძლოა ამ ქვეყნის მიმართ მართლაც განეწყოს სერიოზული ანტიპატიით.

აქვე, რადგანაც რუსეთი ვახსენეთ, უპრიანი იქნება შევეხოთ მედია-საშუალებებს ავტორიტარულ სახელმწიფოებში (და კონკრეტულად რუსეთში).

როგორც ცნობილია, განსხვავებით დემოკრატიებისგან ავტორიტარულ სახელმწიფოებში ძალაუფლება ძირითადად ერთი პოლიტიკური ძალის ხელშია კონცენტრირებული, რომელიც აკონტროლებს პრაქტიკულად ყველა რესურსს და არანაირ შანსს არ უტოვებს ოპოზიციას (თუკი ასეთი არსებობს) თანასწორ ბრძოლაში, არჩევნების გზით დაამარცხოვს მმართველი ძალა. ასეთ ვითარებაში მედიის უდიდესი ნაწილი მთავრობის მიერ კონტროლდება და შესაბამისად მის პოზიციას ახმოვანებს. თუმცა, არსებობენ გამონაკლისებიც.

მაგალითად, იგივე რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ ტელეარხების უდიდესი უმრავლესობა სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და პროპაგანდის იარაღადაა ქცეული, მაინც არსებობენ თავისუფალი მედია-საშუალებები, ძირითადად ინტერნეტ-გამოცემების სახით. ასეთ მედია-საშუალებებს ფასდაუდებელი სამსახურის განწევა შეუძლია, რადგან მათი მეშვეობით ოპოზიციურად განწყობილმა პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა თუ ანალიტიკოსებმა ბოჭკერ შეიძლება გაახმოვანონ მეტად საინტერესო ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ამ მიზეზით, ავტორიტარულ სახელმწიფოებში ოპოზიციური მედია (თუკი ასეთი არსებობს) განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად უნდა იქცეს. პოლიტიკური ცხოვრების შესახებ კონკრეტული ფაქტების გახმაურების გარდა, ასეთი მედია შეიძლება დაგვეხმაროს ამ სახელმწიფოში რეალურად არსებული საზოგადოებრივი განწყობის უკეთ შეფასებაში - მაშინ, როცა მთავრობის მიერ კონტროლირებადი მედია ყველაფერს დადებითად წარმოაჩენს და უარყოფით ფაქტებს ჩქმალავს, ოპოზიციური მედია ყველაფერს საპირისპიროდ აშუქებს. დაკვირვებულმა თვალმა ორი უკიდურესი სურათის შედარების შედეგად უნდა შეძლოს ობიექტური შეფასების გაკეთება.

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად

მედია-საშუალებებზე დაკვირვება. სწორედ ამ მედია-საშუალებით ხდება ოფიციალური სახელმწიფო პოზიციის გაცხადება. ცივი ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირი დღევანდელ რუსეთზე გაცილებით უფრო ჩაკეტილ სისტემას წარმოადგენდა, დასავლეთის ანალიტიკოსები იძულებულნი იყვნენ დასჯერებოდნენ მკაცრად კონტროლირებადი საბჭოთა პრესიდან („პრავდა“ და „იზვესტია“) და ცენტრალური ტელეარხიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია უკიდურესად მშრალი და საგულდაგულოდ შეფუთული იყო, მის უკან მაინც იკითხებოდა საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიცია და დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხების მიმართ. გარდა ამისა, ზოგჯერ მეტად მრავლისმეტყველი იყო ერთი შეხედვით ისეთი უწყინარი რამ, როგორსაც წარმოადგენდა საბჭოთა დღესასწაულები და აღლუმები, რომელთაც საბჭოთა ლიდერები იბარებდნენ ხოლმე. ეს უნიკალურ საშუალებას აძლევდა დასავლეთის ანალიტიკოსებს დაკვირვებოდნენ ლიდერების ჯანმრთელობის მდგომარეობას და ასევე შეეფასებინათ ურთიერთობები ლიდერებს შორის.

ცხადია, იგივე დღევანდელი რუსეთი გაცილებით უფრო გახსნილი ქვეყანაა და მასზე გაცილებით მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება, მათ შორის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედია-საშუალებების მეშვეობითაც. მით

უფრო, რომ რუსეთის მსგავს დიდ სახელმწიფოებში მიუხედავად იმისა, რომ ძალაუფლება ერთ პოლიტიკურ ჯგუფს უპყრია, ამ ჯგუფის შიგნით შეიძლება არსებობდეს გარკვეული დაპირისპირებები (მაგალითად, უწყებებსა თუ დიდ ფინანსურ ჯგუფებს შორის). ამის გათვალისწინებით, მეტად სასარგებლოა დაკვირვება ისეთ მედია-საშუალებებზე, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეული უწყების (მაგალითად, შეიარაღებული ძალების) ან დიდი ფინანსური ჯგუფის ინტერესებს. ისევ და ისევ, მსგავს ვითარებას ადგილი აქვს ისეთ ავტორიტარულ სახელმწიფოებში, სადაც დიდძალი რესურსები მოიპოვება და შედეგად მმართველი ჯგუფის შიგნით შეიძლება გაჩნდეს გავლენიანი ქვედაჯგუფებები.

უკვე არაერთხელ ვახსენეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა ძალა ღვას ამა თუ იმ მედია-საშუალების უკან, მაგრამ აქამდე არ გვითქვამს, რამდენად ხელმისაწვდომია თავად ეს ინფორმაცია - ინფორმაცია იმის შესახებ, რომელი ძალა ღვას კონკრეტული ტელეარხისა თუ გაზეთის უკან. ალბათ ცხადია, რომ ასეთი ინფორმაცია ღია და საჯარო არ არის, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება ავტორიტარულ სახელმწიფოებს. ამ ინფორმაციის მოპოვებისათვის ცალკე მუშაობაა საჭირო, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მანამდე კი განვაგრძოთ საუბარი თავად მედია-საშუალებებზე.

ავტორიტარულ სახელმწიფოებში არსებობენ ისეთი უურნალისტები, მიმომხილველები და ანალიტიკოსები, რომელთაც გარკვეული გავლენა გააჩნიათ პოლიტიკურ ელიტაზე. ისინი არიან ელიტასთან დაახლოებულნი და სარგებლობენ მათი ნდობით. ასეთ პირებს ავტორიტარულ სახელმწიფოებში ხშირად იყენებენ ხოლმე ინფორმაციის გაუონვისათვის. გაუონვა ხდება განგებ - პოლიტიკური ელიტის პირდაპირი დავალებით ეს პირები წერენ გარკვეული შინაარსის სტატიებს (ან ტელეარხით გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას თუ დაკვირვებას), სადაც გახმოვანებულია საინტერესო გზავნილები. ეს გზავნილები შეიძლება გვეუბნებოდეს, თუ როგორი პოზიცია აქვს მოცემულ სახელმწიფოს გარკვეულ საკითხზე (მაგალითად, რომ რუსეთი აპირებს წამოიწყოს დიალოგი ნატო-სთან სამხედრო თანამშრომლობის გაფართოების თაობაზე). ეს საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა - ამგვარი გზით სახელმწიფოები ტესტავენ მეორე მხარის (მოცემულ მაგალითში, ნატო-ს) რეაქციას მანამდე, სანამ ამის თაობაზე ოფიციალურ მოლაპარაკებებს გამართავენ. ზოგჯერ ასეთი გზავნილების მიზანს წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან რეაქციის წინასწარი დატესტვა რაიმე სიახლეზე, რომლის დანერგვასაც მთავრობა აპირებს. მაგალითად, რუსეთში აპირებენ შემოიღონ კანონი, რომელიც შეზღუდავს საზღვარგარეთ მოგზაურობას. ამ კანონზე მიმდინარე მუშაობის შესახებ ინფორმაციის წინასწარი გაუონვას თუკი უკიდურესად მწვავე

რეაქცია მოჰყვა, მაშინ ხელისუფლებამ შესაძლოა ამის გაკეთება გადაიფიქროს კიდევ.

ასეთი გავლენიანი პირები დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც არსებობენ და მათ გამოსვლებზე, განცხადებებსა თუ სტატიებზე დაკვირვება-ანალიზს დემოკრატიის პირობებშიც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია (თავისთავად იგულისხმება, რომ სანამ ამ დაკვირვება-ანალიზს შევუდგებით მანამდე ამ პირების იდენტიფიცირებაა საჭირო). მართალია, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ნაკლებად ხდება საზოგადოების მხრიდან რეაქციის წინასწარი გატესტვა ინფორმაციის გაუონვის სახით, მაგრამ, სამაგიეროდ შეიძლება მოხდეს საგარეო პოლიტიკური ინიციატივების გახმოვანება არაოფიციალური არხებით.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს შემთხვევებს როცა ზემოთ დასახელებული გავლენიანი პირები ზოგჯერ საკუთარ თავზე იღებენ ინიციატივას და ცდილობენ საკუთარ მთავრობას მედიის მეშვეობით ჩააგონონ მათი აზრით გონივრული პოლიტიკური კურსი, რომელიც სახელმწიფოს წარმატებას მოუტანს. თუმცა, ეს უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოებში გავრცელებული პრაქტიკაა, ავტორიტარულ სახელმწიფოებში კი მსგავსი რამ ნაკლებად ხდება.

დემოკრატიული და ავტორიტარული სახელმწიფოების გარდა არსებობენ ჰიბრიდული სახელმწიფოებიც. ასე ეწოდება სახელმწიფოებს რომლებიც შუალედურ პოზიციას იკავებენ დემოკრატიულ და ავტორიტარულ რეჟიმებს შორის, გააჩნიათ რა ორივესათვის დამახასიათებელი ნიშნები. ასეთ სახელმწიფოებში, როგორც წესი, ძალაუფლება ერთი კონკრეტული პოლიტიკური ძალის ხელშია კონცენტრირებული, მაგრამ არსებობენ საკმაოდ ძლიერი ოპოზიციური პარტიებიც. შესაბამისად, მედიაც მთლიანად ვერ კონტროლდება მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ. შედეგად, აქაური მედია ბევრ რამეში ჩამოჰგავს ავტორიტარული ქვეყნისას. თუმცა, მას ასევე გააჩნია თავისი, განსაკუთრებული ელემენტები.

კონკრეტულად, ასეთ ქვეყნებში ხდება ისე, რომ სახელმწიფო ცდილობს შეავიწროოს ოპოზიცია და საამისოდ ხშირად ეყრდნობა რომელიმე ძალოვან უწყებას (ხშირად ეს არის პოლიცია ან იუსტიციის სამინისტრო). ასეთ ვითარებაში, ეს ძალოვანი უწყება ხშირად იყენებს მედიას. კონკრეტულად კი ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ მთავრობის მიერ თითქმის აშკარად კონტროლირებადი მედია-საშუალება (ასეთ შემთხვევაში ყველაფერი საკმაოდ იოლად იზიფერება), არამედ ისეთი მედია-საშუალება, რომელსაც მთავრობასთან ერთი შეხედვით კავშირი არც კი აქვს. ასეთ მედია-საშუალებასა და სახელმწიფო უწყებას შორის ხშირად

ყალიბდება ფარული თანამშრომლობა შორის მიმავალი მიზნებით. ეს მიზნები შეიძლება იყოს პოლიტიკური ოპოზიციის კომპრომეტირება ან ისევ და ისევ მოსახლეობის რეაქციის წინასწარი დატესტვა. ასევე არაა გამორიცხული მედია-საშუალებების გამოყენება შიდა პარტიულ ბრძოლაში. ამ მხრივ აღსანიშნავია პრეზიდენტ ელცინის დრო რუსეთში. ეს ქვეყანა მაშინ ჰიბრიდულ რეჟიმს წარმოადგენდა და პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის ბრძოლაც მეტად მძაფრი სახით მიმდინარეობდა³. შედეგად ერთობ ხშირი იყო პოლიტიკური ოპოზიციის შესახებ სხვადასხვა მედია-საშუალებებით სკანდალური მასალების გავრცელება. როდესაც რუსეთში ძალაუფლებისათვის ბრძოლა დასრულდა, სკანდალებმა და კომპრომატებმაც იკლო.

უკვე ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში მუშაობას თავისი სირთულეები აქვს. საქმე ისაა, რომ ავტორიტარულ რეჟიმში ოპოზიციური მედია-საშუალებები ცოტაა და მათზე თვალ-ყურის დევნება საკმაოდ იოლია (მაშინ როცა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი

³ იმის დასადგენად თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ესა თუ ის სახელმწიფო - დემოკრატია, ავტორიტარულ რეჟიმსა თუ ჰიბრიდულ რეჟიმს - საკმარისია შესაბამისი ინდექსებისა და რეიტინგების ნახვა. ამ მხრივ ყველაზე საიმედო და ამომწურავი არის Economist Intelligence Unit Democracy Index. მისი მეშვეობით მარტივად შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია ამა თუ იმ სახელმწიფოში დემოკრატის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ და ამ სახელმწიფოს შესაბამისი საზომებით მივუდგეთ.

მედია ძირითადად ერთსა და იმავე ინფორმაციას ავრცელებს და იქაც ყველაფერი შედარებით მარტივია). ჰიბრიდულ რეჟიმში კი მრავლადაა როგორც ოპოზიციური, ასევე ნომინალურად დამოუკიდებელი მედია-საშუალებები. სწორედ ასეთ, ნომინალურად დამოუკიდებელ მედია-საშუალებას, იყენებს ხოლმე ესა თუ ის სახელმწიფო უწყება თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. თუკი მოვახერხებთ იმის დადგენას, თუ რომელი მედია-საშუალება გამოიყენება ასეთი თამაშებისათვის და რომელი მათგანის მეშვეობით ხდება ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლა თუ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება, მაშინ ეს მედია-საშუალება მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ და მისი მონიტორინგი დიდ სარგებლობას მოგვიტანს.

როცა მედიაზე ამდენს ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ისეთ ფენომენს, როგორიცაა ყვითელი პრესა. როცა ამა თუ იმ ქვეყნის მედია-საშუალებებს ვაკვირდებით, ბუნებრივია გვანტერესებს ყოველი მათგანის რეიტინგი და პოპულარობა. ასეთ დროს შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს თუნდაც ზოგიერთი გაზეთის მაღალმა ტირაჟმა. პოპულარობა და ტირაჟი, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ - არაგადამწყვეტი. ხშირად ხდება ისე, რომ პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყნებში (იგივე ჰიბრიდულ რეჟიმებში) ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობენ ე.წ. ყვითელი გამოცემები, რომლებიც დაკავებულები არიან იათფასიანი

ჭორებისა და შეთქმულების თეორიების გავრცელებით. ასეთი გამოცემები არაინფორმირებულ და მეტად დაბალი დონის მკითხველზეა გათვლილი (ასეთები კი მრავლადაა არადემოკრატიულ ქვეყნებში). მათ, როგორც წესი, არანაირი შეხება არა აქვთ პოლიტიკურ წრეებთან. ცხადია, ამგვარი მედია-საშუალებების სერიოზულ ანალიზს არანაირი აზრი არა აქვს და შესაძლოა სულ ცოტა კურიოზულ დასკვნებამდე და შედეგებამდე მიგვიყვანოს. გამოცდილმა თვალმა წესით იოლად უნდა გაარჩიოს „ყვითელი“ პრესა სერიოზული მედია-საშუალებებისგან და ამ უკანასკნელს შესაბამისი ყურადღება უნდა დაუთმოს.

ოფიციალური დოკუმენტები და კვლევები

მედიასთან ერთად ინფორმაციის საინტერესო წყაროა ოფიციალური დოკუმენტები. ესენია სტრატეგიული დოკუმენტები - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სამხედრო დოქტრინა, სამხედრო სტრატეგია და ა.შ. აქ მასზე მოკლედ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს დოკუმენტები პერიოდული ხასიათისაა და ზოგჯერ წლების განმავლობაში არ ახლდება. ეს მხოლოდ ერთი ელემენტია, რაც მათ მედიისგან გამოარჩევს. გარდა ამისა, ოფიციალური დოკუმენტები სახელმწიფოს პოზიციას გამოხატავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათში მოცემულია არა ინფორმაცია, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკა და ხედვა, და, რომ მათ უკან დგას

სახელმწიფო და სხვა არანაირი ძალები. ასეთი დოკუმენტები საკმაოდ ღიად აყალიბებენ მოცემული სახელმწიფოს ხედვას პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმთავრეს საკითხებზე და ისინი ყოველთვის წარმოადგენენ სხვა სახელმწიფოთა ყურადღების ინტერესს.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი დოკუმენტები, ამაზე მეტყველებს თუნდაც ერთი მაგალითი. 2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც რუსეთის დაიცავდა საკუთარ მოქალაქეებს განურჩევლად იმისა, სად იმყოფებოდნენ ეს მოქალაქეები. ამ ჩანაწერით რუსეთმა ერთგვარი გაფრთხილება გაუგზავნა გარე სამყაროს და შემდეგ ეს საქმიანობა დაამტკიცა 2008 წელს.

რაც შეეხება კვლევებს, ასეთი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი აზრის კვლევები და სამეცნიერო კვლევები.

საზოგადოებრივი აზრის კვლევები მეტად სასარგებლო წყაროა. მათზე დაკვირვება არა მხოლოდ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სახელმწიფოს მოსახლეობის დამოკიდებულება ამა-თუ იმ საკითხის მიმართ და საზოგადოებრივი აზრის ცვლილების დინამიკა. ამ დაკვირვებამ შეიძლება გვანახოს საზოგადოებრივი აზრით შესაძლო მანიპულირების შედეგი. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ავტორიტარული

ტიპის ქვეყნებში, სადაც მედია კონტროლდება და მისი მეშვეობით შეიძლება ხდებოდეს სხვადასხვა სტერეოტიპების დანერგვა.

ამ მხრივ, საინტერესოა ისევ რუსეთის მაგალითი. აქ თავის დროზე სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედიის მიერ განხორციელდა საქართველოს სახით მტრის ხატის შექმნა. ეს ხდებოდა წლების განმავლობაში - დაიწყო დაახლოებით 2004 წელს და პიკს მიაღწია 2008 წელს. ამ პერიოდში აშკარად ჩანდა საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი ცვლილება საქართველოსთან მიმართებაში. გამოკითხვებში საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულება თანდათანობით მატულობდა და მოყოლებული 2006 წლიდან „რუსეთის მტრების“ სიაში პირველ ან მეორე ადგილს სწორედ საქართველო იკავებდა.

ეს მაგალითი საინტერესოა მთელი რიგი მომენტების გამო. უპირველესად, დაკვირვებულ თვალს მალევე უნდა შეემჩნია მოსახლეობის დამოკიდებულების ცვლილება საქართველოსთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა ლოგიკური დასკვნის გაკეთება, რომ ცვლილება გამოწვეული უნდა ყოფილიყო გარკვეული ფაქტორით, კონკრეტულად კი მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც მედიის მეშვეობით ეწეოდა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას. საბოლოო დასკვნა კი შემდეგი იქნებოდა:

რუსეთი საქართველოსთან შესაძლო კონფლიქტისათვის მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ემზადება. შემთხვევითი არ იყო, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არა მხოლოდ არ გააპროტესტა 2008 წელს საქართველოში ინტერვენცია, არამედ ერთხმად დაუჭირა მხარი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებასაც.

ამგვარად, საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგის შედეგად შეიძლება არა მხოლოდ ამ აზრის ცვლილება დავაფიქსიროთ, არამედ დავინახოთ სახელმწიფო პოლიტიკის მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებებიც. ისევ და ისევ, ეს უფრო მეტად ვრცელდება ნაკლებად დემოკრატიულ სახელმწიფოებზე. თუმცა, ზოგჯერ საზოგადოებრივ აზრზე მიზანმიმართული ზემოქმედება დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც ხდება. აქ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2003 წელს ერაყის წინააღმდეგ აშშ-ის სამხედრო კამპანიის დაწყების წინ წამყვანი ამერიკული არხების მიერ ერაყული რეჟიმისა უკიდურესად უარყოფით კონტექსტში დახატვა და გამუდმებული აპელირება ერაყში არსებული მასობრივი განადგურების იარაღზე.

ცხადია, საზოგადოებრივი აზრის კვლევა სასარგებლოა პოლიტიკური პარტიების რეიტინგზე დაკვირვებისა და შესაბამისი პროგნოზების გაკეთებისათვის. თუმცა, აქ გასათვა-

ლისწინებელია, ისევ და ისევ, სახელმწიფოს პოლიტიკური მოდელი. დემოკრატიებში საზოგადოებრივი აზრის შედეგად მიღებული პოლიტიკური პარტიების რეიტინგები, როგორც წესი, სანდოა. მაგრამ ეს ბოლომდე არ ითქმის ავტორიტარულ და ჰიბრიდულ რეჟიმებზე. აქ ხშირად ხდება ისე, რომ მოსახლეობის ნაწილი თავს არიდებს პასუხის გაცემას (თუნდაც შიშის გამო) და ამიტომ, სრულყოფილი სურათის მიღება ვერ ხერხდება. ასევე, ზოგჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება იდგეს საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი ჯგუფის ობიექტურობაც.

დაახლოებით ანალოგიურად, სამეცნიერო კვლევებს უფრო მეტი ფასი აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოებში. აქ, როგორც წესი, ადგილი არ აქვს იდეოლოგიზირებულ კვლევებს. სწავლულები ობიექტურები არიან თავიანთ შეფასებებში და, საჭიროების შემთხვევაში, არ ერიდებიან ხელისუფლების კრიტიკას. ამას ისიც ემატება, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში მთავრობა საკმაოდ გახსნილია და მჭიდროდ თანამშრომლობს მედიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევით ჯგუფებთან და ინსტიტუტებთან. შედეგად სულ მცირე, კვლევებში გაკეთებული ანალიზი და დასკვნები სიმართლეს ასახავს (თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს რომ იქ სრული სიმართლე იქნება მოცემული და დახატული იქნება მთელი სურათი) და მათთან ყურადღებით გაცნობა მეტად

სასარგებლოა. ასევე სასარგებლოა კონფერენციებზე დასწრება, სადაც განიხილება კვლევები, სამეცნიერო ნაშრომები, თუ უბრალოდ პოლიტიკის რაიმე მიმართულება.

დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ამერიკული „რენდ კორპორეიშენ“ (rand.org). ეს ორგანიზაცია მუშაობს პრაქტიკულად ყველა, და მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების, მიმართულებითაც. მას აქვს როგორც დახურული, ასევე ღია კვლევები. ღია კვლევები დასრულებისთანავე იტვირთება ხოლმე ორგანიზაციის ვებ-გვერდზე და მათი გაცნობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

რაც შეეხება ავტორიტარულ სახელმწიფოებს, აქ ცხადია საქმე სხვანაირადაა. რაც უფრო ჩაკეტილია სახელმწიფო, მით უფრო ნაკლებია კვლევები, სადაც განხილულია სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები. თუმცა, ამავე დროს, თანამედროვე ეპოქაში, როცა ინფორმაციის დათარვა რთულია, კვლევების შეზღუდვა რთულდება. მითუმეტეს თუკი საქმე ეხება დიდ სახელმწიფოს, სადაც განვითარებულია მეცნიერება. ასეთ შემთხვევაში გარკვეული სახის კვლევები ყველა შემთხვევაში ხელმისაწვდომია (სულ მცირე, ინტერნეტით მაინც). გარდა ამისა, დიდ სახელმწიფოებში არსებობენ მთავრობასთან დაახლოებული სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები და ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ მათთვის მკაცრად

განერილ მიმართულებებზე. მათი კვლევები ხშირად გასაჯაროებულია სწორედ იმ მიზნით, რათა უფრო მკვეთრად დაფიქსირდეს სახელმწიფოს პრიორიტეტები და ინტერესები.

ჩვენთვის საინტერესო რუსეთის ფედერაციაში ასეთ როლს ასრულებენ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების დაქვემდებარებაში მყოფი ინსტიტუტები, ასევე მეცნიერებათა აკადემიის ქვედანაყოფები და სტრუქტურული ერთეულები. ბოლო პერიოდში გამოჩნდა თითქოსდა „დამოუკიდებელი ინსტიტუტებიც“ მაგალითად, საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭო (svop.ru), რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო, თანამედროვე განვითარების ინსტიტუტი (ИНСОП). ამ ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ხარისხი რეალურად ძალიან შეზღუდულია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი ინსტიტუტები აერთიანებს არა უბრალოდ გამორჩეულ რუს სწავლულებს, არამედ იმათაც, ვისაც აქვს შეხება რეალურ პოლიტიკასთან და შესაბამისად გარკვეული გავლენაც აქვს გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე.

კონტაქტები

კონტაქტების მოპოვება და მათთან მუშაობა დიპლომატიის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა. აღამიანური კონტაქტები არა მხოლოდ ცალკე წყაროა (და

არანაკლებ მნიშვნელოვანი ვიდრე იგივე მედია, თუ უფრო მნიშვნელოვანი არა), არამედ წარმოადგენს საშუალებას, შევაფასოთ და ახლებურად გავიაზროთ იგივე ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია.

თავდაცვის ატაშემ/წარმომადგენელმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაამყაროს ურთიერთობა შემდეგი კატეგორიის კონტაქტებთან:

- შესაბამის სახელმწიფო უწყებათა (უპირველეს ყოვლისა, თავდაცვისა და უსაფრთხოების) წარმომადგენლებთან;
- პოლიტოლოგებთან, ანალიტიკოსებთან, ექსპერტებთან, თავდაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
- ჟურნალისტებთან და მიმომხილველებთან, რომელთაც შეეხება აქვთ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროსთან.

გარდა ამისა, ცხადია თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენელს ინტენსიური და ახლო ურთიერთობები უნდა ჰქონდეს თავის კოლეგებთან - სხვა ქვეყანათა თავდაცვის ატაშეებთან/წარმომადგენლებთან და სხვა დიპლომატებთან მოცემულ ქვეყანაში. თუმცა, ამ თემაზე ნაკლებად შევჩერდებით, რადგან კოლეგებთან ურთიერთობა მეტ-ნაკლებად დაითვარება, როცა

საუბარი იქნება ადგილობრივ კონტაქტებთან ურთიერთობაზე და უცხო სახელმწიფოების სპეც-სამსახურებზე. ამიტომ კატეგორიების მიხედვით გავყვეთ კონტაქტებს.

შესაბამის სახელმწიფო უწყებებათა წარმომადგენლები (დავარეკვით პირობითად მოხელეები) მეტად მნიშვნელოვანი კატეგორიაა. ეს არიან ადამიანები, რომლებიც აღასრულებენ (ან ემნიან კიდევ) სახელმწიფო პოლიტიკას და, შესაბამისად, მათთან ყველაზე ახლო შეხება აქვთ. თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენელს ხშირად ექნება შესაძლებლობა შეხება ჰქონდეს ასეთ კონტაქტებთან, იქნება ეს ოფიციალური შეხვედრებსა თუ კონფერენციებზე. მაგრამ, ცხადია, აჯობებს, თუკი ურთიერთობები ამგვარი შეხვედრების იქით წავა და დიპლომატი შეძლებს მათ შეხვედეს ხოლმე უფრო არაფორმალურ და გახსნილ ვითარებაში. დიპლომატია უპირველეს ყოვლისა ადამიანთა შორის ურთიერთობებს ემყარება და შესაბამისად, თავდაცვის ატაშე/წარმომადგენელი უნდა შეეცადოს დაიმეგობროს მოხელეები, რომლებთან ურთიერთობაც მისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია. სიტყვა „დაიმეგობროს“ შემთხვევით არ გამოგვიყენებია: მეგობრული, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები დიპლომატიაში ყველაზე საიმედო გზაა იმისათვის, რათა კონტაქტთან კარგად ვიმუშაოთ. ეს მუშაობა არანაირად არ გულისხმობს ინფორმაციის გამოტყუებასა თუ გამოძალვას. ასეთი რამ, როგორც წესი, ცუდად სრულდება ხოლმე. გარდა

იმისა, ასეთ ურთიერთობას, სულ მცირე, შეიძლება კონტაქტის დაკარგვა მოყვეს, ამგვარი ქმედება შესაძლოა ჩაითვალოს „არამეგობრულად“, რამაც შეიძლება სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების გაუარესება გამოიწვიოს. ამის ნაცვლად, საჭიროა კონტაქტთან (და ეს ეხება არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეს, არამედ დანარჩენ კატეგორიასაც) ახლო ურთიერთობების დამყარება და კოლეგიალური, მეგობრული ატმოსფეროს შექმნა. კონტაქტმა უნდა დაინახოს, რომ დიპლომატთან ურთიერთობა მისთვისაც სასარგებლო და საინტერესოა (როგორც საქმიანი, ასევე ადამიანური თვალსაზრისით); რომ მისგან ინფორმაციის გამოძალვას ან რაიმეს დაცდენას კი არ ცდილობენ, არამედ ესაუბრებიან საჭირობოროტო და აქტუალურ საკითხებზე, რადგანაც სახელმწიფოებს საერთო ინტერესები აქვთ, უწევთ ერთობლივად პრობლემების გადაჭრა. ამიტომაც, ყველა მხარე დაინტერესებულია თანამშრომლობით და, შესაბამისად, გარკვეული ინფორმაციის გაცვლა ორივე მხარისათვის სასარგებლო და მნიშვნელოვანია.

კონტაქტთან (ისევ და ისევ, აქ ყველა კატეგორიის კონტაქტზეა საუბარი, მათ შორის კოლეგებზეც) დამეგობრების დროს უნდა ვეცადოთ:

- არამც და არამც არ შეექმნას მას შთაბეჭდილება, რომ ჩვენ იგი მხოლოდ ინფორმაციის მისაღებად გვჭირდება;

- ვაჩვენოთ, რომ ჩვენ იგი გვჭირდება და ვაფასებთ როგორც ადამიანსა და პროფესიონალს;
- რაც მთავარია, არაავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ ჩვენი მხრიდან რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო ტყუილის თქმა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა, რაც კი შეიძლება დაუშვას დიპლომატმა. ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ გარკვეულ ვითარებაში ტყულის თქმის გარეშე „გამოძრომა“ შეუძლებელია, მაგრამ არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობები - ასეთ ვითარებაში უბრალოდ საჭიროა მოსაუბრეს ვუთხრათ, რომ მოცემულ საკითხზე არაფრის თქმა არ შეგიძლიათ. ტყუილი ძალიან დიდი რისკია, რადგან მას შეიძლება მოჰყვეს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული კონტაქტის დაკარგვა, არამედ დიპლომატის მთლიანად დისკრედიტაცია.

ერთი შეხედვით, ამ პირობების გათვალისწინება და მათი დაცვა იოლი საქმე არ არის. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს არც ისე რთულია თუკი დავიცავთ ერთ წესს: კონტაქტთან საჭიროა ნამდვილი მეგობრობის დამყარება. ისევ და ისევ, დიპლომატია სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური ურთიერთობების მემშვეობით სახელმწიფო ინტერესის დაცვა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა გაუმჯობესება. შესაბამისად, მოგებულება ის დიპლომატი, რომელიც უკეთ და უფრო მეტ საჭირო კონტაქტთან დაამყარებს კარგ,

მეგობრულ ურთიერთობებს. ურთიერთობები უნდა აიგოს ნდობასა და ურთიერთსიმპატიებზე. სხვანაირად წარმოუდგენელია, კონტაქტისგან რაიმე მნიშვნელოვანი სარგებელი მივიღოთ. ტყუილი, რაიმე სახით უპატივცემულობის გამოჩენა, ინფორმაციის გამოტყუების მცდელობა - ყველაფერი ეს საპასუხოდ კარგს არაფერს მოიტანს. ისევ და ისევ, შედეგი იქნება ან კონტაქტისგან არასერიოზული პასუხები, ან მისი დაკარგვა.

იმისათვის, რათა კონტაქტთან იოლად ავიწყოთ ურთიერთობა, მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ელემენტარული რამ, როგორცაა მოცემული სახელმწიფოს ისტორიისა და ტრადიციების კარგი ცოდნა. ეს ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე ამ სახელმწიფოს მოქალაქეებზე და აიოლებს მათი ნდობის მოპოვებას. ლოგიკურად, ყოველთვის კარგია, თუკი კონტაქტისგან ყურადღებით მოვისმინოთ ყველანაირ მონათხრობს მის ქვეყანაზე.

ყოველთვის კარგია, თუკი კონტაქტთან გამოჩნდება საერთო ინტერესები, თუკი დაემთხვევა გემოვნება. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ დავტოვოთ სასიამოვნო და სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილება, რომელიც ინტერესსა და თბილ დამოკიდებულებას ამჟღავნებს როგორც კონტაქტის, ასევე მისი ქვეყნის მიმართ.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ყველაფერი ეხება ყველა კატეგორიის კონტაქტს. ახლა კი გავყვეთ კონტაქტების თითოეულ კატეგორიას და ვნახოთ რით არის თითოეული მათგანი გამოჩეული და მნიშვნელოვანი.

მოხელეებზე უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება მეორე კატეგორიას, ვუნდოთ მათ პირობითად ექსპერტები, ისინი ძალიან მნიშვნელოვანნი არიან მთელი რიგი ფაქტორების გამო. უპირველესად, ექსპერტები ყოველთვის გაცილებით უფრო გახსნილები და ნაკლებად შეზღუდულები არიან, ვიდრე მოხელეები და, შესაბამისად, მათთვის მთელ რიგ საკითხებზე საუბარი იოლია. გარდა ამისა, მოხელე როგორც წესი დაკავებულია თავისი საქმიანობით, რომელიც შეიძლება იყოს საკმაოდ შეზღუდული და რაღაც საკითხებს არ სცილდებოდეს. ეს არანაირად არ ითქმის ექსპერტებზე, რომელთაც მრავალ საკითხზე აქვთ წარმოდგენა და ინფორმაცია. გარდა ამისა, ექსპერტების ხედვა და თვალსაზრისი ყოველთვის უფრო გახსნილია - ისინი ყველაფერს გარედან უყურებენ და უფრო მეტად ითვალისწინებენ გარე ფაქტორებს, მაშინ როცა მოხელეები ყველაფერს მაინც შიგნიდან უყურებენ და რაღაცნაირად უწყებრივი ხედვით არიან შეზღუდულნი. ამიტომაც, მოცემულ საკითხებზე ექსპერტის ხედვის შედარება მოხელის ხედვასთან მეტად სასარგებლო შეიძლება იყოს. ეს ხედვები ერთიმეორეს შეავსებს.

ექსპერტთან კონტაქტის დროს უნდა გავითვალისწინოთ მისი პოლიტიკური სიმპატიებიც. ცხადია, რომ ერთმანეთისგან განსხვავებულად უნდა მივუდგეთ ხელისუფლების მხარდამჭერი ექსპერტისგან მიღებულ ინფორმაციასა და ანალიზს და ინფორმაციასა და ანალიზს, რომელიც მოდის ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტისაგან. კარგი იქნება თუკი ორივე სახის ექსპერტებთან გვექნება შეხება, რათა შევაჯეროთ მათი შეხედულებები. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთ ექსპერტებთან ურთიერთობა, რომლებიც ხელისუფლებასთან არიან დაახლოებულნი და არა მხოლოდ შეხება აქვთ პოლიტიკასთან, არამედ პოლიტიკის შექმნაზეც ახდენენ გარეკვეულ გავლენას. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთ ექსპერტებთან კონტაქტზე იმდენად დიდი მოთხოვნაა, რომ მათზე გასვლა და მათთან დაახლოება იოლი არ იქნება. ასეთი ექსპერტები კარგად აცნობიერებენ თავიანთი დროისა და ყურადღების ფასს და, შესაბამისად, მათზე მუშაობა დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

ამ სირთულის გათვალისწინებით, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენელის უნარს აღმოაჩინოს ნიჭიერი, დამწყები ექსპერტები, რომელთაც აქვთ მონაცემები მომავალში მიაღწიონ მეტ წარმატებას და გავლენა იქონიონ პოლიტიკაზე. ასეთ ადამიანებთან საწყის ეტაპზე დაახლოება იოლია და ისინი ყოველთვის აფასებენ

ხოლმე მათდამი გამოჩენილ ყურადღებას. ადამიანური ფაქტორი ყოველთვის მუშაობს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ადამიანს საწყის ეტაპზე ვაქცევთ ყურადღებას. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ექსპერტი რაღაც დროს შესაძლოა სახელმწიფო უწყებაში აღმოჩნდეს და თუკი ჩვენ მასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს დამყარებული, ეს დამატებით საშუალებებს გვაძლევს.

სანამ ჟურნალისტებზე გადავალთ, შევხვით ერთ საინტერესო საკითხს, რომელიც ერთვარად აკავშირებს ამ ორ კატეგორიას.

პირველ ქვეთავში უკვე ვისაუბრეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელი მედიასაშუალება რომელ პოლიტიკურ ძალაზე მუშაობს. ეს აუცილებელია და ხშირად საკმაოდ რთულიც, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ავტოკრატიულ და ჰიბრიდულ რეჟიმებს. ასეთ საკითხებზე ინფორმაცია შეიძლება მოვიპოვოთ სწორედ ჩვენი კონტაქტებისგან, უპირველესად კი სწორედ ექსპერტებისგან.

ჟურნალისტები ექსპერტების მსგავსად გახსნილები არიან (და, როგორც წესი, კიდევ უფრო გახსნილები). ისინი ადამიანთა ერთ-ერთ ყველაზე მეტად ცნობისმოყვარე კატეგორიას განეკუთვნებიან და, შესაბამისად, როცა ბევრის გაგება სურთ,

თვითონაც საკმაოდ ბევრს ყვებიან ხოლმე. მაგრამ, ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ჟურნალისტები უფრო იოლად შეიძლება აყვინ ჭორებს, ვიდრე ექსპერტები და მოხელეები. ხდება ისიც, რომ მათ შესაძლოა გარკვეული სახის საინტერესო ინფორმაცია გააჩნდეთ (ხშირად ექსკლუზიური სახისაც), მაგრამ ვერ აცნობიერებდნენ ამ ინფორმაციის მნიშვნელობას. ეს მაშინ, როცა ექსპერტები ყველანაირ ინფორმაციას აანალიზებენ და მის მნიშვნელობასაც ადეკვატურად იაზრებენ.

და მაინც, ჟურნალისტებს გააჩნიათ თავიანთი უნიკალური უპირატესობები. ისინი ბევრს მოძრაობენ, პირადად იცნობენ ძალიან ბევრ პოლიტიკოსს (რომ არაფერი ვთქვათ ექსპერტებზე) და საკმაოდ ბევრი იციან მათზე (მათ შორის პირადი ცხოვრების დეტალებიც, რაც შეიძლება სასარგებლო გამოდგეს). გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არიან ჟურნალისტები, რომლებიც ასრულებენ ხოლმე ხელისუფლების, ან რომელიმე პოლიტიკური ძალის დაკვეთას და, შესაბამისად, მათ საინტერესო ინფორმაციაც გააჩნიათ.

ყველაფერი ეს რომ შევაჯამოთ, მივიღებთ შემდეგს:

- მოხელეები. მათ უშუალო შეხება აქვთ სახელმწიფო პოლიტიკასთან, მაგრამ არიან ნაკლებად გახსნილები.

- გარდა ამისა, ისინი ხშირად შემოფარგლულები არიან ერთი სფეროთი და მათი ხედვა არის ხედვა „შიგნიდან“;
- ექსპერტები. მათ სახელმწიფო პოლიტიკასთან უშუალო შეხება არა აქვთ, მაგრამ აქვთ ინფორმაცია და ცოდნა ბევრ საკითხზე, უფრო ფართო ხედვა და შეუძლიათ ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
 - ჟურნალისტები. ნაკლებად გააჩნიათ ანალიზის უნარი და, ამიტომაც, შეიძლება ყურდალება გაამახვილონ საკმაოდ უმნიშვნელო რამეზე (მნიშვნელოვანი კი გამორჩეთ), მაგრამ ხშირად ფლობენ ექსკლუზიურ ინფორმაციას, მით უმეტეს, თუკი მუშაობენ რომელიმე პოლიტიკურ ძალაზე.

ინფორმაციის ანალიზი

ინფორმაციის ანალიზი დიპლომატის საქმიანობის ცალკე და მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ანალიტიკური უნარ-ჩვევების ქონა მეტ-ნაკლებად ყველა კატეგორიისა და პროფესიის ადამიანს მოეთხოვება, მაგრამ დიპლომატები იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლისთვისაც ეს უნარი უბრალოდ აუცილებელია. მათ შეხება აქვთ დიდი მოცულობის ინფორმაციასთან, რომლის გადამუშავებისა და დახარისხების გარეშე მუშაობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ავიღოთ თუნდაც თავდაცვის ატაშე/წარმომადგენელი, მას უბრალოდ

არ შეუძლია მოგროვილი ზღვა მასალა და ინფორმაცია პირდაპირ გადაუგზავნოს თავის ხელმძღვანელობას: ამდენი მასალის საკითხავად არავის სცალია და, გარდა ამისა, ამდენ მასალაში ჩანვდომა და გარკვევა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუკი ვითარებას ახლოდან არ იცნობ. შესაბამისად, თავდაცვის ატაშემ/წარმომადგენელმა თავის მიერ მოპოვებული ინფორმაცია უნდა გადაახარისხოს, გამოეყოს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ახსნას მათი მნიშვნელობა და ასევე დაურთოს თავის მოსაზრებები. მაგალითად, მას შეიძლება ხელთ ჰქონდეს მოცემული სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრის გამოსვლის ტექსტი, მაგრამ მან თავის ხელმძღვანელობასთან უნდა გადააგზავნოს არა უბრალოდ ეს ტექსტი, არამედ მისი ანალიზიც. კონკრეტულად, უნდა აღნიშნოს, რა თემებზე იქნა გამახვილებული ყურადღება ამ ტექსტში, რას შეიძლება ნიშნავდეს ამ თემებზე ყურადღების გამახვილება და რით არის ეს საყურადღებო საქართველოსათვის (დაახლოებით თუ როგორ კეთდება ასეთი ანალიზი, ამას ქვემოთ ვნახავთ).

გარდა ამისა, ანალიზი საჭიროა არა მხოლოდ იმისათვის რათა იგი ხელმძღვანელობას მივანწოდოთ. ანალიზი თავად დიპლომატს სჭირდება, რათა უკეთ გაიაზროს ყველა მიღებული ინფორმაცია, დაახარისხოს და დააღაგოს იგი. საამისოდ საჭიროა რეგულარული და სისტემატური მუშაობა,

კვირაში ერთხელ მაინც შეჯამების წერა, რომელსაც დაეფუძნება ანალიტიკური ბარათები.

საერთოდ, ანალიზის გარეშე გადაუმუშავებელი ინფორმაციის ათვისება არა მხოლოდ რთულია, არამედ საკმაოდ სახიფათოც. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სტალინი 1941 წელს. იმ პერიოდში საზღვარგარეთ მომუშავე საბჭოთა დიპლომატებისა და მზვერავებისგან კრემლში უამრავი ინფორმაცია შედიოდა. დიპლომატები ცხადია ანალიზს აგზავნიდნენ, მაგრამ დაზვერვა აგზავნიდა გადაუმუშავებელ, პირველად ინფორმაციას, რომელიც საჭიროებდა ადგილზე გადამუშავებას, დახარისხებასა და ანალიზს. სტალინი ანალიტიკოსებს დიდად არ ენდობოდა და დაზვერვიდან შემოსულ გადაუმუშავებელ ინფორმაციას და საიდუმლო მოხსენებებს თავად კითხულობდა ხოლმე. ამ საიდუმლო მოხსენებათა უმრავლესობა ერთ თემას ეხებოდა - გერმანია აუცილებლად დაესხმება თავს საბჭოთა კავშირს. მაგრამ მოხსენებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა თავდასხმის თარიღთან დაკავშირებით - ზოგიერთი ვარაუდობდა თავდასხმას ივნისში, ზოგიერთი მანამდე, ზოგიერთი შემდეგ. დრო გადიოდა, გერმანია კი საბჭოთა კავშირს თავს არ ესხმოდა. სტალინმაც გადაწყვიტა, რომ ეს მოხსენებები უბრალოდ დებინფორმაცია იყო და მასსა და ჰიტლერს შორის განხეთქილების ჩაგდებას ისახავდა მიზნად.

ამ მაგალითს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით და ვნახავთ, რომ არსებობდა სხვა მიზეზებიც, რამაც სტალინი შეცდომაში შეიყვანა, მაგრამ ამ ეტაპზე შემდეგი რამ უნდა აღვნიშნოთ: სტალინს რომ გადაუშეშავებელი მასალების ნაცვლად უკვე მომზადებული ანალიზი წაეკითხა, ის, წესით, უფრო ადეკვატურად შეათვასებდა ვითარებას.

ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა უნდა გავითვალისწინოთ ინფორმაციის დამუშავება-ანალიზის დროს დიპლომატმა.

ანალიზის დროს მეტად მნიშვნელოვანია ცივი გონებისა და ზომიერების შენარჩუნება, რათა თავიდან ავიცილოთ ორი ყველაზე გავრცელებული შეცდომა: სიახლის იგნორირება და გადაჭარბებული რეაგირება.

სიახლის იგნორირება. ამ შეცდომას უფრო გამოცდილი დიპლომატები უშვებენ ხოლმე, რომელთაც მიაჩნიათ რომ უკვე პრაქტიკულად ყველაფერი იციან მოცემულ სახელმწიფოზე და იქ ახალი და განსაკუთრებული რთულად შეიძლება მოხდეს. როცა ადამიანი გადატვირთულია და დიდი მოცულობის ინფორმაციასთან აქვს შეხება (მითუმეტეს თუკი ინფორმაცია ძირითადად ერთსა და იმავე საკითხებს ეხება), შეიძლება მოხდეს ისე, რომ რაღაც საკითხი ყურადღების გარეშე დარჩეს. დიპლომატმა შეიძლება მას ყურადღება საერთოდ არ მიაქციოს, ან სათანადო ყურადღება არ

დაუთმოს და უბრალოდ გადანწყვიტოს, რომ ამ სიახლეში განსაკუთრებული და საყურადღებო არაფერია.

მაგალითად, ისევ ავიღოთ მეორე მსოფლიო ომი და სტალინისა და ჰიტლერის ურთიერთობები. 1939 წელს სტალინი უკვე მეტად სკეპტიკურად უყურებდა ინგლისსა და საფრანგეთთან დაახლოების პერსპექტივას. იგი ხვდებოდა, რომ აუცილებელი იყო ჰიტლერის შეკავება და იქამდე იმედი ჰქონდა, რომ ამას ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით გააკეთებდა. როცა ინგლისმა და საფრანგეთმა ამის ნაცვლად მიუნხენის კონფერენციაზე ჰიტლერს ჩეხოსლოვაკია დაუთმეს, სტალინმა გადანწყვიტა რომ ასეთ ვითარებაში ჰიტლერთან გარიგება ჯობდა. გარიგებისათვის საჭირო იყო ჰიტლერისათვის საჭირო სიგნალის გაგზავნა და ასეთ სიგნალად იქცა სტალინის ინტერვიუ, რომელშიც მან განაცხადა, რომ მისთვის გერმანია, საფრანგეთი თუ ინგლისი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ და ყველანი იმპერიალისტური სახელმწიფოები იყვნენ.

აქ საინტერესო ისაა, რომ იქამდე საბჭოთა პრესა (რომელიც ცხადია, სახელმწიფოს მხრიდან ტოტალური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და შესაბამისად სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას ატარებდა) ყველაზე მეტად გერმანიას აკრიტიკებდა, როგორც იდეოლოგიურ მონინალმდევესა და მშვიდობის დაუძინებელ მტერს. და ასეთ ფონზე, უეცრად,

სტალინმა გერმანია ერთ კონტექსტში მოიხსენია სხვა ქვეყნებთან ერთად, რომლებთანაც იგი იქამდე დაახლოებას ცდილობდა.

საბჭოთა დიქტატორს მიაჩნდა, რომ ყველა ამ მიზემის გათვალისწინებით ინტერვიუ საკმარისი უნდა ყოფილიყო, რათა ჰიტლერს საჭირო სიგნალი მიეღო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ინტერვიუს პრაქტიკულად არავინ მიაქცია ყურადღება, ერთი გერმანელი დიპლომატის გარდა, რომელიც ამაოდ ცდილობდა თავისი ხელმძღვანელობისათვის მიენვდინა ხმა და აეხსნა, რომ სტალინის ეს ინტერვიუ არ იყო ჩვეულებრივი სიახლე, რომ ეს ამოვარდნილი იყო საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ტრადიციული კონტექსტიდან. ჰიტლერი მხოლოდ მაშინ დაფიქრდა სტალინის მხრიდან მომავალ სიგნალებზე, როცა ამ უკანასკნელმა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან ებრაული წარმოშობის ლიტვინოვი გადააყენა და მის ნაცვლად არაებრაელი მოლოტოვი დანიშნა. პათოლოგიური ანტისემიტიზმით შეპყრობილმა ჰიტლერმა ჩათვალა, რომ ებრაელის თანამდებობიდან გაშვებით სტალინს სურდა უფრო პრო-გერმანული პოლიტიკა გაეტარებინა (ეს გარკვეულწილად მართალი იყო; სტალინი მართლაც ფიქრობდა საგარეო კურსის შესაძლო ცვლაზე, მაგრამ ლიტვინოვის ებრაელობა აქ ნაკლებად იყო შუაში, სტალინმა იგი უბრალოდ იმიტომ გადააყენა, რომ ლიტვინოვი ინგლისთან და საფრანგეთთან

ალიანსში ხედავდა საბჭოთა კავშირისათვის გამოსავალს, მოლოტოვს კი ასეთი გამოკვეთილი სიმჰატიები არ გააჩნდა). ასე თუ ისე, ჰიტლერმა რამდენიმე დიპლომატთან მოთათბირება გადანიყვითა, რომელთა შორისაც აღმოჩნდა სწორედ ის ერთი, რომელმაც სტალინის ინტერვიუ სწორად გაშიფრა. თათბირის შემდეგ ჰიტლერი დარწმუნდა, რომ სტალინი გერმანიასთან დაახლოებისათვის ნამდვილად მზად იყო, რასაც მალე ორ სახელმწიფოს შორის ცნობილი შეთანხმების, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის, გაფორმება მოჰყვა.

როგორც ვხედავთ, სიახლის იგნორირების გამო, გერმანიას თითქმის გამორჩა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილება. პარადოქსულად, ამ ცვლილებაზე ჰიტლერი დაუიქრდა, ოღონდ სრულიად არასწორი მიზეზის გამო. საბოლოოდ, კი სიმართლე ჰიტლერმა იმ დიპლომატისგან შეიტყო, რომელმაც ინფორმაციის სათანადოდ გაანალიზება შეძლო.

მეორე შეცდომა, **გადაჭარბებული რეაგირება**, როგორც წესი, ახალბედა და გამოუცდელ დიპლომატებს ემართებათ. სანამ მიერვევიან ინფორმაციაზე მუშაობას, სანამ კარგად გაერკვევიან მოცემული სახელმწიფოს სპეციფიკაში და ზოგადად სანამ მიიღებენ დიპლომატიურ გამოცდილებას. გამოუცდელებს ძალიან სურთ ხოლმე თავი გამოიჩინონ და ამ

სურვილის ფონზე ზოგჯერ სენსაციას აღმოაჩენენ იქ, სადაც არანაირი სენსაცია არ არსებობს და ყველაფერი ჩვეულებრივად მიდის.

თუმცა, ეს შეცდომა მართო გამოუცდელებს არ მოსდით და მისი დაშვება ზოგჯერ მხოლოდ გამოცდილების ნაკლებობით არ აიხსნება. საბჭოთა კავშირს საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი კადრებით დაკომპლექტებული დაზვერვა ჰყავდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, 1983 წელს ქვეყნის ხელმძღვანელობამ გადაჭარბებული რეაგირება მოახდინა ნატო-ს მიერ გამართულ სამხედრო წვრთნებზე, რომელიც "მარჯვე მოისრის" (Able Archer) სახელით შევიდა ისტორიაში. ეს წვრთნები შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან, რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ბირთვული ომისათვის მზადების სიმულაციას. საბჭოთა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ წვრთნები უბრალოდ შირმა იყო და რომ სინამდვილეში ნატო მართლაც აპირებდა მათ ქვეყანაზე ბირთვული თავდასხმის განხორციელებას. შედეგად, საბჭოთა კავშირმაც მოიყვანა მზადყოფნაში ბირთვული არსენალის ნაწილი და მსოფლიო სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა.

ცხადია ისმის კითხვა: ხომ არ იყო ლეგიტიმური საბჭოთა ხელმძღვანელობის ეს შიში? რა არგუმენტები არსებობდა მათი შიშის გასაქარწყლებლად?

არგუმენტები ნამდვილად არსებობდა. ჯერ ერთი, რომ "მარჯვე მოისარი" იმ პერიოდში ყოველწლიურად ტარდებოდა (მაგრამ ისტორიაში საბოლოოდ მაინც 1983 წლის წვრთნები დარჩა). მეორეც, ამერიკა და მისი ნატო-ელი მოკავშირეები უკვე ათწლეულების განმავლობაში მიეჩვივნენ ბირთვულ საბჭოთა კავშირთან თანაარსებობას და ამ ხნის განმავლობაში მასზე თავდასხმა არც ერთხელ არ განუზრახავთ. მართალია, მათთვის საბჭოთა კავშირი მიუღებელი იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, მის არსებობას ეგუებოდნენ, ანგარიშს უწევდნენ და მის ინტერესებსაც ითვალისწინებდნენ სულ მცირე იმ ფაქტის გამო, რომ საბჭოთა კავშირს დიდძალი ბირთვული იარაღი ჰქონდა. რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ასე უცებ, რადიკალურად შეცვლილიყო ნატო-ს პოლიტიკა?

საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის ასეთი „რალაც“ (რასაც შეეძლო ასე რადიკალურად შეეცვალა ნატოს პოლიტიკა) იყო რონალდ რეიგანის გაპრეზიდენტება. რეიგანი არა მხოლოდ სიტყვით ილაშქრებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ საქმითაც - მის ხელში ამერიკამ დაიწყო ახალი სამხედრო პროგრამების განხორციელება. საბჭოთა ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ ასეთი პრეზიდენტისგან თავისუფლად იყო მოსალოდნელი ბირთვული ომის დაწყება და როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ამერიკის მოსახლეობის განწირვა.

აღბათ, აქ უკვე ცხადად ჩანს მთავარი შეცდომა: მეორე მხარის (ამ შემთხვევაში ამერიკის) არასწორი შეფასება. რა თქმა უნდა, ამერიკის არცერთი პრეზიდენტი არ დაიწყებდა ბირთვულ ომს, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ამერიკა დგას დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანურობის პრინციპებზე და, რომ ამერიკის არცერთი მთავრობა არ წავილოდა უმიზეზოდ (სამხედრო დაპირისპირების არარსებობის პერიოდში) საბჭოთა მოსახლეობის და, მითუმეტეს, საკუთარი მოსახლეობის დახოცვაზე. მაგრამ ღრმად დაბერებულ, რეალობას მონყვეტილ საბჭოთა ლიდერებს ეს უბრალოდ არ ესმოდათ.

გადაჭარბებული რეაქციის მიზეზად თავისუფლად შეიძლება იქცეს მედიაში გავრცელებული ინფორმაცია. ეს არ ეხება მხოლოდ ყვითელ პრესას, სადაც მრავლადაა ათასგვარი ჭორი და სიცრუე. ეს ზოგჯერ შეიძლება ეხებოდეს ყველაზე სერიოზულ გამოცემასა და ყველაზე სერიოზულ ავტორებს. განვიხილოთ ამ მხრივ მეტად საინტერესო მაგალითი თანამედროვეობიდან.

2011 წლის მარტში ზემოთ ნახსენებმა რუსეთის ყველაზე ცნობილმა და გავლენიანმა (ასევე, ხელისუფლებასთან დაახლოებულმა) პოლიტიკურმა მიმომხილველმა ფიოდორ ლუკიანოვმა ჟურნალში "რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში" (საერთაშორისო ურთიერთობების თემაზე რუსეთის გავ-

ლენიანი გამოცემა, რომელიც დაფუძნებულია საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭოს მიერ) გამოაქვეყნა სტატია (<http://www.globalaffairs.ru/redcol/Dzho-Baiden---vestnik---peremen-15133>), რომელმაც თავდაყირა დააყენა რუსეთისა და დასავლეთის პოლიტიკური და საექსპერტო წრეები. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ დიდი ხანია მიმდინარეობს ფარული მოლაპარაკებები რუსეთსა და ნატო-ს შორის, რასაც მალე უნდა მოჰყვეს რუსეთის განწევრიანება ალიანსში. ხოლო, ნატო-ს გენერალურ მდივნად თვით ვლადიმირ პუტინი უნდა იქცეს.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა რეაქცია მოჰყვებოდა ასეთი შინაარსის სტატიას. ბევრმა ეს ჭეშმარიტებად მიიღო. დაიწყო სერიოზული მსჯელობა და სამომავლო პროგნოზების კეთება. ზოგიერთი ცდილობდა გაეანალიზებინა ის მიზეზები, რამაც რუსეთს ნატო-ში შესვლა გადააწყვეტინა. ამ ჰიპოთეზებსა და თეორიებს ერთ კვირაში თავად ლუკიანოვმა მოუღო ბოლო, რომელმაც ისევ თავისივე ახალ სტატიაში (<http://www.globalaffairs.ru/redcol/O-sostoyanii-golov-15135>) განაცხადა, რომ ყველაფერი ჩვეულებრივი ხუმრობა იყო და რომ ხუმრობაზე რეაქციებმა მისთვის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

საინტერესოა, რაში იყო საქმე და რატომ გახდა საჭირო ასეთი ხუმრობა ასეთი გავლენიანი გამოცემის ფურცლებზე? ყველაზე

სარწმუნო ვერსიით, საჭიროება წარმოშვა რუსეთის შიდა პოლიტიკაში მაშინ შექმნილმა ვითარებამ. იმ პერიოდში რუსეთის პრეზიდენტის პოსტი დიმიტრი მედვედევს ეკავა, მაგრამ მისი ვადა იწურებოდა და, შესაბამისად, მიდიოდა უამრავი სპეკულაცია იმის თაობაზე, თუ რა მოხდებოდა მომავალ არჩევნებზე - გადანყვეტდა თუ არა პუტინი (რომელსაც პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა) პრეზიდენტად დაბრუნებას, თუ ქვეყანას საბოლოოდ გადააბარებდა მასზე "უფრო ლიბერალ" და "დასავლეთისათვის უფრო მისაღებ" მედვედევს. ამ სპეკულაციების ფონზე რუსულ პრესაში ვრცელდებოდა არაერთი ჭორი, რომელთაგან ერთ-ერთმა ყველანაირ ზომას გადააჭარბა, - მის მიხედვით, პუტინს რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე არდაბრუნების სანაცვლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა შესთავაზეს და იგი ამას დათანხმდა. ჩანს, მსგავსმა მითქმა-მოთქმებმა მოთმინებიდან გამოიყვანა პუტინი (რომელსაც უკვე გადანყვეტილი ჰქონდა ხელახლა გაპრეზიდენტება) და, სწორედ, მათ საპასუხოდ დაიბადა ლუკიანოვის სკანდალური ხუმრობა-სტატია, რომელშიც ავტორი დასცინოდა ასეთ მითქმა-მოთქმებსა და შეთქმულების თეორიებს. ერთი კვირის შემდეგ კი, როგორც უკვე ვთქვით, მან უკვე მათ დასცინა, ვინც დაიჭერა ყოველგვარ ლოგიკასა და საღ აზრს მოკლებული გამონაგონი რუსეთის ნატო-ში შესვლის შესახებ.

ვფიქრობთ, უკვე საკმარისი მაგალითი მოვიყვანეთ, რათა გავიაზროთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფრთხილად მოვეკიდოთ ყველა ინფორმაციას, რომელიც ჰგავს შეთქმულების თეორიას და ამოვარდნილია რეგულარულ მოვლენათა ჯაჭვიდან.

და კიდევ ერთი სერიოზული და გავრცელებული შეცდომა, რომლის თავიდან აცილება მეტად მნიშვნელოვანია. ეს არის ე.წ. **სარკისებრი ანარეკლი** (დაახლოებით ასე უნდა ვთარგმნოთ ორიგინალიდან - mirror imaging ინგლისურად). ეს შემდეგს გულისხმობს: სხვა სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების, ან რომელიმე პოლიტიკოსის განცხადებებისა და ქმედებების ანალიზის დროს შეიძლება ამ სხვას (სახელმწიფოს, პოლიტიკოსს და ა.შ.) ჩვენი თვისებები მივანეროთ და, მათი ქმედებები და მოტივაცია არა მათი, არამედ ჩვენი ლოგიკით ავხსნათ. შედეგად, შეიძლება მცდარი დასკვნები და პროგნოზები გავაკეთოთ.

მაგალითისათვის ისევ გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა გამოდგება. ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ დაზვერვისგან მიღებული გადაუშუშავებელი მასალების კითხვამ სტალინს აფიქრებინა, რომ ყველაფერი მხოლოდ დებინფორმაცია იყო. მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი მიზეზი, რამაც იგი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა. მან სწორედ სარკისებრი ანარეკლის შეცდომა დაუშვა და ჰიტლერს მიანერა

თავისი თვისებები - უკიდურესი სიფრთხილე და რაციონალობა. სტალინისნაირი ფრთხილი და რაციონალური ადამიანი საბჭოთა კავშირს თავს არ დაესხმოდა და ამით მეორე ფრონტს არ გახსნიდა (იმ პერიოდში გერმანია ხომ ბრიტანეთთანაც ომობდა). ამ ლოგიკიდან გამომდინარე, სტალინი ვერაფრით იჭერებდა რომ ჰიტლერი ომს დაიწყებდა - მან ვერ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ გერმანიის დიქტატორს მისი თვისებები არ გააჩნდა და არანაირად არ იყო ფრთხილი და რაციონალური. პირიქით, იყო ავანტურისტი და გადაწყვეტილების მიღების დროს, სტალინისგან განსხვავებით, ინტუიციას უფრო ენდობოდა, ვიდრე რაციონალურ გათვლას.

თავის მხრივ, გერმანელებმა ანალოგიური შეცდომა დაუშვეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საკუთარი თვისებები ამერიკელებსა და ბრიტანელებს მიაწერეს. საუბარია 1944 წელს გერმანიის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაზე. როგორც ცნობილია, მოკავშირეებმა (ამერიკელებმა და ბრიტანელებმა) საბოლოოდ ჯარი გადასხეს საფრანგეთში, ნორმანდიაში. გერმანელები ძალიან დიდხანს ფიქრობდნენ იმაზე, თუ სად მოხდებოდა ჯარის გადმოსხმა. ცხადი იყო, რომ ეს საფრანგეთის ჩრდილო სანაპიროზე განხორციელდებოდა (ელემენტარულად გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ გადმოსხმა ბრიტანეთის სამხრეთ ტერიტორიაზე მზადდებოდა), მაგრამ საკითხავი იყო კონკრეტულად სად?

არსებობდა სულ ორი ვარიანტი - ნორმანდია ან კალე. მაგრამ გერმანელებს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ორივე მიმართულება კარგად დაეცვათ. შესაბამისად, მათ ჯერ ანალიზის საფუძველზე უნდა გადენწყვიტათ, სად იყო მოსალოდნელი მეორე ფრონტის გახსნა და იქაურობა უნდა გაემაგრებინათ. მეორეს მხრივ, ცხადია ამერიკელები და ბრიტანელები ცდილობდნენ გერმანელები შეცდომაში შეეყვანათ, მოეხდინათ მათი დეზინფორმირება და შემდეგ დარტყმა განეხორციელებინათ იქ, სადაც გერმანელები მათ არ ელოდნენ, სწრაფად გადაესხათ ჯარი საფრანგეთში და იქიდან შეევიწროებინათ გერმანია.

საბოლოოდ, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ამერიკელებმა და ბრიტანელებმა სწორად ივარაუდეს, რომ გერმანელები სარკისებრი ანარეკლის შეცდომას დაუშვებდნენ და ყველაფერი ამაზე ააგეს. თავად გერმანელები მოკავშირეების ადგილას მეორე ფრონტს წესით კალეში გახსნიდნენ, რადგან ეს იყო უმოკლესი და ყველაზე მოხერხებული მარშრუტი და ადგილმდებარეობა ზღვიდან დესანტის გადასასხმელად (გამომდინარე ტრადიციული გერმანული ეფექტიანობიდან და ყაირათიანობიდან). შესაბამისად, მოკავშირეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა გერმანელები დაერწმუნებინათ თავიანთ ამ ვარაუდში. ბრიტანულმა დაზვერვამ გერმანიის სარდლობას შეაპარა უამრავი დეზინფორმაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ

დარტყმა ნამდვილად კალეში განხორციელდებოდა. გერმანელებიც მხოლოდ კმაყოფილნი იყვნენ იმით რომ მათი წყაროები (სინამდვილეში კი ეს წყაროები ბრიტანელების მიერ კონტროლდებოდა და დეზინფორმაციას ავრცელებდა) ადასტურებდა იმას, რასაც თავად მათი სარდლობა ვარაუდობდა. შედეგად, გერმანელები იმდენად მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ დარტყმა ყველა შემთხვევაში კალედან განხორციელდებოდა, რომ როდესაც მოკავშირეთა ძალებმა ნორმანდიის სანაპიროდან შეუტიეს, მათ (გერმანელებმა) გადაწყვიტეს, რომ ეს შეტევა მხოლოდ ყურადღების გადასატანად და მათ შეცდომაში შესაყვანად ხორციელდებოდა და რომ ნამდვილი და სრულმასშტაბიანი შეტევა კალეს მიმართულებით დაიწყებოდა. საბოლოოდ მოკავშირეები კალეში გადასხდნენ და მეორე ფრონტი წარმატებით გახსნეს, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა გერმანიის საბოლოო დამარცხებაში.

სარკისებრი ანარეკლის შეცდომის დაშვების ალბათობა მაშინ მცირდება, როცა კარგად ვიცნობთ ჩვენი ანალიზის საგანს და შესაბამისად მცირეა შანსი, რომ მას ჩვენი თვისებები მივაწეროთ. თუმცა, ამ შეცდომის ბოლომდე გამორიცხვა არანაირ ცოდნასა და გამოცდილებას არ შეუძლია. სარკისებრი ანარეკლის პრევენცია მაშინაა შესაძლებელი, თუკი არ შევეცდებით ამა თუ იმ მოვლენის ახსნას მხოლოდ ერთი ლოგიკითა და ერთი მიდგომით და, ამის ნაცვლად,

ჩამოვყალიბებთ რამდენიმე ვარიანტს და, შესაბამისად, გავაკეთებთ რამდენიმე შესაძლო დასკვნას.

დასასრულ, ცოტა დრო დავეთმოთ ანალიზის ყველაზე გავრცელებულ და ძირეულ მეთოდებს. ცხადია, ანალიზის მეთოდების სრულფასოვან დაფარვასა და აღწერას აქ ვერ მოვახერხებთ, მაგრამ არსებობს საშუალება, გავიაზროთ ანალიზის ყველაზე მარტივი და აუცილებელი მეთოდები, რომლებიც ბევრ რამეზე გავვიხსნის ხელდას.

ანალიზის კეთების დროს მნიშვნელოვანია დავაფიქსიროთ:

- ვინ არის მოცემული ინფორმაციის წყარო. არის ეს პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, მიმომხილველი, ექსპერტი თუ ვინ?
- რა სახისაა ეს ინფორმაცია. არის ეს საჯარო გამოსვლა, ანალიტიკური სტატია, ვინმეს მონათხრობი თუ სკანდალური ხასიათის სტატია-სიუჟეტი?
- რას ეხება ეს ინფორმაცია. ეხება ეს საგარეო პოლიტიკის კონკრეტულ საკითხს, შიდა პოლიტიკურ თემას, სახელმწიფოს ზოგად განვითარებასა და სტრატეგიულ კურსს თუ რას?
- რა თემებზე კეთდება აქცენტი ამ ინფორმაციაში. რომელი თემები (ანდა ელემენტარულად, რომელი სიტყვები) უღერს ყველაზე ხშირად ამ ინფორმაციაში?

- ხომ არ შეიცვალა ამ თემებისადმი დამოკიდებულება. ხომ არ მოხდა ისე, რომ რაღაც თემები უფრო აქტუალური გახდა ან, პირიქით, მათი აქტუალობა შემცირდა, რაც შეიძლება პოლიტიკის შესაბამის ცვლილებას მოასწავებდეს?

ამის უკეთ გასააზრებლად ავიღოთ მარტივი მაგალითი. დავეშვათ, ეს ინფორმაცია არის მოცემული სახელმწიფოს ლიდერის საჯარო გამოსვლა, კონკრეტულად კი ყოველწლიური გამოსვლა პარლამენტში. ჩვენ ხელთ შეიძლება გვექონდეს ამ ლიდერის ანალოგიური გამოსვლები ბოლო ორი წლის განმავლობაში და მათთან შედარების საფუძველზე შეგვიძლია საინტერესო ანალიზის გაკეთება მრავალი მიმართულებით.

მაგალითად, შეიძლება ლიდერი იქამდე არასოდეს ახსენებდა ისეთ თემას (სიტყვას), როგორცაა ტერორიზმი. ახლანდელ გამოსვლაში კი მან ეს სიტყვა ახსენა 9-ჯერ. შესაბამისად, გაჩნდა ახალი თემა.

პირველ გამოსვლაში მან 12-ჯერ ახსენა თავისი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შესახებ. მეორე გამოსვლაში ამაზე საუბარი იყო 5-ჯერ, ახლანდელ გამოსვლაში კი სულ 2-ჯერ. შესაბამისად, დემოკრატია (თემა რომელიც აქამდე

აქტუალური იყო) ამ სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო ნაკლებად აინტერესებს.

პირველ გამოსვლაში მან 3-ჯერ ახსენა თავისი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაძლიერების მნიშვნელობა. მეორე გამოსვლაში ეს მოხდა 7-ჯერ. ახლანდელ გამოსვლაში კი, 15-ჯერ. შესაბამისად, დემოკრატიის უკანა პლანზე გადწევისთან ერთად, წინა პლანზე გადმოდის სამხედრო ძლიერების თემა.

ამ მარტივი დათვლის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ მეტად საინტერესო და სასარგებლო დასკვნები. აშკარაა, რომ მოცემული სახელმწიფოს ხელისუფლება:

- ახდენს მოსახლეობის მობილიზაციას ტერორიზმის წინააღმდეგ, ან ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით უბრალოდ ახდენს მოსახლეობის მობილიზაციას გამოგონილი მტრის წინააღმდეგ (შეიძლება რაიმე შიდა პრობლემის გადასაფარად);
- აპირებს გაზარდოს (ან უკვე გაზარდა) სამხედრო ბიუჯეტი (ღიად ან ფარულად);
- აპირებს შეზღუდოს (ან უკვე ზღუდავს) დემოკრატია, მოქალაქის თავისუფლებები და სიტყვის თავისუფლება.

ისევ და ისევ, ეს არის მეტად მარტივი მაგალითი და მარტივი მეთოდოლოგია, მაგრამ მისი გამოყენება და ათვისება, ასევე მასზე დაყრდნობით ანალოგიური, ცოტა უფრო დახვეწილი მეთოდების შემუშავება და გამოყენება მეტად სასარგებლოა ინფორმაციის ანალიზისათვის.

უცხო სახელმწიფოების სპექსამსახურები

ატაშეს/წარმომადგენელს ურთიერთობები უწევს არა მხოლოდ თავის კოლეგებთან, დიპლომატებთან, არამედ სპექსამსახურების წარმომადგენლებთანაც. ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან დიპლომატების და სპექსამსახურების წარმომადგენლების საქმიანობებს ერთი რამ აქვთ საერთო - ინფორმაციის შეგროვება. მთავარი განსხვავება ინფორმაციის შეგროვების მეთოდებშია.

სპექსამსახურებთან შეხება მით უფრო გარდაუვალია, რამდენადაც მათი წარმომადგენლები ძალიან ხშირ შემთხვევაში მუშაობენ დიპლომატის საფარის ქვეშ. როგორც წესი (თუმცა, ეს ის წესია, რომელსაც გამონაკლისი არა აქვს), საელჩოში მუშაობენ არა მხოლოდ კარიერული დიპლომატები და მათი მომსახურე პერსონალი, არამედ დაზვერვის ოფიცრები. ხოლო, თუკი მოცემულ სახელმწიფოს დაზვერვის რამდენიმე სამსახური გააჩნია, მაშინ საელჩოში ყველა მათგანია წარმოდგენილი. მაგალითად, საბჭოთა

კავშირს გააჩნდა როგორც პოლიტიკური დაზვერვა (КГБ-ს, ანუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველო, რომელიც საბოლოო სახით 1950-იან წლებში ჩამოყალიბდა), ასევე სამხედრო დაზვერვა (ГРУ - გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო, Главное Разведовательное Управление). დღევანდელმა რუსეთმა ГРУ ხელუხლებლად გადაიბარა, ხოლო КГБ კი ორ ნაწილად გაიყო - ФСБ (Федеральная Служба Безопасности, ფედერალური უსაფრთხოების სამსახური, რომელიც დაკავებულია შიდა უსაფრთხოებით და მათ შორის კონტრდაზვერვითი საქმიანობითაც) და СВР (Служба Внешней Разведки, საგარეო დაზვერვის სამსახური). შესაბამისად, თუკი ადრე საბჭოთა საელჩოში წარმოდგენილი იყო КГБ და ГРУ, ახლა წარმოდგენილია СВР და ГРУ (არაა გამორიცხული ასევე იყოს ФСБ).

ცხადია, რომ ერთი შეხედვით დაზვერვის ოფიცერი დიპლომატიისგან არაფრით განირჩევა. ისინი ყველანი დადიან შეხვედრებზე, ეცნობიან კოლეგებსა თუ ადგილობრივი ქვეყნის სხვადასხვა მოქალაქეებს (ძირითადად პოლიტიკოსებს, მოხელეებსა და ექსპერტებს). მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, არის ერთი ძირეული განსხვავება - ინფორმაციის შეგროვების მეთოდებში. დიპლომატები ინფორმაციას იღებენ ღია წყაროებიდან და კონტაქტებიდან, რომელთანაც ამყარებენ მეგობრულ ურთიერთობებს და რომლებთან

ძირითადად ინფორმაციას ცვლიან ხოლმე. ხოლო, დაზვერვის ოფიცრები ცდილობენ ინფორმაცია მიიღონ არა მხოლოდ ამ გზებით (რომლებიც დიპლომატიურ სამყაროში მიღებულია), არამედ ცდილობენ სხვა სახელმწიფოს მოქალაქე გადაიბირონ და გადაიყვანონ საკუთარი სახელმწიფოს სამსახურში და აქციონ იგი საკუთარი სპეცსამსახურის აგენტად და ინფორმატორად, რათა შემდეგ მუდმივად მიიღონ მისგან საჭირო ინფორმაცია, როგორც წესი გასამრჯელოს სანაცვლოდ.

სწორედ ესაა დაზვერვის ოფიცრის უმთავრესი საქმე - გადაბირება. თუ როგორ ხორციელდება ეს პროცესი, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი ვნახოთ დიპლომატის გარდა, კიდევ რა საფარის ქვეშ შეიძლება მუშაობდეს დაზვერვის ოფიცერი.

ბუნებრივია, რომ დიპლომატის საფარი შემთხვევით არაა შერჩეული. დიპლომატს (და მისი საფარის ქვეშ მომუშავე ნებისმიერ ადამიანს) არა მხოლოდ შეუძლია შეხვდეს მისთვის საინტერესო ადამიანებს (პოლიტიკოსებსა თუ მოხელეებს), არამედ, ეს მისი ვალდებულებაა. შესაბამისად, დაზვერვის ოფიცრისათვის მოსახერხებელია ისეთი პროფესიის საფარი, რომელიც მისთვის საინტერესო ადამიანებთან კონტაქტის ლეგიტიმურ უფლებას მისცემს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე,

დაზვერვის ოფიცერი დიპლომატის გარდა ოფიციალურად შეიძლება წარმოადგენდეს:

- **ჟურნალისტს.** დადის ინტერვიუებზე და რეპორტაჟებზე, ხვდება უამრავ ადამიანს, მათ შორის პოლიტიკოსებს;
- **მწერალს.** წიგნის წერის საბაბით შესაძლოა იმოგზაუროს სხვა ქვეყანაში, შეხვდეს მისთვის საინტერესო ადამიანებს და გამოიკითხოს ბევრი რამ;
- **ბიზნესმენს.** ბევრს მოგზაურობს და აქვს ლეგიტიმური უფლება ბევრი იცოდეს იმ ქვეყანაზე, სადაც ბიზნესის წამოწყებას გეგმავს (ან არ გეგმავს და უბრალოდ ამაში სხვებს არწმუნებს).

გარდა ამისა, დაზვერვის ოფიცერი შეიძლება მუშაობდეს ნებისმიერ ისეთ ორგანიზაციაში, რომელსაც გააჩნია ფილიალები საზღვარგარეთ. ამ მხრივ, თავის დროზე ყველაზე შორს საბჭოთა კავშირი წავიდა (რომელიც შპინაუს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა). მისი დაზვერვის ოფიცრები მუშაობდნენ ისეთი ორგანიზაციების საფარის ქვეშ, როგორც იყო (და არის) "აეროფლოტი," "ვნიშტორგბანკი," სხვადასხვა სავაჭრო კულტურული თანამშრომლობისა თუ საგანმანათლებლო კომისიები. მოკლედ, ყველა ორგანიზაცია, რომლის თანამშრომლებს საზღვარგარეთ მოგზაურობა ევალებათ, თეორიულად შესაძლოა დაზვერვის მიერ იყოს გამოყენებული, მითუმეტეს, თუკი საქმე ეხება ისეთ

სახელმწიფოს, რომელსაც დაზვერვის კარგი ტრადიციები გააჩნია.

ბუნებრივია, რადგან დაზვერვის ოფიცრის საქმიანობებში შედის გადაბირება და ინფორმაციის მოძიება, დაზვერვის ოფიცერი მეტად კომუნიკაბელური ადამიანი და კარგი ფსიქოლოგი უნდა იყოს (გადაბირებაცა და ინფორმაციის მოძიებაც ადამიანებთან ინტენსიურ კონტაქტს გულისხმობს). აქედან გამომდინარე, ერთი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ: თუ მოსაწყენ და არაკომუნიკაბელურ ადამიანთან გვაქვს საქმე, მაშინ იგი დიდი ალბათობით დაზვერვის ოფიცერი არ არის. თუმცა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს რომ ყველა კომუნიკაბელური ადამიანი დაზვერვის ოფიცერია - ასეთები ჩვეულებრივ დიპლომატებსა თუ ჟურნალისტებშიც მრავლად არსებობენ.

დიპლომატიისა და სხვა კატეგორიის საფარის ქვეშ მომუშავე დაზვერვის ოფიცრებს შორის ერთი სერიოზული განსხვავებაა. დიპლომატიის საფარის ქვეშ მომუშავეს (მათ ლეგალებს უწოდებენ) დიპლომატიური იმუნიტეტი იცავს და, თუკი იგი ჩავარდება (მის საქმიანობას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოავლენს სხვა სახელმწიფოს სპეცსამსახური), მაშინ იგი უბრალოდ გაძევებული იქნება თავის ქვეყანაში. მაგრამ თუ ჩავარდა დაზვერვის ოფიცერი, რომელიც მუშაობს არადიპლომატიის საფარით (ასეთებს ილეგალებს ეძახიან),

იგი შესაძლოა პატიმრობაში იყოს აყვანილი და გასამართლდეს. თუმცა, როგორც წესი, ასეთებს მოგვიანებით სახელმწიფოები ერთმანეთში ცვლიან ხოლმე (მაგალითად, ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის ციხეებში მყოფი ამერიკელ აგენტებს ამერიკის ციხეში მყოფ საბჭოთა აგენტებში ცვლიდნენ ხოლმე).

ასეთი რისკის გათვალისწინებით თითქოსდა ლეგალების არსებობას აზრი ეკარგება და ლოგიკური იქნება თუკი დაზვერვის ოფიცერი მხოლოდ ლეგალად იმუშავებს. მაგრამ საქმე ასე მარტივად არაა. ილეგალები შეუცვლელელები არიან მთელი რიგი ფაქტორების გამო.

1. უპირველესად, საელჩოებში პერსონალის რაოდენობა შეზღუდულია არსებული კვოტების მიხედვით და შესაბამისად დაზვერვის ოფიცრები იქ შეზღუდული რაოდენობით არიან ხოლმე;
2. ადგილობრივი სახელმწიფოს კონტრდაზვერვა განსაკუთრებული ყურადღებით ყოველთვის საელჩოს თანამშრომლებს აკვირდება ხოლმე და, შესაბამისად, ამ საფარის ქვეშ მომუშავე დაზვერვის ოფიცერი ყოველთვის შეზღუდულია, მაშინ როცა უურნალისტები თუ ბიზნესმენები ამ მხრივ უფრო თავისუფალნი არიან;
3. ლეგალებს, გამომდინარე დიპლომატიის საფარიდან, არა აქვთ საშუალება შეხვდნენ ისეთი კატეგორიის ადამიანებს,

რომელთანაც ადვილად ხედებიან ხოლმე მაგალითად უურნალისტები (ესენი არიან თუნდაც თავად ადგილობრივი უურნალისტები).

როგორც უკვე ვთქვით, დაზვერვის ოფიცრის უმთავრესი მოვალეობა არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქის გადაბირება. ცხადია, რომ მოქალაქე, რომლის გადაბირებასაც დაზვერვის ოფიცერი შეეცდება, საამისოდ უნდა ღირდეს - მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს დახურულ ინფორმაციაზე და უნდა გააჩნდეს ცოდნა საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, თავდაცვის/სამხედრო ატაშეები და სხვა დიპლომატები უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების ერთ-ერთ უმთავრეს სამიზნეს წარმოადგენენ. ცხადია, სამიზნეში სხვებიც შეიძლება მოხვდნენ, მაგრამ დიპლომატი, მათ შორის თავდაცვის ატაშე/წარმომადგენელი მაინც განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენს მთელი რიგი მიზნების გამო.

უპირველესად იმიტომ, რომ მათ უშუალო შეხება აქვთ საკუთარი სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკასთან (რაც განსაკუთრებით აინტერესებთ უცხო, და მითუმეტეს, მტრული, სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურებს). გარდა ამისა, დიპლომატები ბევრს მოგზაურობენ და დიდ დროს ატარებენ საზღვარგარეთ, სადაც მათზე

დაკვირვება, მათთან კონტაქტში შესვლა (და ამიტომ მათი გადაბირებაც) უფრო იოლია.

ცხადია, ისმის კითხვა. რა შემთხვევაში ცდილობენ უცხო სახელმწიფოს დაზვერვის ოფიცრები ამა თუ იმ ატაშესა თუ სხვა დიპლომატის გადაბირებას. ალბათ გასაგებია, რომ გადაბირება იოლი პროცესი არ არის. შეიძლება ისე მოხდეს, რომ დაზვერვის ოფიცერმა სცადოს ატაშეს გადაბირება, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს ერთგულია და ნებისმიერ ასეთ შეთავაზებას არა მხოლოდ უარით უპასუხებს, არამედ ამას საკუთარ სპეცსამსახურებს აცნობებს. ამას შედეგად სულ მცირე ის მოჰყვება დაზვერვის ოფიცერის გამოაშკარავება. თუ გადაბირების წარუმატებელი მცდელობა განხორციელდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე - მაგალითად, ბელგიაში რუსმა დაზვერვის ოფიცერმა სცადა ფრანგი მოქალაქის გადაბირება - მაშინ ამას, როგორც წესი, მოჰყვება ამ ქვეყნის ტერიტორიიდან დაზვერვის ოფიცრის სასწრაფოდ გაყვანა. ეს ყველა შემთხვევაში მოხდება, თუკი სკანდალი ისეთ დონეზე განვითარდება, რომ ადგილობრივი მთავრობა შპიონაჟში ბრალდებულის გაყვანას მოითხოვს. ასევე, ეს შეიძლება მოხდეს სკანდალის გარეშეც - ჩავარდნილი დაზვერვის ოფიცრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტოს, რომ მზვერავის მოცემულ ქვეყანაში დატოვება სარისკოა, ან უბრალოდ აზრსაა მოკლებული. ხოლო თუკი დაზვერვის ოფიცერი ჩავარდა დაუშვათ საფრანგეთში, როცა ცდილობდა ფრანგის

გადაბირებას, მაშინ შედეგები გაცილებით მძიმე შეიძლება იყოს - თუკი მზვერავს დიპლომატის იმუნიტეტი იცავს, მაშინ იგი ქვეყნიდან გაძევებული იქნება, ხოლო თუ არა (ილევალია) მაშინ იგი თავისუფლად შეიძლება აღმოჩნდეს ციხეში. ციხეში მოხვედრისგან ილევალი მაშინაც არაა დაზღვეული, თუკი ჩავარდა მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე. ანუ, როგორც ზედა მაგალითში იყო, თუკი რუსმა წარუმატებლად სცადა ფრანგის გადაბირება ბელგიაში. ამ შემთხვევაში არის ვარიანტი, რომ ჩავარდნილი მზვერავი დააპატიმროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ (ბელგიამ) და გადასცეს საფრანგეთს, ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული რა ურთიერთობებია მოცემულ ქვეყნებს შორის.

ასეა თუ ისე, აქედან ერთი დასკვნა გამომდინარეობს: გადაბირების მცდელობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ნაკლებია რისკი, რომ გადაბირების ობიექტი უარს განაცხადებს. შესაბამისად, გადაბირების ობიექტს (სანამ დაიწყება გადაბირების პროცესი) საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სწავლობენ, მას აკვირდებიან და მხოლოდ გარკვეული მონაცემებისა და წინაპირობების შემთხვევაში გადადიან მოქმედებაზე. გადაბირებისათვის ყველაზე იოლ ობიექტებად ითვლებიან შემდეგი კატეგორიის ადამიანები:

ზედმეტად ამბიციურები. ასეთებს ხშირად მიაჩნიათ, რომ მათ საკუთარი სახელმწიფო არ აფასებს და რომ ისინი უფრო მეტს

იმსახურებენ, ვიდრე აქვთ. ისინი ხშირად არიან განაწყენებულნი საკუთარ ხელმძღვანელობაზე და შესაბამისად მათი გადაბირება იოლია.

კომფორტის ზედმეტად მოყვარულები. მათი მოხიბვლა იოლია ფულითა და საჩუქრებით.

აზარტისა და გართობის მოყვარულები. იოლია მათი დაშანტაჟება.

ახლა უფრო დანვრილებით გავყვეთ თითოეულ შემთხვევას. ზედმეტად ამბიციურ ადამიანებს ზემოთჩამოთვლილის გარდა, კიდევ ახასიათებთ ისეთი თვისებები, რაც მათ უცხო სახელმწიფოს დაზვერვის სამიზნედ აქცევთ. კონკრეტულად, მათ უყვართ ტრაბახი და თავის გამოჩენა მრავალი საკითხების ცოდნით. ეს არა მხოლოდ აჩენს საფრთხეს, რომ მათ შეიძლება ზედმეტი ილაპარაკონ, არამედ ასევე ააშკარავებს ამ ადამიანის სუსტ წერტილს - მას სჭირდება აუდიტორია და დაფასება. შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს დაზვერვის ოფიცერს იოლად შეუძლია მისი მოხიბვლა, ამისათვის საკმარისია უბრალოდ მისი ყურადღებით მოსმენა.

კომფორტის ზედმეტად მოყვარულების შემთხვევაში ალბათ ყველაფერი გასაგებია. უცხო სახელმწიფოს დაზვერვის სამსახურები გადაბირებისათვის ფულის ხარჯვას არ ერი-

დებიან ხოლმე და, შესაბამისად, კომფორტის მოყვარულ-ლებთანაც კარგი შანსები აქვთ.

რაც შეეხება აზარტისა და გართობის მოყვარულებს. ხშირად ყოფილა, როცა ამა თუ იმ დიპლომატს საზღვარგარეთ ყოფნისას გართობის მიზნით (მაგალითად, კაზინოში) გაუფლანგავს საელჩოს კუთვნილი ფული და ამგვარად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩენილა. სწორედ ასეთ დროს ეძლევა უცხო სახელმწიფოს დაზვერვას გადაბირების უნიკალური შანსი: დიპლომატს სთავაზობენ იმას, რაც მას ყველაზე სჭირდება - ფულს - და აქვს არჩევანი: ან ფულზე უარის თქმა და კარიერის დაღუპვა (და არაა გამორიცხული, რომ ციხეც) ან ფულის აღების მეშვეობით კარიერის გადარჩენა და უცხო სახელმწიფოს სამსახურში ჩადგომა.

ფულის პრობლემის გარდა, ბოლო კატეგორიის ადამიანები შეიძლება გაეხვნენ ე.წ. სასიყვარულო ხაფანგშიც. ამ ხაფანგს საბჭოთა (რუსული) სპეცსამსახურები იყენებდნენ (იყენებენ). მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ პრიმიტიული სქემაა, მასში არაერთი დიპლომატი გაბმულა.

უცხო სახელმწიფოს დაზვერვის მიერ გადაბირებულ მოქალაქეს, რომელიც ფარულად ამ სახელმწიფოში იწყებს მუშაობას, **ორმაგი აგენტი** ეწოდება. ორმაგი აგენტები და დაზვერვის ოფიცრები (ანუ, ისინი ვინც თავიანთ სახელმწიფოს

ემსახურებიან) შეიძლება ერთ კატეგორიაში გავაერთიანოთ და მათ ჯაშუშები ვუწოდოთ. ჯაშუშობა და შპიონაჟი ალბათ იქიდან მოყოლებული არსებობს, რაც არსებობს ომები. ხუმრობით ამ საქმიანობას სამყაროს მეორე უძველეს პროფესიასაც კი უწოდებენ. ჯაშუშებს ცალკე თავი ეძღვნება ლეგენდარული ჩინელი ომის თეორეტიკოსისა და სტრატეგის, სუნ ძის წიგნში „ომის ხელოვნება.“ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში დაწერილი ეს ნაშრომი საოცარი ამომწურავობით აყალიბებს ჯაშუშთა კატეგორიებს. კონკრეტულად, სუნ ძე გამოყოფს ჯაშუშთა ოთხ ტიპს:

ადგილობრივები. ესენი არიან ორმაგი აგენტები, ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა სახელმწიფოზე მუშაობენ.

შინაურები. ესენი ადგილობრივების უფრო სერიოზულ ვარიანტს წარმოადგენენ არიან რა არა უბრალოდ გარკვეული სახელმწიფოს მოქალაქეები (რომლებიც სხვა სახელმწიფოს ემსახურებიან), არამედ ამ სახელმწიფოს მთავრობაში მომუშავე ან მთავრობასთან იმდენად დაახლოებული პირები, რომ აქვთ შიდა ინფორმაცია. ცხადია, ასეთები განსაკუთრებით ღირებულებიც არიან.

ცოცხლები (ვინც ცოცხლობენ). ისენი საკუთარი სახელმწიფოს დაზვერვის ოფიცრები არიან, ან უბრალოდ ისინი, ვინც

დაზვერვასთან ეპიზოდურად თანამშრომლობენ ხოლმე და რაიმე სპეციალური მისიით მიემგზავრებიან სხვა სახელმწიფოებში. ამ მეორე კატეგორიაში შეიძლება იყვნენ ბიზნესმენები, ან უურნალისტები (სუნ ძის დროს, ცხადია, უურნალისტები არ არსებობდნენ, მაგრამ ახლა ისინი შეგვიძლია ამ კატეგორიაში გავიყვანოთ). ისტორია იცნობს შემთხვევებს, როცა დაზვერვასთან თანამშრომლობდნენ ცნობილი მწერლებიც. მაგალითად, ინგლისელი სომერსეტ მოემი პირველ მსოფლიო ომში ბრიტანეთის დაზვერვის დავალებებს ასრულებდა, რაც შემდეგ ასახა თავის წიგნში „აშენდენი.“ სუნ ძის დროს საელჩოები პრაქტიკულად არ არსებობდა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით ცოცხლებში შეგვიძლია გავიყვანოთ დაზვერვის ის ოფიცრები ვინც დიპლომატიის საფართო მუშაობენ. ცოცხალი სწორედ იმას აღნიშნავს, რომ ასეთი ჯაშუში დაცულია. წესით ცოცხლებში უნდა გავიყვანოთ დაზვერვის ის ოფიცრებიც რომლებიც უურნალისტობას თუ ბიზნესმენობას საფარად იყენებენ.

ბოლო კატეგორიას კი სუნ ძის მიხედვით წარმოადგენენ **გასაწირები**. ეს არიან ის ჯაშუშები, რომელთაც აგზავნიან მეტად სახიფათო მისიებზე, როგორცაა საბოტაჟი, დივერსია, მონინაალმდევის რიგებში საომარი მოქმედებების დროს ინტელტრაცია, მონინაალმდევისათვის მხარეზე გადასვლის გათამაშება და მისი დემინფორმირება.

სუნ ძის ჯაშუშები რომ შევაჯამოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ ორი კატეგორია აერთიანებს ორმაგ აგენტებს, ხოლო მეორე და მესამე დაზვერვის ოფიცრებს. ცხადია, ორივე ფენომენი - ორმაგი აგენტი და დაზვერვის ოფიცერი - საინტერესოა, მაგრამ ორმაგი აგენტი უფრო მეტად რთულია, რადგან აქ ადამიანი მიდის გაცილებით დიდ რისკზე, დალატობს თავის სამშობლოს და ცხოვრობს ორმაგი ცხოვრებით. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ რა სახის ადამიანები შეიძლება იქცნენ ორმაგ აგენტებად. ახლა ეს თემა რომ დავასრულოთ, ვისაუბროთ იმაზე თუ რა შეიძლება იყოს ორმაგი აგენტის მოტივაცია.

როგორც წესი, ყველა ორმაგი აგენტი თავისი სამსახურის სანაცვლოდ ანაზღაურებას იღებს. თუმცა, არის შემთხვევები როცა ზოგიერთი ორმაგი აგენტი უსასყიდლოდ ემსახურება სხვა სახელმწიფოს. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით მრავლად იყო 20-იანი წლებიდან მოყოლებული 50-იანი წლების ბოლომდე. იმ დროს დასავლეთში მრავლად იყვნენ ადამიანები, რომელთაც გულწრფელად მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა დასავლურ დემოკრატიებზე გაცილებით უფრო პროგრესული იყო და რომ კომუნიზმი კაცობრიობის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა. რაც ნიშნავს, რომ, ეს ადამიანები უანგაროდ, ყოველგვარი პირადი გამორჩენის მიზნის გარეშე,

იდეოლოგიური მოსაზრებებით ემსახურებოდნენ საბჭოთა კავშირის დაზვერვას, რომელმაც იმ პერიოდში ამგვარი ადამიანების წყალობით უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია.

ამ წარმატებების გასააზრებლად საკმარისია დავასახელოთ სულ ორი ადამიანი, რომლებიც საბჭოთა კავშირს იდეოლოგიური მოსაზრებებით ემსახურებოდნენ - ინგლისელი კიმ ფილბი და გერმანელი რიხარდ ზორგე.

კიმ ფილბი არისტოკრატიული ოჯახის შვილი გახლდათ, რომელმაც განათლება კემბრიჯში მიიღო. როცა ყველაზე მგრძობიარე ასაკში იმყოფებოდა დასავლეთში განვითარდა ისეთი მოვლენები, რომელმაც ბევრ ადამიანს გაუცრუა იმედები და მათ შორის ფილბისაც. კონკრეტულად, 1929 წელს დასავლეთს იქამდე არნახული ეკონომიკური დეპრესია დაატყდა თავს, სულ მალე კი გერმანიის ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოვიდა. ასეთ ვითარებაში ფილბიმ გადაწყვიტა, რომ კაცობრიობის გადარჩენის შანსი მხოლოდ კომუნიზმში იყო და მალე საბჭოთა დაზვერვის აგენტადაც იქცა. მასთან ერთად საბჭოთა დაზვერვამ ასევე გადაიბირა კიდევ ფილბის კემბრიჯელი ოთხი მეგობარი (არაა გამორიცხული, რომ მათ გარდა სხვებიც იყვნენ გადაბირებულნი. უბრალოდ, ცნობილია მხოლოდ ხუთი მათგანის შესახებ). ყველა მათგანმა საკმაოდ წარმატებული კარიერა

გაიკეთა ბრიტანეთის საგარეო სამსახურსა და დაზვერვაში და საბჭოთა კავშირს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

მაგრამ ყველაზე მეტად მათში მაინც ფილბიმ გამოიჩინა თავი. მან მუშაობა დაიწყო ბრიტანეთის დაზვერვაში (მინ-ში). აქ მას ხელი მიუწვდებოდა არა მხოლოდ ბრიტანელების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, არამედ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანელების საიდუმლო მიმოწერაზეც (იმის წყალობით, რომ ბრიტანელებმა გერმანელების შიგრი გატეხეს და მიმოწერას კითხულობდნენ). ყოველივე ამას იგი საბჭოთა კავშირს გადასცემდა, რომელიც სწორედ მაშინ გერმანიას ეომებოდა, ბრიტანეთთან კი მართალია სამხედრო ალიანსში იყო, მაგრამ ცხადია მასაც უნდობლად უყურებდა. ფილბი მინ-ის ვარსკვლავი იყო, რომელსაც აბარებდნენ ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან საქმეებს, მათ შორის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლასაც (რომელსაც იგი ფარულად ემსახურებოდა). როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელებმა სრულფასოვანი სადაზვერვო სამსახურის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს, საამისოდ დახმარება ინგლისელებს სთხოვეს. ამ უკანასკნელებმაც (რომელთაც დაზვერვის მხრივ უკვე გააჩნდათ საკმაო გამოცდილება) გადაწყვიტეს ამერიკელთათვის დამხმარე კონსულტანტად სწორედ ფილბი გაეგზავნათ. ასე იქცა რუსებზე მომუშავე ორმაგი აგენტი არა მხოლოდ ბრიტანეთის დაზვერვის ვარსკვლავად, არამედ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო

სამმართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურადაც. მას უკვე ხელი მიუწვდებოდა არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ ამერიკის მთავრობის საილუმლო ინფორმაციაზეც.

ფილბი იმდენად შორს წავიდა, რომ არსებობდა შანსი მინ-ის ხელმძღვანელადაც კი დაენიშნათ, მაგრამ მოხდა ისე, რომ მისი ამერიკაში ყოფნის დროს საბჭოთა კავშირში გაიქცა მისი ორი კემბრიჯელი კოლეგა (ასევე ორმაგი აგენტები, რომელთაც ჩავარდნის შეეშინდათ) და მეგობარი, რამაც ფილბის მიმართაც გააჩინა ეჭვები. მას დანაშაული ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ დაზვერვიდან გაათავისუფლეს. მალე თავად ფილბიც საბჭოთა კავშირში გაიქცა, სადაც მას ელოდა საბჭოური ულიმლამო ცხოვრება და დაუთვასებლობა. ფილბი აღარ სჭირდებოდათ. გარდა ამისა, მას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა საბჭოთა დაზვერვაშიც - რადგან საკუთარ სამშობლოს უღალატა, მას შეეძლო ასევე ეღალატა საბჭოეთისთვისაც. მანამდე გაქცეული მისი კემბრიჯელი მეგობრები მასზე აღრე გარდაიცვალნენ ალკოჰოლისა და დეპრესიისგან. ერთმანეთთან მათ კავშირი თითქმის აღარ ჰქონდათ. ცხოვრების ბოლოს ყოველი მათგანი მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირი ნამდვილად არ წარმოადგენდა კაცობრიობის იმედსა და ნათელ მომავალს. ფილბი მისი სიცოცხლის ბოლოს საბჭოთა ხელმძღვანელობამ დააფასა და ყურადღებაც მიაქცია, მაგრამ ეს ვერ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ მასაც აეხი-

ლა თვალები და ხედავდა რა ქვეყნის სამსახურს შეაღია თავისი ცხოვრება.

ფილბისა და კემბრიჯელებისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირით იმედგაცრუებას გადაურჩა ზორგე (თუმცა სიცოცხლე გაცილებით უფრო ტრაგიკულად დაასრულა). სიმჰატიური და ქარიზმატული ახალგაზრდა გერმანელი პირველ მსოფლიო ომში დაიჭრა და სამუდამოდ დაკოჭლდა. ომის საშინელებამ მას ასევე აუცრუა გული დასავლეთზე და გადაანყვეტინა კომუნიზმისათვის ემსახურა, რასაც საბოლოოდ საბჭოთა სამხედრო დაზვერვის (ГРУ) მიერ მისი გადაბირება მოჰყვა. ზორგემ დაიწყო მუშაობა კორესპონდენტად და თავისი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იაპონიაში გაატარა. როგორც გერმანიის (იმ დროს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოსა და მეორე მსოფლიო ომში იაპონიის მოკავშირის) ერთ-ერთი წამყვანი გაზეთის („ფრანკფურტერ ცაიტუნგის“) კორესპონდენტი, იგი უამრავ ინფორმაციას ფლობდა როგორც იაპონიაზე, ასევე გერმანიაზე და ყველაფერს მოსკოვს გადასცემდა, რომელიც 30-იანი წლების ბოლოს მეტად რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ეშინოდა რა დასავლეთ ფრონტზე გერმანიის, აღმოსავლეთ ფრონტზე კი იაპონიის. ზორგე მეტად დაახლოებული იყო გერმანიის საელჩოსთან, მეგობრობდა თავად ელჩთან, ხოლო ელჩის ცოლი საერთოდ მისი საყვარელი იყო. ყოველივე ამის წყალობით მან ჯერ საბჭოთა

ხელმძღვანელობა გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ გააფრთხილა (რამაც, როგორც ცნობილია, შემდეგი არ გამოიღო), შემდეგ კი უკვე გერმანიასთან ომში ჩაბმულ საბჭოთა კავშირს აცნობა, რომ იაპონია მის წინააღმდეგ ომის დაწყებას არ აპირებდა. ამან საბჭოთა სარდლობას საშუალება მისცა აღმოსავლეთ ფრონტიდან საკმაოდ დიდი ძალები მოსკოვის დასაცავად გადაესროლა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში.

ასეთი დამსახურების მიუხედავად, როცა ზორგე ჩავარდა და იაპონელების ტყვედ იქცა, სტალინმა მის გამოხსნაზე უარი განაცხადა. ზორგე იაპონიაში დახვრიტეს, საბჭოთა კავშირში კი იქ დარჩენილი მისი ცოლი დააპატიმრეს და გადაასახლეს, რის შემდეგაც იგი მალე გარდაიცვალა. ზორგეს სახელი საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად არავინ იცოდა და ვითარება მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როცა საბჭოთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელმა ხრუშჩოვმა შემთხვევით ნახა ზორგეზე ფრანგების მიერ გადაღებული ფილმი (ზორგეზე მასაც კი არ სმენოდა არაფერი). მხოლოდ აქედან მოყოლებული იქცა ზორგე გმირად.

ისევ და ისევ, ფილმი და ზორგე ალბათ მე-20 საუკუნის საუკეთესო ჯაშუშები არიან. ეს შესაძლოა იმანაც განაპირობა, რომ მათი მოტივაცია იყო არა ფული, არამედ იდეოლოგია და მრწამსი. ამგვარი ჯაშუშები ალბათ აღარასოდეს

იარსებებენ, რადგან საბჭოთა კავშირის ნამდვილი სახე უკვე 50-იან წლებში გამოჩნდა (როცა საბჭოთა ჯარებმა სასტიკად ჩაახშეს უნგრეთში დემოკრატიული მოძრაობა) და მოყოლებული იქიდან მას იდეოლოგიის გამო აღარავინ ემსახურებოდა. პირიქით, თავად საბჭოთა კავშირში გაჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მათთვის საძულველი საბჭოთა რეჟიმის დასამხობად თავად ემსახურებოდნენ დასავლეთს, უპირველესად კი ამერიკას. სამაგიეროდ 60-იანი წლებიდან მომრავლდნენ ორმაგი აგენტები, რომლებიც ფულის სანაცვლოდ გადაიოდნენ მონინაალმდევე სახელმწიფოს მხარეს. ასეთები, ცხადია დღესაც არსებობენ.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორმაგი აგენტი განსაკუთრებით მაშინ არის ღირებული უცხო სახელმწიფოს დაზვერვისათვის (და, შესაბამისად, საშიში საკუთარი ქვეყნისათვის), თუკი მისი მოტივაცია იდეოლოგიაა. ფულზე მომუშავე ორმაგი აგენტები ნაკლებ ენთუზიამს იჩენენ ხოლმე. ყველაზე „არასაიმედო“ ორმაგი აგენტები კი არიან ისინი, ვინც შანტაჟით გადაიბირეს. ასეთები ყოველთვის შეეცდებიან შური იძიონ მათზე, ვინც ისინი ასეთი ხერხით გადაიბირა. ცხადია, ეს ჭეშმარიტება კარგად იციან დაზვერვის სამსახურებმა და ისინი ცდილობენ შანტაჟით გადაბირებულები დაიხლოვონ, დაიმეგობრონ და ისეთი მატერიალური დაინტერესებაც გაუჩინონ, რომ წყენა დაავინყონ. მოკლედ, დაზვერვის ამოცანაა ორმაგი აგენტი მეტ-

ნაკლებად „იდეოლოგიურად“ აქციოს - იგი შეიძლება ფულს იღებდეს, მაგრამ ამავე დროს სჭეროდეს იმ საქმეს, რაშიც ფულს უხდიან.

საერთოდ, ჯაშუშების ცხოვრება მძიმეა. განსაკუთრებით კი ეს ითქმის ორმაგ აგენტებზე. დაზვერვის ოფიცერი რთულ საქმიანობას ეწევა, მაგრამ იგი საკუთარ სახელმწიფოს ემსახურება და სანერვიულო არც ისე ბევრი აქვს. ამისგან განსხვავებით, ორმაგ აგენტს ჩავარდნის შემთხვევაში საუკეთესო შემთხვევაში სხვა სახელმწიფოში გაქცევა ელის, ან ციხეში აღმოჩენა და სხვა ორმაგ აგენტში გაცვლა. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ ელის სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლება და ციხეში დიდი ხნით (ან სამუდამოდ) აღმოჩენა, ან სიკვდილით დასჯაც კი.

იდეოლოგიისა და ფულის წყალობით გადაბირებულ ორმაგ აგენტთა გარდა არსებობს კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე მეტად მცირერიცხოვანი ორმაგ აგენტთა კატეგორია. ეს ისინი არიან, ვისი მთავარი მოტივაციაც არის აზარტი და მძაფრი გრძნობები. ასეთის საუკეთესო მაგალითია ამერიკელი რობერტ ჰანსენი, გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალური აგენტი, რომელმაც თავად შესთავაზა საკუთარი სამსახური საბჭოთა დაზვერვას. ჰანსენი ამ სამსახურის სანაცვლოდ დიდძალ ფულს კი იღებდა, მაგრამ მას ნაკლებად ხარჯავდა. მისი მთავარი ინტერესი აზარტი იყო. იგი

თავად კარნახობდა საბჭოთა დაზვერვას თამაშის წესებს - თავად არჩევდა შეხვედრის დროსა და ადგილს (სადაც მისთვის უნდა დაეტოვებინათ ფული და სადაც მას უნდა დაეტოვებინა საიდუმლო მასალები). ჰანსენმა ამ ოპერაციას ისეთ მაღალ დონეზე ახორციელებდა, რომ მისი ვინაობა საბჭოთა (და მოგვიანებით რუსეთის) დაზვერვამაც კი არ იცოდა. თუმცა, ამის მიუხედავად ამერიკელებმა საბოლოოდ (1994 წელს) მაინც შეძლეს მისი გაშიფრვა, რის შემდეგაც ჰანსენი ფაქტზე აიყვანეს და იგი დღემდე სამუდამო პატიმრობაშია.

ყველა ეს მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ ყველაზე წარმატებული ორმაგი აგენტებიც კი, ადრე თუ გვიან, გამოაშკარავდებიან და მათი ბოლო არც ისე სახარბიელოა.

გარდა ამისა, ყველა ამ მაგალითს ერთი რამ აქვს საერთო: ყველა ეს ორმაგი აგენტი საბჭოთა კავშირსა და რუსეთზე მუშაობდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქვეყანას დაზვერვაში სერიოზული მიღწევები აქვს. განსაკუთრებით კი ადამიანურ დაზვერვაში. ალბათ გასაგებია **ადამიანური დაზვერვა** რაც არის. ესაა ინფორმაციის მოპოვება საკუთარი დაზვერვის ოფიცრებისა და ორმაგი აგენტების მეშვეობით. ამისგან განსხვავებით **ტექნიკური დაზვერვა** არის ინფორმაციის მოპოვება ტექნიკური საშუალებებით - სატელიტებით, მზვერავი თვით-

მფრინავებითა და ღრონებით, სატელეფონო მოსმენებით, სხვისი მიმოწერის კითხვით და ა.შ.

ცხადია, რომ თავდაცვის ატაშემ/წარმომადგენელმა ასევე უნდა იცოდეს ტექნიკური დაზვერვის შესახებაც. მან შესაძლოა მარტივად აირიღოს თავიდან უცხო სახელმწიფოს დაზვერვის მხრიდან გადაბირების მცდელობა, მაგრამ ამავე დროს ის მეტად ფრთხილად უნდა იყოს, რათა არ დაუშვას მისგან ინფორმაციის გაჟონვა ტექნიკური საშუალებებით. თუმცა, ამის თავიდან აცილებაც საკმაოდ მარტივია, თუკი დავიცავთ რამდენიმე წესს.

სატელეფონო საუბრები. აქ უნდა გავითავისოთ ერთი მარტივი ჭეშმარიტება: უსაფრთხო სატელეფონო საუბარი პრაქტიკულად არ არსებობს, მითუმეტეს თუკი ვიყენებთ ჩვეულებრივ ტელეფონს. არსებობს სპეციალური ტელეფონებიც, რომლებიც ახდენენ საუბრის დაშიფვრას, მაგრამ თეორიულად არც ისინია ბოლომდე უსაფრთხო. ამიტომაც, მნიშვნელოვანი და მგრძნობიარე თემების ტელეფონით განხილვას უნდა მოვერიდოთ.

მიმოწერა. სადღეისოდ კომპიუტერული ტექნიკა იძლევა წერილების დაშიფვრის კარგ შესაძლებლობებს. დიდი სახელმწიფოების საელჩოები მიწერ-მოწერისათვის იყენებენ მარტივ პროცედურას: წერილი ჯერ იშიფრება, შემდეგ კი უკვე

დაშიფრულს ედება ე.წ. ერთჯერადი კოდი. ასეთი წერილის გატეხვა საკმაოდ რთულია, თუმცა, მთელი ეს პროცედურა საჭიროებს პროფესიონალ კრიპტოგრაფს. ამის გარეშე ნებისმიერი მიმონერა შესაძლოა გატეხილი და წაკითხული იქნას. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი მსგავსი დასაშიფრი პროგრამის გამოყენების აუცილებლობა დგება, ატაშემ/წარმომადგენელმა სპეციალური მითითებები და ინსტრუქციები უნდა მიიღოს წარმგაზავნი სახელმწიფოს თავდაცვის უწყებიდან. მან ასევე უნდა შეისწავლოს მისი ქვეყნის საილუმლო საქმისწარმოების პროცედურა, მუდმივად მისდიოს ინსტრუქციებს და განუხრელად დაიცვას დადგენილი წესები.

მოსმენები. საუბრები შეიძლება ჩანწერილ იქნას დიქტოფონზე, რომელიც ხშირადაა დაყენებული ისეთ ადგილებში, სადაც იკრიბებიან დიპლომატები (მაგალითად, ესა თუ ის რესტორანი). შესაბამისად, მასობრივი შეკრების ადგილებშიც სიფრთხილვა საჭირო.

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ საინფორმაციო ეპოქის პირობებში ჩვენი გადაადგილება მარტივად კონტროლდება. მარტივად შეიძლება იმის შემოწმება რა მიმართულებით ავიღეთ ბილეთი და საით ვაპირებთ წასვლას. მობილური ტელეფონის მეშვეობით მარტივად შეიძლება დადგენა სად ვიმყოფებით მოცემულ მომენტში და ა.შ.

თავი VII.

უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკა თავდაცვის/სამხედრო ატაშეებთან მიმართებაში

როგორ ირჩევენ, აკონტროლებენ და მართავენ თავდაცვის/სამხედრო ატაშეებს სხვადასხვა ქვეყანაში

როდესაც ატაშეს პოსტი თავისუფლდება, იწყება შერჩევა ღია კონკურსის საშუალებით ან შესაბამისი სამსახურისა თუ ნაწილის მიერ კანდიდატთა დასახელების გზით. კანდიდატთა სამხედრო რანგები ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა (ვიცე პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი, გენერალ-მაიორი). კვალიფიციური კადრი უნდა ფლობდეს რამდენიმე ენას, ბევრი რამ უნდა იცოდეს იმ ქვეყნის შესახებ, სადაც წარიგზავნება სამხედრო ატაშეს სტატუსით. კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი და ახალი ცოდნის მიღების სურვილი ასევე მნიშვნელოვანია.

ლოკალურად, თავდაცვის/სამხედრო ატაშე ელჩს ექვემდებარება და მისი პოსტი მეორე, მესამე ან მეოთხე რანგის დიპლომატიურ პოზიციას შეესაბამება. თითქმის ყველა ქვეყანაში თავდაცვის სამინისტრო გასცემს დავალებებს სამხედრო ატაშეს მიმართ. სამხედრო ატაშე მისი ქვეყნის სამხედრო ატაშეს ოფისს ან სამხედრო დაზვერვას ანგარიშებს რეგულარულად აბარებს. თუ სამხედრო ატაშე ვერ ასრულებს

მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მისი გამონწვევა ნებისმიერ დროს შეიძლება.

სამხედრო ატაშეების მართვის მოდელები

სამხედრო ატაშეების მართვის მოდელების განხილვისას უპრიანია ძირითადად გაანალიზდეს ნატოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების მაგალითები. რადგან ეს ქვეყნები ლიდერობენ თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში გატარებული რეფორმებით და მიღწეული მაღალი ხარისხის მაჩვენებლებით.

სამხედრო ატაშეებისა და წარმომადგენლების მართვის კუთხით, დღეს რამდენიმე ძირითადი მოდელი არსებობს, ესენია:

- სადაზვერვო სამსახურების მიერ ატაშეების მართვა და კონტროლი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურების მიერ ატაშეების მართვა (ე.წ. სამხედრო დიპლომატიის პრინციპი);
- შერეული მოდელები, რომლებშიც ატაშეების მართვა ხდება რამდენიმე სამსახურის მიერ.

ვიდრე დეტალურ განხილვას შევუდგებოდეთ, აღსანიშნავია, რომ ყველა სახის მოდელი გულისხმობს სამხედრო ატაშეების თანამშრომლობას საკუთარი უწყებისა და ქვეყნის დაზვერვის სამსახურებთან. როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ატაშეთა ძირითადი ფუნქციების განხილვის დროს - ეს მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ქვემოთ განხილულია ატაშეების სამსახურის უშუალო მართვის მოდელები და მათი სპეციფიკა.

სადაზვერვო სამსახურის მიერ ატაშეს მართვა

ეს არის წარსულში საკმაოდ გავრცელებული სამხედრო ატაშეების მართვის მოდელი, რომელშიც სამხედრო ატაშე არის ეროვნული სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი. კარიერული მოდელით და/ან სამხედრო გვარეობის სისტემით ატაშე წარმოადგენს სამხედრო დაზვერვას. ეს მოდელი განსაკუთრებით განვითარდა ცივი ომის დროს, როდესაც ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკის - ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობდა თანამშრომლობის ფორმატი და მათი სამხედრო წარმომადგენლები, ძირითადად, მხოლოდ სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებით იყვნენ დაკავებული.

ზოგიერთი ქვეყანა აგრძელებს ატაშეების მართვის ამ მოდელის გამოყენებას, თუმცა უკვე განსხვავებული მიზნების გამო. ეს აღარ არის მტრულად განწყობილ ქვეყანაში ამ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ ინფორმაციის მოგროვება და, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ცივი ომის დროს, სამხედრო ჯაშუშური საქმიანობის ხელმძღვანელობა. დღეს ეს მოდელი გამოიყენება მეგობარი და პარნტიორი ქვეყნის და მისი ინტერესების შესახებ მაქსიმალურად სწორი ინფორმაციის და ანალიზის მისაღებად. ამ მოდელის ფარგლებში პიროვნება რომელიმე ქვეყანაში სამხედრო ატაშედ ყოფნის შემდგომ ბრუნდება დედაქალაქში და, როგორც წესი, აგრძელებს მუშაობას დაზვერვის სამსახურის ანალიტიკური მართულებით, იმ ქვეყნის ან რეგიონის ექსპერტად, სადაც იგი იყო მივლენილი.

ეს მოდელი საშუალებას იძლევა ქვეყანას ჰყავდეს კარგად განვითარებული ანალიტიკური სამსახური ქვეყნის შიგნით და კარგი ანალიტიკოსი მივლენილი ქვეყნის გარეთ, რომელიც, თავისი მრავალმხრივი მომზადებიდან გამომდინარე, ასევე წამატებით გაართმევს თავს როგორც ძირითადი საქმიანობის წარმართვას, ასევე, ორხმრივი სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციას.

საერთაშორისო სამსახურის მიერ ატაშეების მართვის მოდელი

აღნიშნული მოდელი გულისხმობს სამხედრო/თავდაცვის ატაშეების საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისათვის დაქვემდებარებას. სამხედრო/თავდაცვის ატაშე მივლინების და სამშობლოში დაბრუნების დროს მუშაობს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, ე.წ. სამხედრო დიპლომატიის მიმართულებით, და გააჩნია შესაბამისი დარგის საექსპერტო ცოდნა და გამოცდილება.

ეს სისტემა წარმატებულია იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო პირი არის ატაშე/წარმომადგენელი ისეთ ქვეყნებში და/ან ორგანიზაციებში, სადაც საჭიროა ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოება და დიპლომატიურ ღონისძიებებში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი მოლაპარაკებებს აწარმოებენ დედაქალაქიდან წარგზავნილი უფრო მაღალი თანამდებობის პირები, სამხედრო ატაშეს, საკუთარი საექსპერტო კვალიფიკაციით, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მოლაპარაკებების პროცესში, განსაკუთრებით კი, სამუშაო ჯგუფების დონეზე.

ასევე წარმატებულია ეს მოდელი, როდესაც ქვეყნის მიერ ხდება ახალი ატაშატის/წარმომადგენლობის გახსნა და აუციელებელია ინტენსიური სამუშაოს ჩატარება, რაც გულის-

ხმობს ურთიერთობების დამყარებას და შესაბამის ოფიციალურ ფორმატებში ჩართვას.

ამ ფორმატში ატაშეების მართვის მოდელი იძლევა კიდევ ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ეს სამხედრო პირები თავდაცვის სამინისტროში ან გენერალურ შტაბში ხდებიან იმ ქვეყანასთან ურთიერთობის ხელმძღვანელები, ე.წ. „დესკ ოფიცრები“ (desk officer), სადაც იყვნენ მივლენილნი. ისინი წარმატებით მუშაობენ ორმხივი ურთიერთობების მიმართულებით, რადგან კარგად იცნობენ საკურაციო ქვეყანას (რეგიონს), იციან მიმდინარე პროგრამების დეტალები და შესაძლო სამომავლო პრიორიტეტები. მათ ასევე უადვილდებათ ურთიერთობა მათი საკურაციო ქვეყნის სამხედრო ატაშეებთან, რადგანაც თავად მუშაობდნენ ამ ატაშეების ქვეყანაში და კარგად იციან, როგორც კონკრეტული ქვეყანა, ასევე ამ ქვეყნის თავდაცვის უწყების სპეციფიკა.

შერეული მოდელები

სხვადასხვა ქვეყნები თავიანთი სამხედრო და თავდაცვის უწყების მართვის და მოთხოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე იყენებენ განსხვავებულ ე.წ. შერეულ მოდელებს. ამ შემთხვევაში სამხედრო ატაშე არ წარმოადგენს ერთი რომელიმე მიმართულების ნაწილს - დაზვერვა ან საერთა-

შორისო ურთიერთობები, არამედ შეიძლება იყოს მივლენილი ნებისმიერი სამხედრო მიმართულებიდან. ე.ი. ატაშედ შესაძლებელია წარიგზავნოს სახმელეთო ბატალიონის მეთაური, ლოჯისტიკის დეპარტამენტის ოფიცერი, საზღვაო ძალების შტაბის თანამშრომელი, საჰაერო თავდაცვის ოფიცერი, სამხედრო პოლიციის თანამშრომელი და სხვა. ატაშის შერჩევა/დანიშვნა ხდება კონკურსის ან უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის წარდგინების საფუძველზე.

ასეთ შემთხვევებში, სამხედრო ატაშედ/წარმომადგენელად მუშაობის პერიოდში ეს სამხედრო პირები ექვემდებარებიან შესაბამის სამსახურს (შესაძლოა იყოს დაზვერვის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ან სპეციალური ატაშეების მართვის სამსახური), თუმცა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი, ძირითადად, უბრუნდებიან თავიანთ საქმიანობას/დეპარტამენტს.

ქვემოთ მოცემულია შვეციარიის შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ინსტიტუტის (decaf) მიერ შემუშავებული სქემა სხვადასხვა ქვეყნებში ატაშეების შერჩევის, დანიშვნისა და მართვის პროცესთან დაკავშირებით:

	აგერია	საფანგეთი	გერმანია	შვეიცარია	დიდი ბრიტანეთი
რომელი უწყება ნიშნავს?	თავდაცვის სამინისტრო და გენერალური შტაბი	თვდაცვის სამინისტრო და გენერალური შტაბი	თავდაცვის სამინისტრო, აკრედიტაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო გასცემს	8 სამთავრობო დეპარტამენტისგან დაკომ-პლექტებული კომისია	სამხედრო დიპლომატიის დირექტორი, თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკისა და სამხედრო ურთიერთობების ხელმძღვანელი
რომელი უწყების წინაშე ანგარიშ-ვალდებულებული?	თავდაცვის უწყების მეთაური, თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის დირექტორია, ატაშეების სამმართველო	საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამხედრო დამცვეის სააგენტოს, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, მოადგილე	ანგარიშები პირველად ელჩს ეგზავნება, შემდეგ ვი სხვა უწყებებს	სამოქმედო/ოპერაციული ანგარიშები - სამხედრო ატაშეს ოფისს, სადამცვეო ინფორმაცია-სტრატეგიული დამცვეის ოფისს	პოლიტიკისა და სამხედრო ურთიერთობების დირექტორატს - პროფესიული საკითხები, ადმინისტრაციული საკითხები-სამხედრო დიპლომატიის დეპარტამენტს, თავდაცვის სამინისტროს.
სამხედრო ატაშედ დანიშნისთვის საჭირო	ფიცი პოლიკოფიცი-ბრიგადის გენერალი, თავდაცვის სამინისტროში, ან	ფიცი პოლიკოფიცი-ბრიგადის გენერალი, ქვეყნის დამცვეის სამსახურში მუშაობის	ფიცი პოლიკოფიცი-ბრიგადის გენერალი	აქტიური კარიერის ოფიცერი ან თავდაცვის სამინისტროს მიერ დაქირავებული	არ ითხოვენ რაიმე კონკრეტულ გამოცდილებას, კანდიდატს უნდა ქონდეს შესაბამისი წოდება
სამხედრო ატაშეს მანდატის ვადა	4 წელი	3 წელი	3 წელი	3 წელი + 1 წელი	3 წელი ძირითადად
ატაშესთვის განკუთვნილი განათლება და სასწავლო კურსი	არ არის სტანდარტული კურსი, ახალი ერთწლიანი სასწავლო კურსი მოიცავს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ენის ტრენინგს	ენის შემსწავლელი კურსი, უსაფრთხოების პოლიტიკის სამთვინი კურსი, ერთ კვირიანი კურსი პროტოკოლში ატაშეს მუულებსათვის	ენის კურსი, 5-6 თვიანი სამხედრო ატაშეს კურსი	გამგავრებამდე 11 თვიანი კომპლექსური სასწავლო კურსი, მათ შორის მუულებსათვის	სამხედრო საკითხებზე ჩატარებული სტანდარტული სასწავლო კურსი, სხვადასხვა დონის ენის კურსები (ენის შესწავლის დონე ადგილსამყოფელ ქვეყანაზე დამოკიდებული).

ატაშეების პროფესიული მომზადება

ცივი ომის დასრულების შემდგომ, სამხედრო/თავდაცვის ატაშეს ფუნქციები უფრო მრავალფეროვანი გახდა. ხშირ შემთხვევაში მან შეიძინა ე.წ. სამხედრო დიპლომატის სტატუსი და დღეს მის ფუნქციები ბევრად უფრო კომპლექსურია ვიდრე ეს მეოცე საუკუნეში იყო.

შესაბამისად, გაიზარდა თავდაცვის/სამხედრო ატაშეს მიმართ საკვალიფიკაციო და განათლების მოთხოვნები, რამაც თავის მხრივ ახალი ტრენინგების და კურსების საჭიროება შექმნა. ნატო-ს და მისი ახლო პარტნიროების მიერ (ფინეთი, შვედეთი, ავსტრია, შვეიცარია, ისრაელი), შემუშავებულია სხვადასხვა სახის ტრენინგ - მოდულები, რომელიც ეფუძნება წარსაგზავნი ატაშეს სამსახუროებრივ მოვალეობებს და მის ამოცანებს.

რაც უფრო კომპლექსური და მოცულობითია ატაშეს ფუნქციები ადგილსამყოფელ ქვეყანაში, მით უფრო მეტი განათლება და მომზადება სჭირდება მას. აქ ასევე გასათვალისწინებელია ატაშეების მიერ რამოდენიმე ქვეყანაში აკრედიტაცია ანუ გადაფარვა. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით მიღებულია მცირე და საშუალო ზომის ქვეყნების სამხედრო უწყებებში, როდესაც სამხედრო ატაშე იგზავნება ერთ "მთავარ" ქვეყანაში, მაგრამ მას ასევე ევალება რეგიონული

და/ან გეოგრაფიულად ახლო მდებარე ქვეყნებში მუშაობა, რაც, შესაბამისად, ზრდის მისი კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სამხედრო წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ დამატებითი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეთ ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამის კარგი მაგალითია ეუთო, სადაც სამხედრო წარმომადგენლისათვის აუცილებელია ეუთოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროტოკოლების/ხელშეკრულებების კარგად შესწავლა.

ევროპულ სისტემაში სამხედრო ატაშესთვის განკუთვნილი სწავლება სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

1. სპეციალური ენის კურსი, რომელიც რამდენიმე თვიდან ერთ წლამდე გრძელდება. ადგილსამყოფელი ქვეყნის ენის ცოდნის საჭიროება თავად ამ ქვეყანაზე დამოკიდებული. ზოგჯერ, სახელმწიფოსთან ეფექტური სამხედრო ურთიერთობების საწარმოებლად, საკმარისია მისი ენის საბაზისო ცოდნა და ინგლისურის მაღალ დონეზე ფლობა (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპა), ზოგჯერ კი ადგილსამყოფელი ქვეყნის ენის ცოდნა მშობლიური ენის ცოდნის დონეზეა აუცილებელი (საფრანგეთი, თურქეთი).

2. ატაშეს სამუშაოს ფუნქციების შესაბამისი სასწავლო კურსი. ეს კომპლექსური პროგრამაა, რომელიც შედგება სხვადასხვა მოდულებისაგან. მას შეიძლება მოაკლდეს ან დაემატოს რომელიმე საგანი საჭიროებიდან გამომდინარე :

- საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო სამართალი;
- თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- დაზვერვა და ინფორმაციის ანალიზი - ინფორმაციის წყაროების სწორი ანალიზი და ანალიტიკური ბარათების შექმნის უნარი;
- სტრატეგიის საფუძვლები - კონცეპტუალური დოკუმენტის წაკითხვის და შექმნის უნარი;
- დიპლომატიური პროტოკოლი და საქმიანი ურთიერთობების წარმართვის წესები;

ასევე, თავდაცვის/სამხედრო ატაშეების სახეობათა მიხედვით: შეიარაღების კონტროლი, იარაღის ექსპორტის კონტროლი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და სხვა სპეციფიური თემები.

3. ზოგადი და სპეციფიური კულტურულ - ისტორიული სასწავლო კურსი, ადგილსამყოფელი ქვეყნის ან რეგიონის უკეთ გაცნობის მიზნით. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთსა და შვეიცარიაში, ამგვარ კურსებზე ასევე თავდაცვის ატაშეს მეუღლე და ოჯახის სხვა წევრებიც სწავლობენ.

თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, თავდაცვის/სამხედრო ატაშეს შეუძლია ენის შესწავლის გაგრძელება.

ტრადიციულად, თავდაცვის ატაშეების სასწავლო კურსების მომზადებას ქვეყნები საკუთარი ძალებით ახორციელებენ. თვითონ ამზადებენ წარსაგზავნ თავდაცვის ატაშეებსა და წარმომადგენლებს. თუმცა, უკანასკნელ წლებში მრავალეროვნული სასწავლო პროგრამებიც ტარდება, როდესაც ერთი ქვეყანა მასპინძლობს საერთაშორისო მომზადების კურსს მეგობარი ქვეყნების სამხედრო ატაშეებისათვის. ეს, როგორც წესი, მოკლე კურსებია, რომლებზეც ხდება როგორც განათლების მიღება, ასევე საჭირო კონტაქტების დამყარება.

ამის ერთ-ერთი მაგალითია თავდაცვის/სამხედრო ატაშეთა ყოველწლიური სასწავლო მოდული, რომელსაც აშშ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრი ატარებს. ოთხდღიან სასწავლო სესიას ოცზე მეტი ქვეყნიდან ესწრებიან თავდაცვის/სამხედრო ატაშეები.

თავდაცვის/სამხედრო ატაშეს სისტემის რეფორმა სხვადასხვა ქვეყანაში

ამ მიმართულებით შეიძლება ორი მთავარი ტენდენციის გამოყოფა - ქვეყანათა ნაწილი, სადაც სამხედრო ატაშეს სისტემის რეფორმირება თითქმის არ მომხდარა ცივი ომის შემდგომ (ნათელი მაგალითია რუსეთი) და მეორე ჯგუფი, სადაც მნიშვნელოვნად გარდაიქმნა თავდაცვის/სამხედრო ატაშეს სისტემა. ამგვარი რეფორმა ნატო-სა და ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაში განხორციელდა. ზოგიერთმა ქვეყანამ ეტაპობრივად შეცვალა თავდაცვის/სამხედრო ატაშეთა სისტემა, ზოგმა ქვეყანამ კი, ეს სისტემა ერთბაშად გარდაქმნა.

შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ძირითადი ცვლილებები, რომლებიც უკვე განხორციელდა ან ტარდება დღეს:

1. ორმხრივი ატაშედან მრავალმხრივ სამხედრო წარმომადგენელამდე. ნაწილი ქვეყნების აზრით, ევროკავშირისა და ნატო-ს სამხედროებს შორის არსებული მჭიდრო კავშირების გათვალისწინებით, წევრ ქვეყნებს შორის ორმხრივი სამხედრო ატაშეების არსებობის საჭიროება გაქრა. შესაბამისად, ზოგიერთმა ქვეყანამ გააუქმა ორმხრივ ფორმატში თავდაცვის/

სამხედრო ატაშეს პოსტები იმ ქვეყნებში, რომლებთანაც მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობს (ნატო და ევროკავშირი). ამ ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლებს ზემოხსენებულ ორგანიზაციებში ასევე დაევალათ სამხედრო ატაშეს როლის შესრულება ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან. ამის მიზეზი არის ის, რომ ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობის ძირითადი ფორმატები სწორედ ასეთი ორგანიზაციების ფარგლებში (ევროკავშირი და განსაკუთრებით ნატო) მიმდინარეობს. შესაბამისად, სამხედრო წარმომადგენლებს შეუძლიათ იმუშაონ როგორც მრავალმხრივ, ასევე ორმხრივ ფორმატში თავის კოლეგებთან.

აღსანიშნავია, რომ ასეთმა ქვეყნებმა შეინარჩუნეს ატაშეს პოსტები იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან კონკრეტული ორგანიზაციის წევრები (მაგალითად: საქართველოსთან).

2. გეოგრაფიული პრინციპიდან გეოპოლიტიკურ პრინციპამდე - შეიცვალა გეოგრაფიის როლი სამხედრო ატაშეების დანიშვნა/მართვის საკითხებში. დღეს ზოგიერთი სახელმწიფო თავდაცვის/სამხედრო ატაშეებს აგზავნის არა მეზობელ და რეგიონულ ქვეყანაში, არამედ იმ ქვეყნებში რომლებმაც სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინეს. მაგალითად,

რადგან ევროკავშირსა და ნატო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების თანამშრომლობის მჭიდრო და ინტენსიურმა ფორმატმა თითოეულ სახელმწიფოში ორმხრივი სამხედრო ატაშეების არსებობის საჭიროება საგრძნობლად შეამცირა, ევროპის ქვეყნები სამხედრო ატაშეებს გზავნიან ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და აზიაში, ხოლო, ევროკავშირისა და ნატო-ს წევრ სხვა ქვეყნებში კი ამ თანამდებობებს ამცირებენ.

3. ორმხრივიდან მრავალმხრივ აკრედიტაციამდე - ქვეყნების უმეტესობა დღეს იყენებს მრავალმხრივ აკრედიტაციას, როდესაც თავდაცვის/ სამხედრო ატაშე იგზავნება ერთ - სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანაში და, ამასთან ერთად, მას ევალუება რეგიონის და მიმდებარე ქვეყნებში ორმხრივი თუ მრავალმხრივი ურთიერთობების წარმოება. ეს მოდელი განსაკუთრებით გავრცელდა ცივი ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ქვეყნების ნაწილს სამხედრო ატაშე მივლენილი ჰყავდა მოსკოვში და ის ფარავდა დამატებით რვა ან ცხრა საბჭოთა რესპუბლიკას, ფინანსური შეზღუდვებიდან გამომდინარე, ამ მოდელს დღეს სხვა რეგიონებთან მიმართებაშიც აქტიურად იყენებენ.

მოუხედავად იმისა, რომ ამგვარი მიდგომით შესაძლებელია შებლუდული რესურსების ეფექტური გამოყენება და რეგიონული ხედვის ჩამოყალიბებაც უფრო ადვილია, ამ შემთხვევაში, სამხედრო ატაშეს ნაკლებად ეძლევა საშუალება გაიყოს ცალკეული ქვეყნები და კონტაქტებიც შესაბამისად უფრო შებლუდული აქვს. მისი მუშაობის ეფექტურობაც შედარებით უფრო დაბალია.

4. ადგილსამყოფელი ქვეყნის ნაცვლად წარმგზავნ (მშობლიურ) ქვეყანაში დარჩენა: ბევრმა ქვეყანამ გააუქმა რეზიდენტი ატაშეს პოსტი და ერთი თავდაცვის/სამხედრო ატაშე ერთდოულად რამდენიმე ქვეყანაში აწარმოებს ორმხრივ ურთიერთობებს. განსხვავება ის არის, რომ ასეთ ატაშეს მუდმივი ადგილსამყოფელი არც ერთ ქვეყანაში არ აქვს და, პერიოდულად, სამშობლოდან მიემგზავრება (ამგვარი სისტემა ჰოლანდიაში იწერება აქტიურად). ამგვარი მიდგომის მთავარი უპირატესობა ფინანსების დაზოგვაა, თუმცა, სუსტი მხარეებიც გააჩნია. მაგალითად, რეგიონის/ქვეყნის არასრულფასოვანი შესწავლა და არამჭიდრო და არამყარი კონტაქტები. გარდა ამისა, იმის გამო რომ მას მშობლიურ ქვეყანაში სხვა ფუნქციებიც გააჩნია, ამა თუ იმ ქვეყანაში მისი მოქმედება შებლუდულია.

5. „თავდაცვის/სამხედრო ატაშედან“ „უსაფრთხოების ატაშემდე“ - მზარდი პოპულარულობით სარგებლობს თეორია უსაფრთხოების ატაშეზე, როდესაც თავდაცვის/სამხედრო ატაშეს ფუნქციები (შესაძლოა სახელიც) იცვლება, იზრდება და მის უფლებამოსილებას ემატება უსაფრთხოების სფეროში თანამშრომელობის საკითხებიც. შეიძლება ამგვარი მიდგომა უკეთ ასახავს თანამედროვე თავდაცვის/სამხედრო ატაშეს ფუნქციებს, რადგან მას უსაფრთხოების პოლიტიკაზეც უწევს მუშაობა, მაგრამ რთულია ერთმა პიროვნებამ წარმატებულად გაართვას თავი ორ მნიშვნელოვნად განსხვავებულ - სამხედრო და უსაფრთხოების ფუნქციებს. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება კვალიფიკაციის და განათლების მოთხოვნები, თუმცა მიზანი მაინც რთული მისაღწევი იქნება მისი კომპლექსურობის და მოცულობის გამო.